

საქონალაქო პროცესი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადანუვტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე
2013, №11

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)
2013, №11

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)
2013, №11

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)
2013, №11

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 298 21 03; www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

**ადვოკატის დახმარების გამო გადასახდელი
ხარჯების განაწილება სარჩელზე უარის თქმისას**

განჩინება

№-ას-1771-1751-2011

9 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: აქციების მესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერატივების ცენტრალურმა კავშირმა – ცეკავშირმა სარჩელი ადრე სასამართლოში სს „მ. ს. კომბინატის“ მიმართ 196,556 ცალი აქციის (საწესდებო კაპიტალის 39%-ის) მესაკუთრედ ცნობისა და აქციათა რეესტრში ცვლილებების შეტანის მოთხოვნით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 9 ნოემბერის გადაწყვეტილებით ცეკავშირის სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ დაეკისრა ადვოკატის მომსახურებისათვის განუული 17000 ლარის გადახდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 12 აპრილის განჩინებით აპელანტ საქართველოს სამომხმარებლო კოოპერატივების ცენტრალური კავშირი ცეკავშირის წარმომადგენელ ა. კ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, საქმის წარმოება შეწყდა აპელანტის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო, გაუქმდა ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება, ხოლო სს „მ. ს. კომბინატის“ წარმომადგენელ ნინო ბოლქვაძის შუამდგომლობას საადვოკატო მომსახურების ხარჯების ანაზღაურების თაობაზე ეთქვა უარი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე სს „მ. ს. კომბინატ-მა“ შეიტანა კერძო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2011 წლის 18 ივლისის განჩინებით სს „მ. ს. კომბინატის“ კერძო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული განჩინება გაუქმდა იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა შუამდგომლობა საადვოკატო მომსახურების ხარჯების ანაზღაურების თაობაზე და საქმე ამ ნაწილში დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად, დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით სს „მ. ს. კომბინატის“ შუამდგომლობა საადვოკატო მომსახურების ხარჯების ანაზღაურების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, საქართველოს სამომხმარებლო კოოპერატივების ცენტრალურ კავშირ ცეკავშირს სს „მ. ს. კომბინატის“ სასარგებლოდ დაეკისრა საადვოკატო მომსახურებისათვის განეული ხარჯების ანაზღაურება 22 000 ლარის ოდენობით შემდეგ გარმეოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, განმარტა, რომ ადვოკატი მიიღებს ანაზღაურებას დავის საგნის ღირებულების 4%-მდე ოდენობით, მითითებული ნორმა განსაზღვრავს მხარის მიერ წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების იმ ოდენობის მაქსიმუმს, რაც შეიძლება დაეკისროს მეორე მხარეს. ამ მაქსიმუმის ფარგლებში სასამართლოს შეუძლია, თავისი შეხედულებით, გონივრულ ფარგლებში განსაზღვროს წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობა, რომელიც მეორე მხარეს უნდა დაეკისროს.

წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქმის მოცულობა, მისი ფაქტობრივ-სამართლებრივი სირთულე, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა, მათი შემოსავალი და სხვა გარემოებები, რომლებიც განაპირობებს წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობის გონივრულ ფარგლებს. მოცემულ შემთხვევაში, ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის გარემოებაც, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის არსებითი განხილვა არ შედგა აპელანტის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო.

ამდენად, პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით და გამოარკვია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გაუქმებული ბოლნისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით საქართველოს სამომხმარებლო კოოპერატივების ცენ-

ტრალურ კავშირ ცეკავშირს სს „მ. სასაურსათო კომბინატის“ სასარგებლოდ დაეკისრა ადვოკატის მომსახურებისათვის განეული 17 000 ლარის ანაზღაურება.

აღსანიშნავია, რომ სამართალწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში სრულად განხორციელდა, მოპასუხის მიერ წარდგენილ იქნა შესაგებელი, გაიმართა რამდენიმე სასამართლო სხდომა. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში მოწინააღმდეგე მხარემ წარადგინა შესაგებელი, თუმცა აპელანტმა საქმის მოსამზადებელი ეტაპის დასრულების შემდეგ, მთავარ სხდომამდე სარჩელზე უარი განაცხადა.

შესაბამისად, პალატამ იხელმძღვანელა დავის საგნის ღირებულებით, შეაფასა პირველ და სააპელაციო ინსტანციებში არსებული დანახარჯები მატერიალური თუ ინტელექტუალური რესურსების გათვალისწინებით და მიიჩნია, რომ საქართველოს სამომხმარებლო კოოპერატივების ცენტრალურ კავშირ ცეკავშირს სს „მ. ს. კომბინატის“ სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 22 000 ლარის ანაზღაურება.

პალატამ ჩათვალა, რომ აღნიშნული გაანგარიშებით (17 000 ლარი – პირველი ინსტანციის სასამართლოში განეული მომსახურებისათვის, ხოლო 5000 ლარი – სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში განეული მომსახურებისათვის) საადვოკატო მომსახურების ანაზღაურება შეესაბამება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დანანესს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მითითებას საადვოკატო ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით ორივე ინსტანციის სასამართლოებში განხორციელებული სამართალწარმოების პროპორციულად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ცეკავშირმა შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და მოწინააღმდეგე მხარისათვის სასამართლო ხარჯების ანაზღაურებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

გასაჩივრებული განჩინება სასამართლომ დაამყარა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმება, პირველ რიგში, გულისხმობს იმის გარკვევას, თუ რამდენად სწორად განმარტა სასამართლომ ეს ნორმა და შეუფარდა იგი სადავო ურთიერთობას. იმისათვის, რომ გასაჩივრებული განჩინება ჩაითვალოს კანონიერად აუცილებელია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის სასამართლოსეული ინტერპრეტაცია გამომდინარეობდეს სამართლის თეორიაში ცნობილი კანონის განმარტების მე-

თოდებიდან.

ნორმის განმარტების გრამატიკული მეთოდის გამოყენებით შეუძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილი განსაზღვრავს საპროცესო ხარჯების ანაზღაურების წესს მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის მოტივით საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევისათვის. ამაზე არ მიუთითებს ხსენებულ ნორმაში გამოყენებული არც ერთი ტერმინის სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობა. ნორმაში საერთოდ არ არის მოხსენიებული ისეთი ტერმინები როგორცაა მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმა, საქმის წარმოების შეწყვეტა ან გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე საქმის წარმოების დამთავრება. მეტიც, მასში გამოყენებულია ისეთი ტერმინები, როგორცაა „გადაწყვეტილება“, „სარჩელის (მთლიანად/ნაწილობრივ) დაკმაყოფილება“ და სხვა, რომლებიც ცალსახად მიუთითებენ დავის არსებითად გადაწყვეტის შემთხვევაზე და შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში საპროცესო ხარჯების განაწილების წესზე.

ამდენად, კანონის გრამატიკული განმარტების მეთოდის გამოყენებით, სარჩელზე უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევა არ მოიცავს სამოქალაქო საპროცესოს კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოქმედების ფარგლებს.

სასამართლო არ გაითვალისწინა ამავე კოდექსის 54-ე მუხლი, რომელიც დასათაურებული, როგორც სასამართლო ხარჯებისა და ადვოკატის დახმარებისათვის გადასახდელი ხარჯების განაწილება სარჩელზე უარის თქმისა და მორიგებისას. ამდენად, კანონმდებელმა სარჩელზე უარის თქმის შემთხვევისას ხარჯების განაწილება მოაწესრიგა ცალკე ნორმით. ასეთ ვითარებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლში სარჩელის უარის თქმის შემთხვევაში საპროცესო ხარჯების გადაწყვეტის განაწილების წესის ძიება კანონის სისტემური განმარტების პრინციპს ეწინააღმდეგება.

მოცემულ შემთხვევაში, სრულიად აშკარაა, რომ გასაჩივრებულ განჩინებაში მოცემული საადვოკატო ხარჯის განაწილების საკითხის გადაწყვეტა არ ეფუძნება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ტელეოლოგიურ რედუქციასა და განვრცობით, მათ შორის, ანალოგიით გამოყენების შემთხვევას.

გასაჩივრებული განჩინებით არ ირკვევა, კანონის განმარტების რომელი მეთოდი გამოიყენა სააპელაციო სასამართლომ. იგი არ მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილზე და მისი გამოყენების მოტივაციაზე.

აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ გასაჩივრებული განჩინება იურიდიულად დაუსაბუთებელია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

სასამართლოს არ დაუცვია სამართლიანი ბალანსი მხარის ინტერესსა და სასამართლო პრაქტიკის განვითარების ინტერესს შორის. კასატორმა უარი თქვა რა მის მიერ აღძრულ სარჩელზე, მას არ გააჩნდა ლეგიტიმური მოლოდინი, რომ მონინალმდევე მხარის სასარგებლოდ 22 000 ლარის გადახდა დაეკისრებოდა. ამის საფუძველს მას არ აძლევდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შინაარსი და არც აღნიშნული ნორმის გამოყენების პრაქტიკა. საწინააღმდეგო შემთხვევაში, კასატორი უარს არ იტყოდა სარჩელზე და მოიგებდა დავას.

სამართლის განვითარების პრინციპი არ გამორიცხავს ამა თუ იმ ნორმის ინტერპრეტაციის ცვლილებას. თუმცა იგი არ შეიძლება განხორციელდეს სამართლებრივი განსაზღვრულობისა და სტაბილურობის პრინციპის ხარჯზე – პირი არ უნდა დადგეს ნორმის მოულოდნელი ინტერპრეტაციის ფაქტის წინაშე.

ამის ნათელი მაგალითია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, კერძოდ, თავდაპირველი პრაქტიკით კონვენციის მე-6 მუხლში გამოყენებული ტერმინები „სამოქალაქო უფლება“ და „სისხლისსამართლებრივი ბრალდება“ განიხილებოდა შედარებით ვიწროთ. აღნიშნული პრაქტიკის მიხედვით, საგადასახადო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ ხვდებოდა კონვენციის მე-6 მუხლით დაცულ სფეროში. მოგვიანებით არა ერთ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ საგადასახადო სანქციის სიმძიმე იძლეოდა მისი „სისხლის-სამართლებრივ ბრალდებად“, განხილვის საფუძველს და ექცეოდა კონვენციის მე-6 მუხლის სფეროში. ევროპული სასამართლოს ეს ცვლილება „მოულოდნელი“ არ ყოფილა ხელმძევრელი სახელმწიფოებისათვის, რაც მათ შესაძლებლობას აძლევდა საერთაშორისო პასუხისმგებლობის დაკისრებადმე თანადოდ დაერეგულირებინათ თავიანთი კანონმდებლობა.

მოცემულ შემთხვევაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მოულოდნელი განმარტების გამო კასატორი დარჩა თავისი უფლების დაცვის რეალური საშუალების გარეშე – მან ერთის მხრივ უარი თქვა სარჩელზე, ხოლო მეორე მხრივ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ახლებური განმარტება-გამოყენების მიუხედავად, იგი მოკლებულია შესაძლებლობას, მოითხოვოს მისი საა-

პელაციო საჩივრის არსებითი განხილვა.

იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო სასამართლო გაიზიარებს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის გამოყენების იმ
შედეგს, რაც გასაჩივრებული განჩინებით არის დადგენილი, ამა-
ვე კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თბილი-
სის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
2011 წლის 12 აპრილის განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე არ-
სებითი განხილვის მიზნით დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე
მუხლის 1-ლი ნაწილის ახლებური განმარტების გაზიარების შემ-
თხვევაში სასამართლოს მხარისათვის უნდა დაეკისრებინა მხო-
ლოდ სიმბოლური თანხის გადახდა. ხსენებული ნორმის 1-ლი
ნაწილის მე-2 წინადადება ითვალისწინებს ადვოკატის ხარჯის
გონივრულ და სამართლიან ანაზღაურებას.

გასაჩივრებულ განჩინებაში სააპელაციო სასამართლო არ
უთითებს ანგარიშგასანევ ფაქტზე, რაც დაასაბუთებდა კასა-
ტორისათვის დაკისრებული თანხის გონივრულობასა და სამარ-
თლიანობას.

პირველ ინსტანციაში განეული ხარჯის ასანაზღაურებლად
ცეკავშირს დაეკისრა 17 000 ლარის გადახდა. ეს მოსაზრება სა-
სამართლომ იმით დაასაბუთა, რომ პირველ ინსტანციაში მოპა-
სუხემ წარადგინა შესაგებელი და გაიმართა რამდენიმე სასა-
მართლო სხდომა.

სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მოსამზადებელი
სხდომის ჩათვლით, პირველ ინსტანციაში გაიმართა სულ სამი
სხდომა. ამასთან, მოსამზადებელ სხდომაზე არ დაკმაყოფილ-
და მოპასუხის არც ერთი შუამდგომლობა. დაკმაყოფილდა მო-
სარჩელის შუამდგომლობა მტკიცებულებათა გამოთხოვის შე-
სახებ, რასაც მოპასუხე უარყოფდა. მთავარ სასამართლო სხდო-
მაზე მოსარჩელეს ჩაბარდა სასამართლოს მიერ გამოთხოვილი
მტკიცებულებები დაახლოებით 70 ფურცლად, რის გამოც საქ-
მის განხილვა გადაიდო. შემდეგ სხდომაზე მოსარჩელემ განაც-
ხადა სარჩელის გამოთხოვის შესახებ, რასაც არ დაეთანხმა მო-
პასუხე.

ასეთ ვითარებაში, გაუგებარია, რა კრიტერიუმებით შეაფა-
სა სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დახარჯული დრო და გა-
ნეული სამუშაოს მოცულობა. სასამართლოს არ მიუთითებია
კონკრეტულად რა დრო დახარჯა მოპასუხის ადვოკატმა მო-
ცემულ საქმეზე და არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით
რას შეადგენს ჩვეულებრივ ადვოკატის საათობრივი მომსახუ-
რება საქართველოში.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ ცეკავშირს ისე დააკისრა მონინაალმდეგე მხარის მიერ პირველ ინსტანციაში „გაღებული“ ხარჯის სრულად ანაზღაურება, რომ არ გაუთვალისწინებია, დატოვებდა თუ არა იგი ძალაში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას.

სააპელაციო პალატამ არ შეასრულა საკასაციო სასამართლოს მითითებები, გააკეთა კონკრეტული დასკვნები საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი სირთულის შესახებ და საერთოდ არ გაითვალისწინა მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა და შემოსავალი. ამ საკითხის ირგვლივ სასამართლოს საერთოდ არ დაუსვამს კითხვა მხარეებისათვის. სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო, მოესმინა მხარეთა განმარტება ამ საკითხზე, ხოლო თუ ის არ იქნებოდა დამაჯერებელი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, შეეთავაზებინა მათთვის შესაბამისი მტკიცებულების წარმოდგენა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა ცეკავშირის კერძო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ კერძო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი საფუძვლებით:

მოცემული კერძო საჩივრით მხარე სადავოდ ხდის აპელანტისა და იმავდროულად მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის პირობებში მონინაალმდეგე მხარისათვის ადვოკატის მომსახურების ხარჯების – 22000 ლარის დაკისრებას.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება ცეკავშირის პოზიციას, რომ მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა და, მათ შორის, ხსენებული კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილი არ ითვალისწინებს სარჩელზე უარის თქმისას მონინაალმდეგე მხარის სასარგებლოდ წარმომადგენლის მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას. აღნიშნულ საკითხზე საკასაციო სასამართლომ უკვე გამოთქვა მოსაზრება სს „მ. ს. კომბინატის“, კერძო საჩივრის განხილვის დროს.

როგორც საკასაციო სასამართლომ მიუთითა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილი იმდაგვარად უნდა განმარტოს, რომ მხარის სასარგებლოდ გამოტანილ გადაწყვეტილებაში პირველ რიგში მოიაზრებოდეს საქმის გადაწყვეტის მატერიალურ-სამართლებრივი შედეგი. ამდენად, მო-

ცემული ნორმის მიზანია, დაიცვას იმ მხარის ინტერესები, რომლის სასარგებლოდაც დავა გადაწყდა.

საკაცაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელზე უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის დროს მიიღება მოპასუხისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილება, ვინაიდან სასამართლო აღარ იხილავს და, შესაბამისად, აღარც აკმაყოფილებს სასარჩელო მოთხოვნას.

სწორედ ზემოაღნიშნულის გამო სარჩელზე უარის თქმისას საქმის წარმოების შეწყვეტა ექცევა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოქმედების ფარგლებში და ასეთ დროს მოპასუხის მიერ გაღებული ხარჯის – წარმომადგენლის მომსახურების საფასურის მოსარჩელისათვის დაკისრება დასაშვებია.

საკაცაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ხსენებული მსჯელობის საწინააღმდეგოდ კერძო საჩივრის ავტორის მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 54-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე მითითებას.

მითითებული ნორმის თანახმად, მოპასუხე მოსარჩელის მიერ განუღო ხარჯებს არ ანაზღაურებს, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე. ეს დებულება წარმოადგენს ზოგად წესს, რაც გამოიყენება მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის შემთხვევაში. იგივე ნორმა ითვალისწინებს გამონაკლის შემთხვევასაც, რაც უკავშირდება მოპასუხის მიერ ნებაყოფლობით მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ასეთ დროს მოპასუხე ხარჯებს ანაზღაურებს. ორივე ამ შემთხვევაში საუბარია მოპასუხის პასუხიმგებლობაზე. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ნორმა არაფერს არ ამბობს მოსარჩელის პასუხისმგებლობაზე, როდესაც დავა მის საწინააღმდეგოდ წყდება. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმა უტოლდება მოპასუხის მიერ დავის მოგებას. მოპასუხის მიმართ აღძრული მოთხოვნა არ კმაყოფილდება. ამასთან, მითითებულ საკითხზე მხარეები ვეღარ იდავებენ. ბუნებრივია, სამართალწარმოება დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯებთან და იგი მოპასუხეს წარმოეშობა მოსარჩელის დაუკმაყოფილებელი სარჩელის გამო. ხარჯების ოდენობა მნიშვნელოვნად იზრდება რამოდენიმე ინსტანციაში დავის მიმდინარეობის დროს და მისი ანაზღაურების ვალდებულება კი ეკისრება იმ მხარეს, რომლის მოქმედებამაც განაპირობა ამ ხარჯების არსებობა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ვალდებულია, ანაზღაუროს ხარჯები კანონით დადგენილი წესით. კერძო საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ნორმა არ ათავი-

სუფლებს მოსარჩელეს ამ ვალდებულებისაგან.

მოცემულ შემთხვევაში, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სადავო მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის ხარჯების ანაზღაურების საკითხი. შესაბამისად, განსახილველი დავა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 54-ე მუხლის რეგულირების სფეროში არ ექცევა.

ყოველივე ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ სააპელაციო სასამართლომ სავსებით სწორად დააკისრა საქართველოს სამომხმარებლო კოოპერატივების ცენტრალური კავშირს – ცეკავშირს სადავო სახის ხარჯის ანაზღაურება.

რაც შეეხება მითითებული ხარჯის ოდენობას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილი არეგულირებს ადვოკატის დახმარებისათვის საფასურის გონივრულ, მისაღებ ოდენობას და დასაშვებად მიიჩნევს ადვოკატის მომსახურების განსაზღვრას დავის საგნის 4%-მდე ოდენობით. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას სასამართლო ითვალისწინებს დავის სამართლებრივ სირთულეს, წარმომადგენლის მიერ გაწეული სამუშაოს მოცულობასა და სხვა ფაქტორებს.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის მიერ სს „მ. ს. კომბინატის“ სასარგებლოდ ადვოკატის ხარჯების 22000 ლარით განსაზღვრას და მიიჩნევს, რომ აღნიშნული საფასური არ შეესაბამება კანონის ზემოხსენებულ მოთხოვნებს. ასეთი დასკვნის საფუძველს იძლევა ადვოკატის ანაზღაურებასთან დაკავშირებით ამჟამად საქართველოში არსებული ტენდენციებისა და როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის თავისებურებების (სასამართლო სხდომებისა და შესრულებული საპროცესო მოქმედებების რაოდენობა და სირთულე) ანალიზი.

საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას ამახვილებს სს „მ. ს. კომბინატსა“ და კს „... გ-ი და პარტნიორებს“ შორის საადვოკატო მომსახურებაზე დადებული ხელშეკრულების პირობაზე, რომელიც მომსახურების საფასურის ანაზღაურებას ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, თუ ცეკავშირის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდება.

მითითებული პირობის გონივრულად განმარტებიდან გამომდინარე, მარწმუნებელეს მომსახურების საფასურის ანაზღაურების ვალდებულება წარმოეშობა, თუ წარმომადგენელი საკუთარი პროფესიული ცოდნის გამოყენების შედეგად შეძლებს სააპელაციო საჩივრის დასაბუთების ისე უარყოფას, რომ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდება.

განსახილველ შემთხვევაში კი დავა მოპასუხისათვის ხელსაყრელად დასრულდა არა მისი წარმომადგენლის ძალისხმევით, არამედ აპელანტის მიერ სააპელაციო წარმოების დასაწყისშივე თავის მოთხოვნაზე უარის თქმის გამო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული დავის განხილვისას სს „მ. ს. კომბინატის“ ინტერესების დაცვა განსაკუთრებული სირთულის საპროცესო ღონისძიებებს არ უკავშირდებოდა და ადვოკატის მომსახურების რეალური საფასური ორივე ინსტანციისათვის უნდა განისაზღვროს სულ 3000 ლარით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერატივების ცენტრალური კავშირი – ცეკავშირი კერძო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის ქსააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ოქტომბრის განჩინება საქართველოს სამომხმარებლო კოოპერატივების ცენტრალურ კავშირ ცეკავშირისათვის სს „მ. ს. კომბინატის“ სასარგებლოდ საადვოკატო მომსახურებაზე განეული ხარჯების სახით 22 000 ლარის დაკისრების ნაწილში.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერატივების ცენტრალურ კავშირ ცეკავშირს სს „მ. ს. კომბინატის“ სასარგებლოდ დაეკისროს საადვოკატო მომსახურებისათვის განეული 3000 ლარის ანაზღაურება.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრებება.

**სახელმწიფო ბაჟისგან გათავისუფლების
საფუძვლები**

ბანჩინება

№ას-43-37-2010

7 მარტი, 2011 წ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა**
**შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ნ. კვანტალიანი**

დავის საგანი: საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 11 აგვისტოს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს განცხადებით მიმართა მ. მ-ძემ. განმცხადებელმა მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ივნისის განჩინებაზე საქმის წარმოების განახლება.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 12 აგვისტოს განჩინებით მ. მ-ძეს უარი ეთქვა განცხადების მიღებაზე.

ზემოაღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა მ. მ-ძემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით მ. მ-ძის კერძო საჩივარი დარჩა განუხილველად.

2010 წლის 15 ნოემბერს მ. მ-ძემ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ამავე სასამართლოს 2010 წლის 13 ოქტომბრის განჩინების გაუქმება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო და საქმის წარმოების განახლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 დეკემბრის განჩინებით მ. მ-ძის განცხადება დატოვებულ იქნა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ 2010 წლის 1 დეკემბრის განჩინებით მ. მ-ძის განცხადებას დაუდგინდა ხარვეზი, კერძოდ, მის ავტორს დაევალა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 5 დღეში გადაეხადა 100 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟი და გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარედგინა სასამართლოში. ამასთან, განმცხადებელს განემარტა, რომ და-

ნიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩებოდა განუხილველად. ხარვეზის შესახებ განჩინების ასლი მ. მ-ძეს გაეგზავნა და პირადად ჩაბარდა კანონით დადგენილი წესით 2010 წლის 8 დეკემბერს. შესაბამისად, მას ხარვეზის შევსებისათვის ვადა ჰქონდა 2010 წლის 13 დეკემბრის ჩათვლით. აღნიშნულ ვადაში განმცხადებელს ხარვეზი არ შეუვსია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე, 374-ე მუხლების საფუძველზე წარმოადგენდა განცხადების განუხილველად დატოვების წინაპირობას.

ამასთან, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მ. მ-ძის მიერ ხარვეზის შევსების მიზნით 2010 წლის 17 დეკემბერს წარდგენილი განცხადება არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო ხარვეზის შევსებად. მითითებული განცხადება შეიცავდა შუამდგომლობას სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე და 228-ე მუხლების საფუძველზე. დასახელებული საპროცესო ნორმები სრულიად არ შეეხება სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საკითხს და კონკრეტულ შემთხვევაში მათზე მითითება სასამართლოს მოსაზრებით გაუგებარი იყო. შუამდგომლობაზე თანდართულ სოციალური მომსახურების სააგენტოს ზუგდიდის მომსახურების ცენტრის 24.11.2010წ. №... ცნობასთან მიმართებით კი სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა შემდეგი: ამ ცნობით დგინდება, რომ მ. მ-ძე რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, მაგრამ არ არის დაანგარიშებული მისი სარეიტინგო ქულა, რაც განხორციელდება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, დასახელებული დოკუმენტი არ შეიძლებოდა გამხდარიყო განმცხადებლის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველი, რამდენადაც მხარის სარეიტინგო ქულის წინასწარ განსაზღვრა, ბუნებრივია, რომ გამოირიცხებოდა.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. მ-ძეს 2010 წლის 1 დეკემბრის განჩინებით დადგენილი ხარვეზი არ შეუვსია, განმცხადებელს არ აღმოუფხვრია ის გარემოებები, რაც სასამართლოს საშუალებას მისცემდა განცხადება საქმის წარმოების განახლებაზე დასაშვებად ეცნო.

სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 20 დეკემბრის განჩინება მ. მ-ძემ კერძო საჩივრით გაასაჩივრა. მან მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დაკმაყოფილება.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ხარვეზის შეუვსებ-

ლობის (სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის) გამო მისი განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველი არ არსებობდა, ვინაიდან იგი განთავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46.1 მუხლის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1 მუხლის „ა“ და „მ“ ქვეპუნქტების თანახმად, ასევე არსებობდა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მისი განთავისუფლების საფუძველი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47.1 მუხლის მიხედვით, რაც არ გაითვალისწინა სააპელაციო სასამართლომ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძველების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. მ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 დეკემბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინებით მ. მ-ძის განცხადების განუხილველად დატოვებას საფუძველად დაედო ის გარემოება, რომ განმცხადებელმა არ შეავსო სასამართლოს მიერ დანიშნული ხავეზი, კერძოდ, არ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 425-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა და მისი განხილვა წარმოებს საერთო წესების დაცვით, იმ გამონაკლისების გათვალისწინებით, რომლებიც ამ თავშია დადგენილი.

ამავე კოდექსის 38-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტისა და 39-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებაზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს – თუ განმცხადებელი ფიზიკური პირია 100 ლარს, ხოლო თუ განმცხადებელი იურიდიული პირია – 300 ლარს.

ამდენად, საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დასაშვებობის ერთ-ერთი წინაპირობაა სახელმწიფო ბაჟის წინასწარ გადახდა. იმ შემთხვევაში, თუ საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებაზე არ არის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, სასამართლო განმცხადებელს უნიშნავს ვადას ხარვეზის შესავსებად. თუ დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ შეივსება, განცხადება აღარ დაიშვება (სსსკ-ის 427-ე მუხლი).

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 1 დეკემბრის განჩინებით მ. მ-ძის განცხადებას დაუდგინდა ხარვეზი, კერძოდ მას დაევალა 5 დღის ვადაში 100 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდა. დადგენილია ასევე, რომ განმცხადებელს ხარვეზი არ შეუვსია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად დატოვა განუხილველად მ. მ-ძის განცხადება, ვინაიდან სასამართლოს მიერ დანიშნული ხარვეზის შეუვსებლობა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 427-ე და 429-ე მუხლების მიხედვით, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველია.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, მის განცხადებაზე ხარვეზის დადგენის საფუძველი არ არსებობდა, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ და „დ“ პუნქტების თანახმად, იგი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის ავტორის ხსენებულ მოსაზრებას არ იზიარებს და აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46.1 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან: გ) მოსარჩელები – დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების სარჩელებზე; დ) მხარეები უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრების უკანონოდ გამოყენების ან გამასწორებელ სამუშაოთა სახით ადმინისტრაციული სახდელის უკანონოდ დადების შედეგად მოქალაქისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ სარჩელებზე. მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელი საქმის წარმოების განახლებას მოითხოვს საქმეზე, სადაც მისი სარჩელის დავის საგანი იყო სს „მ-ის“ დირექტორის 2009 წლის 4 მარტის და 3 სექტემბრის ბრძანებების ბათილად ცნობა, რომლებითაც განმცხადებელს ჯერ შეუჩერდა შრომითი ურთიერთობა გარკვეული ვადით, ხოლო შემდეგ გაუგრძელდა შრომითი ურთიერთობის შეჩერების ვადა. ამდენად, მ. მ-ძის სარჩელი არ მიეკუთვნება იმ სარჩელთა კატეგორიას, რომლებიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46.1 მუხლის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების თანახმად გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. შესაბამისად, არც საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებაზე სახელმწიფო ბაჟის გა-

დახდისაგან მისი გათავისუფლების საფუძველი არ არსებობს.

კერძო საჩივრის ავტორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველად უთითებს ასევე „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან ფიზიკური პირები – სარჩელებზე ხელფასის გადახდევინების შესახებ და სხვა მოთხოვნებზე შრომის ანაზღაურების თაობაზე, რომლებიც გამომდინარეობს შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არც მითითებული კანონის მიხედვით არსებობს მ. მ-ძის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველი, ვინაიდან მისი სარჩელის დავის საგანი არ არის ხელფასის გადახდევინება ან სხვა მოთხოვნები შრომის ანაზღაურების თაობაზე, რომლებიც გამომდინარეობს შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ასევე კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ იგი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, რომლის დამადასტურებელი მტკიცებულებაც მან წარუდგინა სააპელაციო სასამართლოს.

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირი, რომლის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი ტოლია ან ნაკლებია საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვრულ ქულაზე.

„სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილების მე-7 მუხლის თანახმად, საარსებო შემწეობის მისაღები ზღვრული ქულა არის 57001.

ზემოაღნიშნულ ნორმათა მიხედვით, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან ის პირები, რომელთა ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი ზღვრული ქულის – 57001-ის ტოლია ან ნაკლებია მასზე.

მოცემულ შემთხვევაში განმცხადებლის მიერ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი იყო ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის შესახებ, რომლის თანახმად, განმცხადებლის ოჯახის სარეი-

ტინგო ქულა (სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი) შეადგენდა 66200-სს. შესაბამისად, იგი არ ექვემდებარებოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის მიხედვით.

აღნიშნული მსჯელობის საწინააღმდეგოდ, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მითითებას „სახელმწიფო ხარჯზე იურიდიული დახმარების მისაღებად ზღვრული ქულის განზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 24 ოქტომბრის №212 დადგენილებაზე, რომლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, პირი გადახდისუუნაროდ ითვლება და სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება ენიჭება, თუ იგი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი, რომლის სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 70000-ზე.

მითითებული დადგენილების შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ ამ დადგენილების საფუძველზე გადახდისუუნაროდ მიჩნეულ პირს უფლება ენიჭება ისარგებლოს იურიდიული დახმარებით სახელმწიფოს ხარჯზე. იურიდიული დახმარების სახეებს, რომლებითაც სარგებლობის უფლება ენიჭება გადახდისუუნარო პირს, განსაზღვრავს „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი. კერძოდ, ამ ნორმის თანახმად, ამ კანონის მიზნებისათვის, იურიდიული დახმარების სახეებია: ა) სამართლებრივი დოკუმენტების შედგენა; ბ) ბრალდებულისა და მსჯავრდებულის ინტერესების დაცვა სისხლის სამართლის პროცესში; გ) დაზარალებულის დაცვა სისხლის სამართლის პროცესში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ, სახელმწიფოს ხარჯზე დაცვის განხორციელების შემთხვევებში; დ) წარმომადგენლობა სასამართლოში ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით; ე) წარმომადგენლობა ადმინისტრაციულ ორგანოში. ამდენად, ხსენებული კანონის მიხედვით, იურიდიული დახმარება სახელმწიფოს ხარჯზე არ გულისხმობს ამ კანონის მიზნებისათვის გადახდისუუნაროდ მიჩნეული პირის გათავისუფლებას სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. შესაბამისად, უსაფუძვლოა კერძო საჩივრის ავტორის მითითება საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნულ დადგენილებაზე, ვინაიდან იგი არ ადგენს გადახდისუუნარო პირის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველს.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება ის გარემოება, რომ კერძო საჩივარს ერთვის ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის შესახებ, რომლის თანახმად, განმცხადებლის ოჯახის სარეიტინგო ქულა (სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი) შეადგენს 48630-ს. მართალია, ასეთი სარეიტინგო ქულა პირს ათავისუფლებს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1 მუხლის „მ1“ ქვეპუნქტის მიხედვით, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მ. მ-ძეს აღნიშნული სარეიტინგო ქულა მიენიჭა 2010 წლის 24 დეკემბერს, მისი განცხადების განუხილველად დატოვების შემდეგ, ამ დრომდე კი მისი სარეიტინგო ქულა შეადგენდა 66200-ს, რაც არ იძლეოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განმცხადებლის გათავისუფლების შესაძლებლობას.

კერძო საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობდა საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებაზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მისი გათავისუფლების საფუძველი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის მიხედვით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების დაწყებისათვის, მოცემულ შემთხვევაში საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებისათვის, სახელმწიფო ბაჟის გადახდა კანონითაა გათვალისწინებული. კანონი განსაზღვრავს ასევე, თუ რა შემთხვევაში შეუძლია სასამართლოს მხარის გათავისუფლება სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. აღნიშნულ საკითხს აწესრიგებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47.1 მუხლი, რომლის თანახმად, სასამართლოს, მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, თუ მოქალაქე დაასაბუთებს სასამართლო ხარჯების გადახდის შეუძლებლობას და სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ხოლო ამავე კოდექსის 103-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ განსაზღვრავს, თუ რომელი კონკრეტული მტკიცებულების წარდგენა შეიძლება გახდეს სასამართლო ხარჯე-

ბის გადახდისაგან მხარის გათავისუფლების საფუძველი. სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე შუამდგომლობის აღმძვრელმა პირმა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, თავად უნდა უზრუნველყოს სასამართლოსათვის იმ უტყუარი მტკიცებულებების წარდგენა, რომლებიც მის გადახდისუუნარობას დაასაბუთებს. მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლო აფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებლის გადახდისუუნარობის დასაბუთებლად სააპელაციო სასამართლომ საკმარისად არ მიიჩნია ამ უკანასკნელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები (ცნობა მეუღლის ავადმყოფობის შესახებ; ცნობა სს „მ-იდან“ 68 ლარის ოდენობით ხელფასის მიღების თაობაზე), რასაც იზიარებს საკასაციო სასამართლოც, ვინაიდან ეს მტკიცებულებები არასაკმარისია განმცხადებლის რეალური ქონებრივი მდგომარეობის დასადგენად, ისინი სასამართლოს არ უქმნიან რწმენას, რომ განმცხადებელს მძიმე ქონებრივი მდგომარეობის გამო არ შეუძლია გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი დაუსაბუთებელია, რის გამოც გასაჩივრებული განჩინება უცვლელად დატოვებას ექვემდებარება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-420-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. მ. მ-დის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 დეკემბრის განჩინება.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა

განჩინება

№ას-1762-1742-2011

15 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი ფლობით მიღების სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის დადგენა, მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობა, სამკვიდრო მონაწილის ნაწილობრივ ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 10 თებერვალს მ. დ-ემ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმებისა საქმის წარმოების განახლების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 5 ივლისის განჩინებით მ. დ-ის განცხადება არ დაკმაყოფილდა

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. დ-ემ და მოითხოვა მისი გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 19 სექტემბრის განჩინებით კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 5 ივლისის განჩინება.

2011 წლის 21 სექტემბერს მ. დ-ემ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა მოცემული საქმის განხილვისაგან მოსამართლე გ.გოდერძიშვილის აცილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 ოქტომბრის განჩინებით განცხადება დარჩა განუხილველად იმ საფუძველზე, რომ იგი წარდგენილი იყო საპროცესო ვადის დარღვევით.

2011 წლის 26 ოქტომბერს მ. დ-ემ განცხადებით მიმართა

სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა მოსამართლის აცილების თაობაზე წადგენილი განცხადების განხილვის საპროცესო ვადის აღდგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 ნოემბრის განჩინებით მ. დ-ის განცხადება საპროცესო ვადის აღდგენის თაობაზე დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. დ-ემ და მოითხოვა მისი გაუქმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 დეკემბრის განჩინებით მ. დ-ის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. დ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლებულ კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველად დარჩება.

საპროცესო ვადების არსებობას შეიძლება ჰქონდეს აზრი და მნიშვნელობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ვადების გასვლას მოჰყვება გარკვეული შედეგი, რასაც ითვალისწინებს დასახელებული მუხლი, რომლის დანაწესიდან გამომდინარე, თუ ისინი დადგენილ ვადაში არ შეასრულებენ საპროცესო მოქმედებას, მაშინ კარგავენ ამ მოქმედების შესრულების უფლებას.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 19 სექტემბრის განჩინებით მ. დ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 5 ივლისის განჩინება, რომლითაც მ. დ-ეს უარი ეთქვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე.

საქმის მასალებით ირკვევა ასევე, რომ 2011 წლის 21 სექტემბერს მ. დ-ის მიერ თბილისის სააპელაციო სასამართლოში

წარდგენილი განცხადება მოსამართლე გ. გიორგიშვილის აცილების თაობაზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით განუხილველად იქნა დატოვებული იმ საფუძველით, რომ იგი წარმოდგენილი იყო საპროცესო ვადის დარღვევით.

საქმის მასალებით ირკვევა ასევე, რომ მ. დ-ის მიერ 2011 წლის 26 ოქტომბრის განცხადება, მოსამართლის აცილების თაობაზე წარდგენილი განცხადების განხილვის საპროცესო ვადის აღდგენის თაობაზე დარჩა განუხილველი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ იმ პირობებში, როდესაც განცხადება საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ იქნა საქმის წარმოების დასრულების შემდეგ, კერძოდ, 2011 წლის 19 სექტემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მ. დ-ის კერძო საჩივარი, ხოლო განცხადება შეტანილ იქნა 2011 წლის 26 ოქტომბერს, სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, მ. დ-ის განცხადება სწორად დატოვა განუხილველად და, შესაბამისად, არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

მ. დ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 ნოემბრის განჩინება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უწყების ჩაბარება

განჩინება

№ას-492-468-2013

3 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიჭვილი,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილებით შპს „ბ.თ. მ-ის“ სარჩელი მოპასუხე ნ. კ-ის მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა:

მოპასუხე ნ. კ-ს მოსარჩელე შპს „ბ.თ. მ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 32000 ლარის გადახდა;

სარჩელი არ დაკმაყოფილდა მოპასუხისათვის პროცენტის 8320 ლარის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. კ-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 19 აპრილის განჩინებით ნ. კ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად, აპელანტის მიერ ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლოს დასახელებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ნ. კ-მა (წარმომადგენელი ა.ზ-ი), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის არსებითად განხილვა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ ხარვეზის განჩინება ჩაბარდა აპელანტის ოჯახის წევრს, ვინაიდან გზავნილის მიმღები პირი არ არის აპელანტის ოჯახის წევრი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერ-

ძო საჩივრის საფუძვლებს შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. კ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინებით ნ. კ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას საფუძვლად დაედო აპელანტის მიერ ხარვეზის გამოუსწორებლობა.

სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადის ვადის ათვლა დაიწყო ამავე სასამართლოს 2013 წლის 1 აპრილის განჩინების ქ.კ-ის ჩაბარების მომდევნო დღიდან – 2013 წლის 4 აპრილიდან. ქ. კ-ი სასამართლო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათზე მითითებულია, როგორც ადრესატის ბიძაშვილი (ოჯახის წევრი). აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ გზავნილი ადრესატისათვის ჩაბარებულად ჩათვალა.

კერძო საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას და განმარტავს, რომ სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინება აპელანტისათვის ჩაბარებულად არ უნდა იქნეს მიჩნეული, რადგან ქ. კ-ი მისი ოჯახის წევრს არ წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის ავტორის ზემოხსენებული პრეტენზიის საფუძვლიანობის შემონმებისას ყურადღებას მიაქცევს შემდეგს:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსაძახებელი პირი ვერ ნახა მის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს. უწყების ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაბარება ჩაითვლება უწყების ადრესატისათვის ჩაბარებად, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით. მიმღები ვალდებულია უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი და გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება.

საქმის მასალების თანახმად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 მარტის განჩინებით (რომელშიც ამავე სასამართლოს 2013 წლის 1 აპრილის განჩინებით გასწორდა უსწორობა) ნ. კ-ის სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი, კერძოდ, აპელანტს დაევალა სააპელაციო სასამართლოში 1280 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა. მითითებული განჩინებები აპელანტ ნ. კ-ს გაეგზავნა საქმე-

ში მის მიერ მითითებულ მისამართზე – ქ.თბილისი, ძ.ზ-ის ქ.12. დასახელებულ მისამართზე სასამართლო გზავნილები ორივე შემთხვევაში ჩაიბარა ქ. კ-მა, როგორც აპელანტის ოჯახის წევრმა (ბიძაშვილმა), რასაც ადასტურებს გზავნილებზე მისი ხელმოწერები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, ვინაიდან აპელანტის მიერ მითითებულ მისამართზე ქ. კ-მა, როგორც აპელანტის ოჯახის წევრმა, პრეტენზიის გარეშე ჩაიბარა სასამართლო გზავნილი, რაც დაადასტურა საკუთარი ხელმოწერით, არსებობს პრეზუმფცია, რომ სასამართლო უწყება ჩაიბარა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულმა უფლებამოსილმა პირმა – ადრესატის ოჯახის წევრმა. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოხსენებული პრეზუმფციის გაქარწყლების მტკიცების ტვირთი ეკისრება კერძო საჩივრის ავტორს (აპელანტს). ამ უკანასკნელს კი, მითითებული პრეზუმფციის გასაქარწყლებლად არანაირი მტკიცებულება არ წარმოუდგენია, რაც მის მოვალეობას წარმოადგენდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 103-ე მუხლების შესაბამისად.

ამდენად, არსებულ ვითარებაში, სასამართლო გზავნილი ჩაბარებულად მიიჩნევა ადრესატისათვის, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილი იმპერატიულად ადგენს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული პირისათვის უწყების ჩაბარება ჩაითვლება უწყების ადრესატისათვის ჩაბარებად. ამ ნორმის შესაბამისად, სასამართლო არკვევს მხოლოდ იმას, ჩაბარდა თუ არა უწყება ადრესატთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს. ასეთი ცნობის არსებობის შემთხვევაში, უწყება ადრესატისათვის ჩაბარებულად მიიჩნევა და სასამართლოს შეუძლია განახორციელოს შესაბამისი საპროცესო მოქმედება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადანწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, ამიტომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. კ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 19 აპრილის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

იურიდიული ინტერესი

გადანყვიბილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-365-347-2013

11 ნოემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვით ნახაზში ცვლილების შეტანა

აღწერილობითი ნაწილი:

2012 წლის 21 ივნისს ახალქალაქის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა ვ. ა-მა მოპასუხე ა. პ-ის მიმართ და მოითხოვა: დაევალოს მოპასუხეს შეიტანოს ცვლილება ქ. ნინოწმინდაში, ტ-ის ქ. №3-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე შედგენილ მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვით ნახაზში მოსარჩელის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გადაფარვის ფარგლებში, ზომით 18.5მX6.5მ, საერთო ფართობით 120.25კვ.მ.

სარჩელის თანახმად, მოსარჩელემ 1998 წლის 30 დეკემბერს

აუქციონზე შეიძინა ქ.ნინოწმინდაში, ტ-ის ქუჩაზე მდებარე ნინოწმინდის ავტოსატრანსპორტო საწარმოს ადმინისტრაციული შენობა, ფართით 2660კვ.მ. ამის საფუძველზე, 1998 წლის 31 დეკემბერს, სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს ნინოწმინდის განყოფილებასა და მოსარჩელეს შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება. მოსარჩელემ სრულად გადაიხადა მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების ღირებულება. ამავე დღეს მას გადაეცა შენობა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა. სარჩელის შეტანამდე მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა, რომ მისი მიწის ნაკვეთის ნაწილი, საერთო ფართით 120.25კვ.მ (18.5მX6.5მ), საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით უკანონოდ იყო რეგისტრირებული მოპასუხე ა. პ-ის სახელზე.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო. მისი მითითებით, მოსარჩელეს არანაირი მტკიცებულება არ წარუდგენია იმასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხემ მითთვისა მისი მიწის ნაკვეთი. ამასთან, ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებამდე მოპასუხემ მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნინოწმინდის სა-რეგისტრაციო სამსახურს და მას შემდგომ, როდესაც დარწმუნდა, რომ 550კვ.მ მიწის ნაკვეთი ზ. ე-ის სახელზე იყო რეგისტრირებული, ამ უკანასკნელთან დადო მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულება. ეს ხელშეკრულება ნინოწმინდის სარეგისტრაციო სამსახურში დარეგისტრირდა 2010 წლის 25 აგვისტოს.

ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 10 აგვისტოს გადაწყვეტილებით ვ. ა-ის სარჩელი მოპასუხე ა. პ-ის მიმართ დაკმაყოფილდა:

1. ა. პ-ს დაევალა საჯარო რეესტრში ცვლილების შეტანა ქ.ნინოწმინდაში, ტ-ის ქ. №3-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე 2010 წლის 1 ივლისს შედგენილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვით ნახაზში ვ. ა-ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გადაფარვის ფარგლებში, ზომით 18.5მ X 6.5მ-ზე, 120.25კვ.მ ფართით;

2 მოპასუხეს დაევალა ასევე გადაწყვეტილების აღსრულება მისი კანონიერ ძალაში შესვლიდან 14 დღის ვადაში; ამასთან, დადგენილ ვადაში მოპასუხის მიერ გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსარჩელეს უფლება მიეცა, ეს მოქმედება შეესრულებინა მოპასუხისაგან აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებით;

3. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 120 ლარის გადახდა წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 12 თებერვლის განჩინებით ა. პ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 10 აგვისტოს გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1997 წლის 28 თებერვლის ხელშეკრულებით, გ. ე-მა ნინონმინდის რაისამომხმარებლო კოოპერატივისაგან შეიძინა ყოფილი უნივერსიტეტის შენობა №2, რომელიც მდებარეობდა ქალაქ ნინონმინდაში, ტ-ის ქ.№3-ში;

გ. ე-ის გარდაცვალების შემდეგ, 2010 წლის 25 თებერვალს გაცემული სამკვიდრო მონუმბით, ნინონმინდის ყოფილი უნივერსიტეტის შენობა მემკვიდრეობით გადავიდა ზ. ე-ის საკუთრებაში;

2010 წლის 10 აგვისტოს ნასყიდობის ხელშეკრულებით, ზ. ე-ის სახელით მის წარმომადგენელ ა. პ-სა და ა. პ-ს შორის დადებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებით, ნინონმინდის ყოფილი უნივერსიტეტის შენობა გადავიდა მოპასუხე ა. პ-ის საკუთრებაში;

მოსარჩელე ვ. ა-ი წარმოადგენს ქ.ნინონმინდაში, ტ-ის ქ. №1-ში მდებარე ყოფილი ავტოსატრანსპორტო საწარმოს შენობის და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ფართობი 2660კვ.მ) მესაკუთრეს;

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნინონმინდის სა-რეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 1 მარტის გადაწყვეტილებით, ვ. ა-ის განცხადებაზე, საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ, შეჩერდა სარეგისტრაციო წარმოება იმ საფუძვლით, რომ სარეგისტრაციოდ წარდგენილ და საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს შორის არსებობდა ინსტრუქციით განსაზღვრული ზედდებობა, კერძოდ, განცხადებაზე თანდართული საკადასტრო აზომვითი ნახაზის მიხედვით, წარდგენილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემები არ შეესაბამებოდა მომიჯნავე უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს და მისი ნაკვეთის საზღვრები იჭრებოდა მომიჯნავე მიწის ნაკვეთის საზღვრებში, კერძოდ, ა. პ-ის საკუთრებაში (საკადასტრო კოდი: 65.12.34.064);

განსახილველი სარჩელით, მოსარჩელე ვ. ა-ი მოითხოვდა მი-
ნის ნაკვეთის საკადასტრო აზომვით ნახაზში ცვლილებების შე-
ტანას.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საკადასტრო
აზომვითი ნახაზის ხარვეზიანობის დადგენა არ არის საკმარისი
მოსარჩელის მიერ თავისი უფლების რეალიზაციისათვის. აუცი-
ლებელია, რომ ამ უსწორობით ილახებოდეს მოსარჩელის უფ-
ლება (სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლი). საკადასტრო აზომ-
ვითი ნახაზში უსწორო ჩანაწერი უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ
ნახაზი მოიცავს მოსარჩელის საკუთრებაში ან მისთვის მფლო-
ბელობაში გამოყოფილი მიწის ნაკვეთს, ანუ დარღვეულია სა-
კადასტრო მონაცემების ზედდების პრინციპი, კერძოდ, „საჯა-
რო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის
„მ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკადასტრო მონაცემების ზედდე-
ბა არის უძრავი ნივთის (მისი ნაწილის) საკადასტრო მონაცემე-
ბის იდენტიურობა უფლებარეგისტრირებული უძრავი ნივთის
(მისი ნაწილის) საკადასტრო მონაცემებთან. ამდენად, უნდა
დადგენილიყო: შეუსაბამობის შედეგად დაირღვა თუ არა ვ. ა-ის
საკუთრების უფლება, კერძოდ, ა. პ-ის მიერ შესრულებული მი-
ნის საკადასტრო აზომვით ნახაზში შეყვანილი იყო თუ არა სა-
დავო 120.25კვ.მ ფართი.

საქმეში წარდგენილი ნასყიდობის ხელშეკრულებებით, რო-
გორც აღინიშნა, ნასყიდობის საგანს ორივე შემთხვევაში წარ-
მოადგენდა მხოლოდ ნინონმინდის ყოფილი უნივერსალის შე-
ნობა. ამასთან, საქმეზე მოწმედ დაკითხული პირების: ს. მ-ის
(ყოფილი რაისამომხარებლო კოოპერატივის ბუღალტერი), ვ. მ-
ის (ყოფილი ავტოსატრანსპორტო სანარმოს ბუღალტერი), ს. ბ-
ის (მეზობელი) და ჟ. ე-ის (მეზობელი) ჩვენებებიდან ირკვეოდა,
რომ განაშენიანებისგან თავისუფალი მიწის ნაკვეთი არასდროს
ყოფილა არც უნივერსალის და არც მოპასუხე ა. პ-ის სარგებ-
ლობაში.

სასამართლომ, ადგილზე დათვალიერების შედეგად დაად-
გინა, რომ სადავო 120.25კვ.მ ფართის მქონე მიწის ნაკვეთი მდე-
ბარეობდა ქ. ნინონმინდაში, ტ-ის ქუჩაზე ყოფილი უნივერსალი-
სა და ყოფილი ავტოსატრანსპორტო სანარმოს ყოფილ ადმი-
ნისტრაციულ შენობას შორის. ამასთან ერთად, იგი შემოღობი-
ლი იყო ისე, რომ ნაკვეთზე შესასვლელი იყო მხოლოდ ავტო-
სატრანსპორტო სანარმოს მხრიდან და ლოგიკურად, ყოფილი
ავტოსატრანსპორტო სანარმოს მიწის ნაკვეთთან ერთად შე-
ადგენდა ერთ მთლიანს.

სააპელაციო სასამართლომ, ზემოხსენებული მტკიცებულებე-

ბებისა და საქმეში წარდგენილ რეგისტრირებულ მონაცემებთან ზედდების ამსახველი ნახაზის შეფასების შედეგად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ ნინონმინდის ყოფილ უნივერსიტეტზე არ იყო მიმაგრებული სადავო 120.25კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთი. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხის მხრიდან საჯარო რეესტრში წარდგენილ ნახაზში დაშვებული იყო უზუსტობა, რამაც შესაბამისად, გამოიწვია უზუსტობა საჯარო რეესტრის მონაცემებში, კერძოდ, მოპასუხის მიერ წარდგენილი საკადასტრო აზომვითი ნახაზი მოიცავდა მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ უძრავი ნივთის (120.25კვ.მ ფართის) ნაწილს.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და მართებულად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 170-ე, 172-ე, 185-ე და 312-ე მუხლებით, აგრეთვე, „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით.

კონკრეტულ შემთხვევაში, დადგინდა საკადასტრო აზომვითი ნახაზის ხარვეზიანობა, ამასთან, დადგინდა, რომ მოპასუხის მიერ სარეგისტრაციოდ წარდგენილი საკადასტრო აზომვითი ნახაზი მოიცავდა მოსარჩელის საკუთრებაში გამოყოფილი მიწის ნაკვეთის ნაწილს. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ დადასტურდა რა სადავო საკადასტრო აზომვითი ნახაზით მოსარჩელის საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტი, საფუძვლიანი იყო მოსარჩელის მოთხოვნა მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვით ნახაზში ცვლილების შეტანის თაობაზე და იგი მართლზომიერად დაკმაყოფილდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია ასევე აპელანტის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ დაუსაბუთებელი იყო მოსამართლის აცლილებაზე უარის თქმის შესახებ ახალქალაქის რაიონული სასამართლოს საოქმო განჩინება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოსამართლემ არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ ის ამ საქმეში თვითონ წარმოადგენს მხარეს, ან მას ამა თუ იმ მხარესთან საერთო უფლებები ან ვალდებულებები აკავშირებს; ამ საქმის ადრინდელ განხილვაში მონაწილეობდა მონმედ, ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, წარმომადგენლად ან სასამართლო სხდომის

მდივნად; მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია; პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით ან, თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ნათესავებად ითვლებიან: მეუღლე, დანიშნული, პირდაპირი ხაზის ნათესავები, და-ძმა, დისშვილები და ძმისშვილები, მშობლების და-ძმები, დანათესავებულები (მოყვრები), პირები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ოჯახური ურთიერთობით არიან დაკავშირებულნი.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მითითებული ნორმა განსაზღვრავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის დროს მოსამართლე ვერ მიიღებს მონაწილეობას კონკრეტული საქმის განხილვაში. მოცემულ შემთხვევაში, როგორც საქმის მასალებიდან ირკვეოდა, მოპასუხემ ვერ მიუთითა მოსამართლის აცილების კანონით გათვალისწინებულ, საქმის განხილვაში მონაწილეობის დამაბრკოლებელ, ვერც ერთ გარემოებაზე. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ დასახელებული შუამდგომლობა მართებულად არ დაკმაყოფილდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. პ-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

სასამართლომ არასწორად მიიჩნია მოსარჩელე ქ.ნინოწმინდაში, ტ-ის ქ. №1-ში მდებარე ავტოსატრანსპორტო სანარმოს შენობის და არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის (ფართობით 2660კვ.მ) მესაკუთრედ, ვინაიდან ეს ქონება არ არის რეგისტრირებული მოსარჩელის სახელზე. საგულისხმოა, რომ პირადობის დამადასტურებელ მოწმობაში მითითებულია ვ. ა-ზე, ხოლო საკუთრების მოწმობაში – ვ. ა-ზე. სასამართლოს არ გაურკვევია, წარმოადგენს თუ არა იგი ერთსა და იმავე პიროვნებას;

მოსარჩელეს არ წარუდგენია ის საკადასტრო ნახაზი, რომლის საფუძველზეც მოხდა ნაკვეთების გადაფარვა. მას ასევე არ წარუდგენია იმის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი, რომ სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ფაქტობრივი საფუძვლების ამსახველ ნახაზზე მიწის ნაკვეთი შეესაბამება 2660კვ.მ-ს. ნინოწმინდის საკრებულოს მიერ გაცემული ცნობით დგინდება, რომ ავტოსატრანსპორტო სანარმოს უკავია 2795კვ.მ ფართი;

მოსარჩელის საკუთრების მონუმობიდან ირკვევა, რომ მან ავტოსატრანსპორტო შენობა შეიძინა 1998 წლის 31 დეკემბერს. საკუთრების მონუმობასა და პრივატიზაციის ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ მხარემ შეიძინა ავტოსატრანსპორტო საწარმოს შენობა და არა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;

სასამართლომ არ შეაფასა საქმეში არსებული ტექნიკური პასპორტი, რომლის თანახმად, შენობა-ნაგებობას აქვს 550კვ.მ მიწა, 46კვ.მ დამხმარე სათავსო და ხის საპირფარეშო. გარდა ამისა, არანაირი შეფასება არ მიეცა მიწის ნაკვეთისა და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობების საინვენტარიზაციო გეგმას, რომელიც შედგენილია 1997 წელს, მათში მითითებულია 550კვ.მ მიწის ფართობზე;

მოსარჩელის მიერ წარდგენილი ნახაზი ხარვეზიანია, კერძოდ, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ფაქტობრივი საფუძვლების ამსახველ ნახაზში არ არის მითითებული ზომები, არ არის გარკვეული მოცემული ნახაზის მიხედვით რამდენ კვადრატულ მეტრს შეადგენს ავტოსატრანსპორტო საწარმო;

სასამართლო არასწორად იყენებს სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლს და მასზე დაყრდნობით არასწორად ამტკიცებს, რომ თითქოს ა. პ-ი არ არის კეთილსინდისიერი შემძენი. გაუგებარია, თუ საიდან უნდა სცოდნოდა ა. პ-ს, რომ უნივერმალს სარგებლობაში არ ჰქონდა მიწა, მაშინ როდესაც ასეთი რეგისტრირებული იყო;

გ. ე-მა უნივერმალის შენობა შეიძინა 1997 წლის 28 თებერვალს. იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მიწის ნაკვეთი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ნასყიდობის საგანი. ასეთი რამე დასაშვები გახდა 1997 წლის 25 ნოემბრის შემდეგ, როდესაც მიწის ნაკვეთები ფიზიკურ პირებს გადაეცათ სარგებლობაში. ამდენად, 550კვ.მ მიწის ნაკვეთი გადავიდა მის სარგებლობაში. რაც შეეხება სამკვიდრო მონუმობას, მასში მითითებულია, რომ ზ. ე-მა მემკვიდრეობით მიიღო უძრავი ქონება შემდეგი მახასიათებლებით: სარეგისტრაციო ზონა – ნინონმინდა, კოდი – 65, სექტორი – ნინონმინდა, კოდი – 12, კვარტალი – 25, ნაკვეთი – 058, ფართობი – 550კვ.მ დაზუსტებული. ამდენად, არასწორია სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ სამკვიდრო მონუმობაში მიწის ნაკვეთის ფართი აღნიშნული არ არის.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ ა. პ-

ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

1997 წლის 28 თებერვლის ხელშეკრულებით, გ. ე-მა ნინონმინდის რაისამომხმარებლო კოოპერატივისაგან შეიძინა ყოფილი უნივერმალის შენობა №2, რომელიც მდებარეობდა ქალაქ ნინონმინდაში, ტ-ის ქ.№3-ში;

გ. ე-ის გარდაცვალების შემდეგ, 2010 წლის 25 თებერვალს გაცემული სამკვიდრო მონმობით, ნინონმინდის ყოფილი უნივერმალის შენობა მემკვიდრეობით გადავიდა ზ. ე-ის საკუთრებაში;

2010 წლის 10 აგვისტოს ნასყიდობის ხელშეკრულებით, ზ. ე-სა და ა. პ-ს შორის დადებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებით, ნინონმინდის ყოფილი უნივერმალის შენობა გადავიდა მოპასუხე ა. პ-ის საკუთრებაში;

მოსარჩელე ვ. ა-ი წარმოადგენს ქ.ნინონმინდაში, ტ-ის ქ. №1-ში მდებარე ყოფილი ავტოსატრანსპორტო სანარმოს შენობის და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ფართობი 2660კვ.მ) მესაკუთრეს;

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნინონმინდის სა-რეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 1 მარტის გადაწყვეტილებით, ვ. ა-ის განცხადებაზე, საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ, შეჩერდა სარეგისტრაციო წარმოება იმ საფუძვლით, რომ სარეგისტრაციოდ წარდგენილ და საჯარო რე-ეტრში რეგისტრირებულ უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს შორის არსებობდა ინსტრუქციით განსაზღვრული ზედდებ-ბა, კერძოდ, განცხადებაზე თანდართული საკადასტრო აზომ-ვითი ნახაზის მიხედვით, წარდგენილი მიწის ნაკვეთის საკადას-ტრო მონაცემები არ შეესაბამებოდა მომიჯნავე უძრავი ნივ-თის საკადასტრო მონაცემებს და მისი ნაკვეთის საზღვრები იჭ-რებოდა მომიჯნავე მიწის ნაკვეთის საზღვრებში, კერძოდ, ა. პ-ის საკუთრებაში (საკადასტრო კოდი: ...).

საკადასტრო აზომვით ნახაზში შეყვანილია სადავო 120.25კვ.მ მიწის ფართი;

განსახილველი სარჩელით, მოსარჩელე მოითხოვდა მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვით ნახაზში ცვლილებების შეტა-ნას.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად საკასაციო სასამარ-თლო ასკვნის, რომ მხარეთა შორის დავას ინვეეს არა მარტო საკადასტრო აზომვითი ნახაზი, არამედ, ასევე, სადავო მიწაზე

საკუთრების უფლება. ამ თავისებურების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შეუძლებელია სწორი დასკვნების გამოტანა საქმეზე მხოლოდ საკადასტრო აზომვითი ნახაზის სისწორის დადგენის გზით.

როგორც აღინიშნა, მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა მოპასუხისათვის მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვით ნახაზში ცვლილებების შეტანის დავალება. მოსარჩელის მითითებით, სადავო მიწის ნაკვეთი (საერთო ფართობი 120.25კვ.მ) წარმოადგენდა მის საკუთრებას, რომელიც 1998 წლის 30 დეკემბერს აუქციონის გზით შეიძინა და საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით უკანონოდ იყო რეგისტრირებული მოპასუხის სახელზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული მოთხოვნით არ მიიღწევა ის იურიდიული შედეგი, რომლის ინტერესიც მოსარჩელეს გააჩნია. მოსარჩელის იურიდიული ინტერესი მიმართულია სადავო მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრში თავის საკუთრებად რეგისტრაციისაკენ. ამასთან მიმართებით მნიშვნელოვანია სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, რომლის თანახმად, საჯარო რეესტრში შეყვანილია მოსარჩელის საკუთრების უფლების რეგისტრაცია, რადგან მისი მიწის ნაკვეთის საზღვრები იჭრება მომიჯნავე მიწის ნაკვეთის საზღვრებში, კერძოდ, მოპასუხის საკუთრებაში. ამდენად, უდავოა, რომ სადავო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია მოპასუხის სახელზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოსარჩელე სადავოდ არ ხდის არც საჯარო რეესტრის მიერ სადავო ფართის (120.25კვ.მ) მის საკუთრებაში რეგისტრაციაზე წარმოების შეჩერების შესახებ ადმინისტრაციული აქტის კანონიერებას და არც ამ ფართის მოპასუხის საკუთრებაში რეგისტრაციის ფაქტს. ასეთ ვითარებაში, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებზე.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლი ადგენს რეგისტრაციის გაუქმების საფუძვლებს, რასაც ასევე ითვალისწინებს „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-17 მუხლი (ანალოგიურ დანაწესს ითვალისწინებდა „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 13 დეკემბრის

№800 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 68-ე მუხლი). მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ზემომითითებული ნორმებიდან გამომდინარე, საკადასტრო აზომვით ნახაზში ცვლილებების განხორციელება არ იწვევს იმ სამართლებრივ შედეგს, რომლის მიღწევაც მოსარჩელეს სურს.

მოსარჩელე სადავოდ ხდის მხოლოდ საკადასტრო აზომვით ნახაზს, რაც თავისი სამართლებრივი მნიშვნელობით წარმოადგენს სარეგისტრაციო წარმოების დაწყების ერთ-ერთ (და არა ერთადერთ) საფუძველს („საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი). მითითებული ნორმის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების დაწყების საფუძველია განცხადება ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. განცხადებას უნდა ერთვოდეს ინსტრუქციით განსაზღვრული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია და ინფორმაცია. მარეგისტრირებელი ორგანო უფლებამოსილია, კონკრეტულ შემთხვევაში დამატებით მოითხოვოს სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოდგენა, რომელიც აუცილებელია განცხადებით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკადასტრო აზომვითი ნახაზის განხორციელების სამართლებრივი ნორმები წარმოადგენენ საჯარო რეესტრის წარმოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი საფუძველების ერთ-ერთ მარეგულირებელ მექანიზმს, რითაც განისაზღვრება საჯარო რეესტრის წარმოებასთან დაკავშირებული თავისებურებები. „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 25-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკადასტრო მონაცემები არის ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით ასახული, მიწის ნაკვეთის საზღვრის კონფიგურაციისა და ადგილმდებარეობის, მასზე არსებული ნაგებობების, მათ შორის ხაზოვანი ნაგებობების, ასევე სერვიტუტის ან სხვა სამართლებრივი შეზღუდვის ფარგლების შესახებ გრაფიკულად და ტექსტურად გამოსახული ზუსტი ინფორმაცია. აღნიშნული დანაწესი უზრუნველყოფს ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის საზღვრის დადგენის რეალიზაციას („საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 152-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). აქედან გამომდინარე, საკადასტრო აზომვითი ნახაზი უნდა აკმაყოფილებდეს ტექნიკურ პირობებს, რომლის თანახმად, საკადასტრო აზომვით ნახაზს თან უნდა ერთვოდეს წერილობითი ინფორმაცია საკადასტრო აღწერის უფ-

ლებამოსილი პირის, უძრავი ნივთის და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობების აღწერილობისა და დაინტერესებული პირის შესახებ, აგრეთვე, დამსწრეთა და უძრავი ნივთის მოსაზღვრე უძრავი ნივთის (ნივთების) მართლზომიერი მფლობელის ან მესაკუთრის არსებობის შესახებ („საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 26-ე მუხლის მე-5 პუნქტი).

საკადასტრო აზომვითი ნახაზი არ წარმოადგენს უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს. რეგისტრაციის პერიოდში მოქმედი „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 13 დეკემბრის №800 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, უფლების დამადასტურებელი დოკუმენტს წარმოადგენს ნორმატიული ანდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, სასამართლო (საარბიტრაჟო) აქტი, გარიგება ან სხვა სამართლებრივი აქტი, რომელიც წარმოშობს უძრავ ნივთზე უფლების, ყადაღისა და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის წარმოშობის, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას. ხსენებული ინსტრუქციის მე-10 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკადასტრო მონაცემები წარმოადგენენ რეგისტრაციის ერთ-ერთ (და არა ერთადერთ) საფუძველს. ამავე ინსტრუქციის მე-2 მუხლის „უ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკადასტრო აზომვითი ნახაზი არის უფლებამოსილი პირის მიერ ამ ინსტრუქციის მოთხოვნათა დაცვით შესრულებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემების ამსახველი დოკუმენტი და არა უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკადასტრო აზომვითი ნახაზის ხარვეზიანობის დადგენა არ არის საკმარისი მოსარჩელის მიერ თავისი უფლების რეალიზაციისათვის. მნიშვნელოვანია, რომ ამ უსწორობით ილახებოდეს მოსარჩელის უფლება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლი), რომლის დაცვას ის უნდა ახორციელებდეს კანონის მოთხოვნათა დაცვით.

საკადასტრო აზომვითი ნახაზის სიზუსტეზე პასუხისმგებლობა ეკისრება უძრავი ნივთის მესაკუთრეს („საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 30-ე მუხლი), მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე უთითებს საკუთრების უფ-

ლების დარღვევაზე მოპასუხის სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის ფაქტით, მხოლოდ საკადასტრო აზომვითი ნახაზში ცვლილებების განხორციელება არ არის საკმარისი მოსარჩელის მიერ იურიდიული ინტერესის დასაკმაყოფილებლად.

ყოველივე ზემოაღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ საკადასტრო აზომვითი ნახაზი წარმოადგენს უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის ერთ-ერთ აუცილებელ ინფორმაციას, ხოლო მასში სასამართლო გადანყვეტილებით განხორციელებული ცვლილებები არ არის საკმარისი მოსარჩელის იურიდიული ინტერესის დასაკმაყოფილებლად, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია (საკასაციო პალატის ზემოხსენებული დასკვნები შესაბამისობაშია მსგავსი კატეგორიის დავებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკასთან (იხ. სუსგ, 6 სექტემბერი 2013 წელი, საქმე №ას-1648-1545-2012-ა-ი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადანყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია, რაც ამ გადანყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადანყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადანყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადანყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საკასაციო სასამართლოს ახალი გადანყვეტილებით ვ. ა-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მა-

შინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის იმ მოთხოვნათა პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ მოპასუხე ა. პ-ს სააპელაციო საჩივარზე გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი 160 ლარი, ხოლო, საკასაციო საჩივარზე 300 ლარი, სულ 460 ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, მონინალმდევე მხარეს კასატორის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 460 ლარის ანაზღაურება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. აღნიშნული მუხლის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარდგენა არ დაიშვება, შესაბამისად, მათზე საკასაციო სასამართლო ვერ იმსჯელებს. ამავე კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე თანდართული მტკიცებულებები (საქართველოს შსს ნინონმინდის რაიონული სამმართველოს 2013 წლის 4 იანვრის წერილობითი უარი მ. პ-ის განცხადების საფუძველზე გამოძიების დაწყებაზე; ნინონმინდის მუნიციპა-

ლიტეცის საკრებულოს 2013 წლის 22 თებერვლის წერილობითი პასუხი მოქალაქე მ.ფ-ის მიმართ; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ განცხადების მიღების ბარათი; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება. კასატორს უნდა დაუბრუნდეს ასევე საკასაციო წარმოების ეტაპზე წარმოდგენილი მტკიცებულებები, კერძოდ: საქართველოს შსს ნინოწმინდის რაიონული სამმართველოს 02.07.2013წ. მიმართვის წერილი; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 2 მაისის წერილი დანართით; საკუთრების მონაშობის დამონმებული ასლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408.3 და 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. ა. პ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ვ. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. ვ. ა-ს კასატორ ა. პ-ის სასარგებლოდ დაეკისროს 460 ლარის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;
5. კასატორ ა. პ-ს დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე თანდართული და საკასაციო წარმოების ეტაპზე წარმოდგენილი მტკიცებულებები, კერძოდ: საქართველოს შსს ნინოწმინდის რაიონული სამმართველოს 2013 წლის 4 იანვრის წერილობითი უარი მ.პ-ის განცხადების საფუძველზე გამოძიების დაწყებაზე; ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 22 თებერვლის წერილობითი პასუხი მოქალაქე მ.პ-ის მიმართ; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ განცხადების მიღების ბარათი; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება; საქართველოს შსს ნინოწმინდის რაიონული სამმართველოს 02.07.2013წ. მიმართვის წერილი; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 2 მაისის წერილი დანართით; საკუთ-

რების მოწმობის დამონმებული ასლები.

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფა

განჩინება

№ას-343-326-2013

17 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
თ. თოდრია,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ხელშეშლის აღკვეთა, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, ზიანის ანაზღაურება (ძირითად სარჩელში) ხელშეშლის აღკვეთა, ელექტროენერგიის მომხმარებლად აღრიცხვა, ელექტროენერგიის მიწოდების აღდგენის დავალდებულება, ზიანის ანაზღაურება (შეგებებულ სარჩელში)

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გ. მ-სა და მ. ვ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „მ. 2000-ს“ აეკრძალა გ.მ-სა და მ. ვ-ის საკუთრებაში არსებული ქ.ქუთაისში, წ-ის ქ. №10-ში მდებარე №2 ფართის ხელყოფა და სადავო ფართი გამოთხოვილ იქნა შპს „მ. 2000-ის“ უკანონო მფლობელობიდან. სარჩელი ზიანის ანაზღაურების შესახებ არ დაკმაყოფილდა, ასევე არ დაკმაყოფილდა შპს „მ. 2000-ის“ შეგებებული სარჩელი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს „მ. 2000-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გ. მ-სა და მ. ვ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა ზიანის ანაზღაურებაზე ძირითადი სარჩელისათვის უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით გ. მ-სა და მ. ვ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „მ. 2000-ს“ გ.მ-სა და მ.ვ-ის სასარგებ-

ლოდ დაეკისრა 20000 აშშ დოლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს „მ. 2000-მა“ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და შპს „მ.ს 2000-ის“ შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 15 მაისის განჩინებით შპს „მ. 2000-ის“ საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

2013 წლის 16 ივლისს სასამართლოს განცხადებით მომართა გ. მ-ის წარმომადგენელმა გ. ზ-მა და მოითხოვა შპს „მ. 2000-ის“ ბალანსზე არსებული მოძრავი ნივთებისა და საწარმოს საბანკო ანგარიშების დაყადაღება. განმცხადებლის მითითებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა 20 000 აშშ დოლარისა და პროცესის ხარჯების ნაწილში, თუმცა არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ, ამჟამად დაკისრებული თანხის გადახდისათვის თავის არიდების მიზნით, შპს „მ. 2000“ გაასხვისებს მის ბალანსზე არსებულ მოძრავ ნივთებს და სხვაგვარად მიმართავს თავის ანგარიშზე დაცულ ფულად სახსრებს.

განმცხადებელმა აღნიშნა, რომ შპს „მ. 2000-ის“ ძირითადი საქმიანობის საგანს წარმოადგენს ტანსაცმლით ვაჭრობა. საწარმოს ქ.ქუთაისში გახსნილი აქვს მაღაზია „ბენეტონი“ და მისი მეშვეობით ახდენს საქონლის რეალიზებას, ხოლო უძრავი ქონება არ გააჩნია. ამდენად, ხსენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი გახდება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი შუამდგომლობის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ გ. მ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემული საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით გ. მ-სა და მ. ვ-ის სარჩე-

ლი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „მ. 2000-ს“ გ. მ-სა და მ. ვ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 20000 აშშ დოლარის გადახდა.

წარმოდგენილი განცხადებით მხარე მოითხოვს, ყაღალა დაედოს შპს „მ. 2000-ის“ კუთვნილ ქონებას (მოძრავ ნივთებსა და საბანკო ანგარიშებს) იმ მოტივით, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი გახდება, რადგან არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ამჟამად დაკისრებული თანხის გადახდისათვის თავის არიდების მიზნით შპს „მ. 2000“ გაასხვისებს მის ბალანსზე არსებულ მოძრავ ნივთებს და სხვაგვარად მიმართავს თავის ანგარიშზე დაცულ ფულად სახსრებს.

განმცხადებლის განმარტებით, შპს „მ. 2000-ის“ ძირითადი საქმიანობის საგანს წარმოადგენს ტანსაცმლით ვაჭრობა. საწარმოს ქ.ქუთაისში გახსნილი აქვს მაღაზია „ბენეტონი“, სადაც ახდენს საქონლის რეალიზებას, ხოლო უძრავი ქონება არ გააჩნია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს მხარეს, მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, თუ იქმნება ვარაუდი, რომ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება შემდგომში გაძნელდება ან შეუძლებელი გახდება. ამისათვის მხარემ სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება, რათა სა-

სამართლოს შეექმნას რწმენა კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე სარჩელის უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ. აღნიშნული საკითხების დამაჯერებლად დამტკიცება მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ სარჩელის უზრუნველყოფა წარმოადგენს ერთი მხარისათვის თავისი უფლებების დაცვის გარანტიას, ხოლო მეორე მხარეს უზღუდავს კანონიერი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას და ერთ-ერთი მხარის უფლებების თუნდაც კანონისმიერ ფარგლებში შეზღუდვისას, სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულდება საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგის – გადაწყვეტილების აღსრულება. ამასთან, სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების ღონისძიების გატარების შედეგად დაცული უნდა იყოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლით განსაზღვრული მხარეთა თანასწორობის პრინციპი.

მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელ გ. მ-ის სარჩელი თანხის დაკისრების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულია, რაც კიდევ უფრო მეტად ამყარებს სასამართლოს ვარაუდს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას,

საკასაციო პალატის მოსაზრებით, განმცხადებელი მიუთითებს იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, კერძოდ აღნიშნავს, რომ დავის გადაწყვეტის პერიოდში მოპასუხემ შესაძლოა გადაწყვეტილების აღსრულებისათვის თავის არიდების მიზნით გაასხვისოს მის ბალანსზე არსებული ქონება. გასაზიარებელია განმცხადებლის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ სწორედ ყადაღა ის ღონისძიება, რაც გამოირიცხავს ქონების რაიმე ფორმით განკარგვას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკითხს იმის შესახებ, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, წყვეტს სასამართლო მოსარჩელის განცხადების შესაბამისად. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები შეიძლება იყოს ყადაღის დადება ქონებაზე.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ. მ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენე-

ბის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად შპს „მ. 2000-ის“ ბალანსზე არსებულ მოძრავ ნივთებსა და სანარმოს საბანკო ანგარიშებზე არსებულ თანხებს უნდა დაედოს ყადაღა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებული თანხის ფარგლებში მოცემულ საქმეზე მიღებული სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე, 198-ე, 199-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. მ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. ყადაღა დაედოს შპს „მ. 2000-ის“ ბალანსზე არსებულ მოძრავ ნივთებსა და შპს „მ. 2000-ის“ საბანკო ანგარიშებზე არსებულ თანხებს 20000 აშშ დოლარის ფარგლებში მოცემულ საქმეზე მიღებული სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

3. განემარტოს განმცხადებელს, რომ თუ სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება გაუმართლებელი გამოდგა იმის გამო, რომ მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელზე და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, მაშინ ის მხარე, რომლის სასარგებლოდაც მოხდა უზრუნველყოფა, ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ზარალი, რომელიც მას მიადგა სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიების შედეგად.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა

განჩინება

№ას-474-450-2013

24 ივნისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ქმედების შესრულება, თანხის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. გ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ც. ზ-ის, გ. და გ. დ-ის მიმართ და მოითხოვა მოპასუხეთა ხარჯით ღობის აღება-გადატანა, მოპასუხეების მიზეზით იძულებითი წესით გაწეული ხარჯების, მინის სარგებლობის ქირის გადაუხდელობისაგან მიუღებელი შემოსავლის, მინის საფარის გაუფარგისების გამო მიყენებულის ზიანის – 5830 ლარის ანაზღაურება.

მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხეებმა საჯარო რეესტრში უკანონოდ დაირეგისტრირეს მ. გ-ის კუთვნილი 107 კვ.მ მინის ნაკვეთი. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით აღნიშნული ჩანაწერი ბათილად იქნა ცნობილი. მითითებული მინის ნაკვეთის მოპასუხეთა მიერ ფლობისა და სარგებლობისას მ. გ-ეს მიადგა ზიანი, კერძოდ, აღმართულ იქნა ღობე, დაზიანდა ნიადაგი.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და მოითხოვეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 22 აგვისტოს განჩინებით მ. გ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე დაკმაყოფილდა და ყადაღა დაედო მოპასუხეების – ც. ზ-ის, გ. და გ. დ-ის სახელზე თანასაკუთრების უფლებით რეგისტრირებულ უძრავ ქონებას ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ფ-ი საკადასტრო კოდით №....

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით მ. გ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ც. ზ-ეს, გ. და გ. დ-ს დაევალა მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ხელვაჩაურში, ს. მ-ის №1 შესახვევში მდებარე მინის ნაკვეთიდან მათ მიერვე დამონტაჟებული ღობის აღება-გატანა, ხოლო დანარჩენ ნაწილ-

ში სარჩელს ეთქვა უარი.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით. ამავე გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანეს მოპასუხეებმაც და მოითხოვეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ც. ზ-ემ, გ. და გ. დ-მა სააპელაციო საჩივრით ასევე იშუამდგომლეს უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორეთი შეცვლის შესახებ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 13 მარტის განჩინებით ც. ზ-ის, გ. და გ. დ-ის განცხადება, უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლის თაობაზე დაკმაყოფილდა და ც. ზ-ეს, გ. და გ. დ-ს დაევალა სასამართლოს სადებოზიტო ანგარიშზე (სს ბანკი „რესპუბლიკა“, ბანკის BIC კოდი: REPLGE22, მიმღების IBAN ანგარიშის №GE74 BR00 0001 0517 463 483) განეთავსებინათ 8035 ლარი.

2013 წლის 19 მარტს ც. ზ-ემ, გ. და გ. დ-მა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში წარადგინეს განცხადება თანდართული სალაროს შემოსავლის ორდერით საიდანაც ირკვევა, რომ გ. დ-ის მიერ 2013 წლის 19 მარტს სასამართლოს სადებოზიტო ანგარიშზე განთავსდა 8035 ლარი.

2013 წლის 19 მარტს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა გ. დ-ემ და მოითხოვა ამავე სასამართლოს 2013 წლის 13 მარტის განჩინების საფუძველზე სააღსრულებო ფურცლის ამონერა, რაც იმავე დღეს დაკმაყოფილდა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 13 მარტის განჩინების საფუძველზე ამოიწერა სააღსრულებო ფურცელი.

სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 13 მარტის განჩინებაზე მ. გ-ემ შეიტანა საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

გასაჩივრებული განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორეთი შეცვლის შესახებ მიღებულია საქმისადმი არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა გამოკვლევა-შეფასების გარეშე, შესაბამისად, იგი უკანონოა.

სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ სასამართლოს განხილვის საგანია მ. გ-ის სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხეების წინააღმდეგ მხოლოდ 5830 ლარის დაკისრების თაობაზე, ანუ უზრუნველსაყოფი მოთხოვნა მოიცავს მხოლოდ 5830 ლარს, რაც არასწორია, რადგან ფულადი თანხების გარდა

სასარჩელო მოთხოვნა ეხება ქმედების დავალდებულებას მ. გ-ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან მოპასუხეების მიერ დამონტაჟებული ღობის აღება-გადატანას, რაც გულისხმობს, რომ მოპასუხეებმა ღობე უნდა აიღონ მ. გ-ის საკუთრებიდან და გადაიტანონ საზღვრის გასწვრივ თავიანთ საკუთრებაში, ხოლო მიწის ნაკვეთზე დადებული ყადაღის ფულადი თანხის ჩანაცვლებით მოპასუხეებს ეძლევათ შესაძლებლობა, მიწის ნაკვეთი გაასხვისონ თუნდაც მოჩვენებითი გარიგებით სხვა პირზე იმ მიზნით, რომ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას თავი აარიდონ.

სადავო უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლა სწორი და კანონიერი იქნებოდა იმ შემთხვევაში თუ მოპასუხეები შემოთავაზებული თანხის დეპოზიტზე განთავსებასთან ერთად აიღებდნენ და გადაიტანდნენ ღობეს თავიანთ ნაკვეთში მ. გ-ის საზღვრის გასწვრივ და დავის საგანი დარჩებოდა მხოლოდ თანხის დაკისრება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 22 აპრილის განჩინებით მ. გ-ის საჩივარი, როგორც დაუსაბუთებელი განსახილველად გაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 420-ე მუხლით და განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფა ემსახურება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილებას მოპასუხისათვის გარკვეული უფლებების შეზღუდვის გზით. სწორედ ამითაა განპირობებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შინაარსი.

აღნიშნული მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარეობს, რომ განმცხადებლის მიერ მოთხოვილი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება პირდაპირ კავშირში უნდა იყოს სარჩელთან. ე.ი. განმცხადებელმა უნდა მიუთითოს სარჩელის საგანი, საფუძველი, შესაძლოდ მისაღები გადაწყვეტილება და დაასაბუთოს უზრუნველყოფის ღონისძიების გატარების აუცილებლობა.

ამასთან, დასაბუთება უნდა იყოს საფუძვლიანი. განმცხადებელმა სასამართლოს უნდა ჩამოუყალიბოს დასაბუთებული ვარაუდი სარჩელის უზრუნველყოფის საჭიროებისა, რაც გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებას არა მარტოდენ ეჭვის ან ფორმალური ანალიზის საფუძველზე, არამედ მტკიცებულებებზე დაყრდნობით და ლოგიკურ დასკვნას მოთხოვნის საფუძვლიანობის შესახებ.

სასამართლომ დაადგინა, რომ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 22 აგვისტოს განჩინებით მ. გ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე დაკმაყოფილდა და ყადაღა დაედო, მოპასუხეების ც. ზ-ის, გ. და გ. დ-ის სახელზე თანასაკუთრების უფლებით რეგისტრირებულ უძრავ ქონებას. ასევე დადგენილია, რომ მ. გ-ემ სარჩელით მოითხოვა მოპასუხეების დავალდებულება, აიღონ ღობე, ხოლო მოპასუხეების მიზეზით იძულებითი წესით განეული ხარჯების, მიწის სარგებლობის ქირის გადაუხდელობისაგან მიუღებელი შემოსავლის, მიწის საფარის გაუვარგისების გამო მოითხოვა მიყენებული ზიანის 5830 ლარის მოპასუხეთათვის სოლიდარულად დაკისრება.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით მ. გ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, რაც კანონით დადგენილ წესით გასაჩივრდა ორივე მხარის მიერ.

ც. ზ-ემ, გ. და გ. დ-მა სააპელაციო საჩივრით იშუამდგომლეს უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორეთი შეცვლის თაობაზე, რაც სააპელაციო პალატამ 2013 წლის 13 მარტის განჩინებით დააკმაყოფილა და მოპასუხეებს დაავალა სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე 8035 ლარის განთავსება.

პალატამ დაადგინა, რომ 2013 წლის 19 მარტს ც. ზ-ემ, გ. და გ. დ-მა სასამართლოს წარუდგინეს განცხადება თანდართული სალაროს შემოსავლის ორდერით, რომელიც ადასტურებს აღნიშნული თანხის სადეპოზიტო ანგარიშზე ჩარიცხვას.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება არის გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილების საშუალება. ის წარმოადგენს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ქონებრივი უფლებების დაცვის გარანტიას და ემსახურება ამ უკანასკნელთა დარღვეული უფლებების სრულ და რეალურ აღდგენას, ანუ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ იგი იცავს მოსარჩელის კანონიერ ინტერესებს მოპასუხის არაკეთილსინდისიერების შემთხვევაში.

სარჩელის უზრუნველყოფის ზოგიერთი ღონისძიების გამოყენება უშუალოდ უკავშირდება მოპასუხის მნიშვნელოვანი კონსტიტუციური უფლების – საკუთრების უფლების შეზღუდვას. ყადაღისა და მსგავსი ღონისძიებების დაწესება წარმოადგენს კანონმდებლის ჩარევას ადამიანის ძირითადი უფლების კონსტიტუციით დაცულ სფეროში, ხოლო აღნიშნული ჩარევა

(შეზღუდვა) გამართლებული იქნება თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის საჯარო მიზნისა და საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული კერძო ინტერესის ურთიერთშეჯერების საფუძველზე, მათ შორის აუცილებელი ბალანსის დადგენის მიზნით.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საჩივრის ავტორმა მ. გ-ემ ვერ დაასაბუთა უზრუნველყოფის ერთი სახის – ყადაღის აუცილებლობა, ხოლო მის მიერ მითითებული გარემოება, რომ ყადაღის მოხსნით შეიძლება ც. ზ-ემ, გ. და გ. დ-მა გაასხვისონ უძრავი ქონება და ამით გადაწყვეტილების აღსრულებას ხელი შეეშალოს, უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ყადაღის უცვლელად დატოვების საფუძველი არ არის.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. გ-ის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს განჩინებები კი დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინებით დადგენილია, რომ მ. გ-ემ თავისი სასარჩელო მოთხოვნის – მოპასუხეთა ხარჯით ღობის აღება-გადატანის, მოპასუხეების მიზეზით იძულებითი წესით გაწეული ხარჯების, მიწის სარგებლობის ქირის გადაუხდელობისაგან მიუღებელი შემოსავლის, მიწის საფარის გაუვარგისების გამო მიყენებულის ზიანის – 5830 ლარის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად მოითხოვა მოპასუხეების – ც. ზ-ის, გ. და გ. დ-ის კუთვნილი უძრავი ქონებისათვის ყადაღის დადება, რაც ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა. მოგვიანებით, მოპასუხეთა შუამდგომლობის საფუძველზე რაიონული სასამართლოს მიერ გამოყენებული ერთი უზრუნველყოფის ღონისძიება – ყადაღა სააპელაციო პალატამ შეცვალა მეორეთი – სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე 8035 ლარის ჩარიცხვით.

სააპელაციო პალატამ უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლისას იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 196-ე მუხლის მე-3 ნაწილით და მიიჩნია, რომ აღნიშნული ცვლილების განხორციელებით მოცემულ საქმეზე საბოლოოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას საფრთხე არ შეექმნება.

საკასაციო სასამართლო სავსებით ეთანხმება სააპელაციო პალატის ზემოხსენებულ პოზიციას და მიიჩნევს, რომ მ. გ-ის

საჩივარს მართებულად ეთქვა უარი შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს მხარეს, მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, თუ იქმნება ვარაუდი, რომ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება შემდგომში გაძნელდება ან შეუძლებელი გახდება. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობაა. ამასთან, მხარემ სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს სარჩელის უზრუნველყოფის ამა თუ იმ ღონისძიების გამოყენების საჭიროება, რათა სასამართლოს შეუქმნას რწმენა კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე სარჩელის უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ. აღნიშნული საკითხების დამაჯერებლად დამტკიცება მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ სარჩელის უზრუნველყოფა წარმოადგენს ერთი მხარისათვის თავისი უფლებების დაცვის გარანტს, ხოლო მეორე მხარეს უზღუდავს კანონიერი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად, ზოგადად სარჩელის უზრუნველყოფისა და, მათ შორის, მისი კონკრეტული სახის გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას და ერთ-ერთი მხარის უფლებების თუნდაც კანონისმიერ ფარგლებში შეზღუდვისას სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე შეუძლებელი გახდება ან მნიშვნე-

ლოვნად გართულდება საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგის – გადანყვეტილების აღსრულება. ამასთან, სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების ღონისძიების გატარების შედეგად დაცული უნდა იყოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლით განსაზღვრული მხარეთა თანასწორობის ბალანსი.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას კანონმდებელი ასევე უკავშირებს სარჩელის სამართლებრივ პერსპექტიულობას და აფასებს, თუ რამდენად მოსალოდნელია სარჩელის დაკმაყოფილება, თუმცა აღნიშნული დავის სამართლებრივ ბედზე გავლენას ვერ მოახდენს.

მოცემულ შემთხვევაში, მ. გ-ის სარჩელის უზრუნველყოფის შემდეგ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 30 იანვრის გადანყვეტილებით მისი სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ც. ზ-ეს, გ. და გ. დ-ს დაევალა მოსარჩელის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან მათ მიერვე დამონტაჟებული ღობის აღება-გატანა, ხოლო დანარჩენ ნაწილში სარჩელს ეთქვა უარი.

მითითებულ გადანყვეტილებაზე შეტანილი სააპელაციო საჩივრით მოპასუხებმა იშუამდგომლეს სარჩელის უზრუნველყოფად გამოყენებული ღონისძიების შეცვლის თაობაზე, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლით. ხსენებული ნორმის თანახმად, მხარეთა თხოვნით დასაშვებია სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა. სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის საკითხის განხილვა დასაშვებია საქმის ყველა სტადიაზე. ფულადი თანხების გადახდევინების შესახებ სარჩელის უზრუნველყოფისას მოპასუხეს შეუძლია მიღებულ უზრუნველყოფის ღონისძიებათა ნაცვლად მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხა შეიტანოს სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე.

დასახელებული ნორმა ადგენს საპროცესო სუბიექტთა უფლებას, საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე მიმართონ სასამართლოს შუამდგომლობით და მოითხოვონ უკვე გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიების შეცვლა სხვა ღონისძიებით.

ასეთი ცვლილების სამართლებრივი საფუძველი სამოქალაქო პროცესის სუბიექტთა ინტერესების სრულყოფილად დაცვასა და მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილებაში მდგომარეობს. უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე დასაშვებია, რადგან სამოქალაქო ბრუნვის თავისებურებიდან გამომდინარე, კანონმდებელი გონივრულად ვარაუდობს, რომ უკვე გამოყენებული უზრუნველყოფის

ლონისძიების შესაძლო უარყოფითი შედეგები დასაშვებია, გამოვლინდეს საქმის განხილვის ამა თუ იმ ეტაპზე, ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით განმტკიცებული დისპოზიციურობის პრინციპის მსგავსად, მხარე თავად წყვეტს, თუ როდის მოითხოვოს აღნიშნული ცვლილების განხორციელება სასამართლოს მიერ და, მიუხედავად იმისა, ადგება თუ არა მას ზიანი უზრუნველყოფის თავდაპირველი ღონისძიების დაწესების ეტაპზევე, მას ამ ღონისძიების შეცვლის მოთხოვნის უფლება ენიჭება საკუთარი დისკრეციის ფარგლებში, როდესაც ამას საჭიროდ ჩათვლის.

განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მ. გ-ის სარჩელის მხოლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილების პირობებში, სააპელაციო პალატაში საქმის წარმოების გაგრძელების ეტაპზე სრულიად მართლზომიერია, მოპასუხეთა კუთვნილ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების ნაცვლად გამოყენებულ იქნეს სასამართლო დეპოზიტზე თანხის ჩარიცხვა მით უფრო, რომ აღნიშნული თანხის ოდენობა საკმარისია სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველსაყოფად.

დაუსაბუთებელია საჩივრის არგუმენტი, რომ სააპელაციო პალატამ არასრულად უზრუნველყო სასარჩელო მოთხოვნა, როდესაც განხილვის საგნად მიუთითა მ. გ-ის სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხეების წინააღმდეგ მხოლოდ 5830 ლარის დაკისრების თაობაზე. ფაქტობრივად, სარჩელი ეხება მ. გ-ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან მოპასუხეების მიერ დამონტაჟებული ღობის აღება-გადატანასაც.

ხსენებული მოსაზრების უსაფუძვლობის დასაბუთებლად საკმარისია სასამართლო დეპოზიტზე მოპასუხეთა მიერ ჩარიცხული თანხის ოდენობაზე – 8035 ლარზე მითითება, რაც 5830 ლარს მნიშვნელოვნად აღემატება და ზემოაღნიშნული სადავო მოქმედების შესრულების ხარჯებსაც დიდი ალბათობით დაფარავს.

ასეც რომ არ იყოს, ვერ იქნება გაზიარებული მ. გ-ის პოზიცია, რომ მისი სარჩელის სრულად დაკმაყოფილების შემთხვევაშიც მოპასუხეთა კუთვნილ მიწის ნაკვეთზე ყადაღის მოხსნით სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას საფრთხე შეექმნება, რადგან მოპასუხეები უძრავ ნივთს, თუნდაც მოჩვენებითი გარიგებით, გაასხვისებენ, რათა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას თავი აარიდონ.

განსახილველ დავაში ც. ზ-ის, გ. და გ. დ-ის მონაწილეობა უკავშირდება ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ფ-ი მდებარე მი-

ნის ნაკვეთზე მათი თანასაკუთრების უფლებას. მოპასუხეთა მიერ აღნიშნული ნაკვეთის გასხვისების შემთხვევაში საქმეში შემძენის, როგორც საპროცესო უფლებამონაცვლის ჩაბმის საკითხს არეგულირებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლი.

სსენებული ნორმის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, სადავო ან სასამართლოს გადანყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ყოველ სტადიაზე. უფლებამონაცვლისათვის პროცესში მის დაშვებამდე შესასრულებელი ყველა მოქმედება სავალდებულოა იმ ოდენობით, რაც სავალდებულო იქნებოდა იმ პირისათვის, რომელიც მან შეცვალა.

კანონის მოცემული დანაწესიდან გამომდინარეობს, რომ დავის მიმდინარეობისას ერთ-ერთი მხარის მიერ სადავო უფლების დათმობისა თუ ნივთის გასხვისებისას ამ მხარის ადგილს პროცესში იკავებს მისი შემძენი, რომელიც სადავო უფლებასა და ნივთთან ერთად იძენს იმ ვალდებულებებსაც, რაც განსახილველი დავის ფარგლებში მის წინამორბედს გააჩნდა.

ამდენად, თუ მ. გ-ის სარჩელის სრულად დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლოს მიერ მიღებული გადანყვეტილების აღსრულებისას მოპასუხეთა მხრიდან სასამართლო დეპოზიტზე ჩარიცხული თანხა არასაკმარისი აღმოჩნდება, გადანყვეტილების სრულად აღსრულებისათვის საჭირო მოქმედებების განხორციელება თანაბარი ძალით დაეკისრებათ როგორც ამჟამინდელ მოპასუხეებს, ისე მათ მიერ სადავო მიწის ნაკვეთის გასხვისების შემთხვევაში საქმეში ც. ზ-ის, გ. და გ. დ-ის უფლებამონაცვლეებად ჩართულ მხარეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მ. გ-ემ სარწმუნოდ ვერ დაასაბუთა, რა წესით შეუშლიდა ხელს მისი სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მიღებული გადანყვეტილების აღსრულებას მოპასუხეთა კუთვნილ ქონებაზე ყადაღის დადების ნაცვლად შეცვლილი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება. აღნიშნული კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით დადგენილი მტკიცების სტანდარტის თანახმად, მის მოვალეობას წარმოადგენდა. შესაბამისად, მ. გ-ის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩი-

ნება უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 419-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

მ. გ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 13 მარტისა და 22 აპრილის განჩინებები დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მხარის გამომწვევადებულობის საპატიო მიზეზები

განჩინება

№ას-1666-1654-2011

8 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: **ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი,
ვ. როინიშვილი**

დავის საგანი: მესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

კ. ო-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. დ-ისა და ს. მ-ის მიმართ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემის მოთხოვნით.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 23 ივნისის წინასწარი გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ კ. ო-ე არ წარმოადგენს „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზ-

ღვრულ მოსარგებლე პირს და მხარეებს შორის ურთიერთობა ამ კანონით არ უნდა დარეგულირდეს.

საქალაქო სასამართლოს წინასწარი გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 1 ნოემბრის განჩინებით აპელანტის წარმომადგენელ მ. ა-ის განცხადება სხდომის გადადების თობაზე არ დაკმაყოფილდა, სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 216-ე მუხლზე, 215-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, მ.ა-ის მიერ სასამართლოში წარდგენილი განცხადების დებულებაზე, რომლის თანახმადაც მ. ა-ს სააპელაციო სასამართლოს სხდომის შესახებ მარწმუნებელმა აცნობა 25 ოქტომბერს, ხოლო გარდაბნის რაიონული სასამართლოს სხდომის თაობაზე მან შეიტყო 27 ოქტომბერს, როცა უკვე ცნობილი იყო დღევანდელი სხდომის თარიღი, განცხადების ავტორი ვერ ასაბუთებს, რატომ მიანიჭა უპირატესობა გარდაბნის რაიონულ სასამართლოში გამოცხადებას და რატომ არ მოითხოვა ადმინისტრაციული საქმის გადადება იმ ვითარებაში, როდესაც უკვე ხელთ ჰქონდა მონვევა სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე, ამასთან, ამავე განჩინებით დასაბუთებულად მიიჩნია მონინალმდევე მხარეთა წარმომადგენლის შუამდგომლობა, აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, კ. ო-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე. სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე, 372-ე მუხლებზე, 229-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, 275-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტზე და აღნიშნა შემდეგი: იმ ვითარებაში, როდესაც არ დაკმაყოფილდა სხდომის გადადების შუამდგომლობა, მონინალმდევე მხარის მოთხოვნა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ საფუძვლიანია. პალატამ მიუთითა იმ გარემოებაზეც, რომ განხილვის თაობაზე მხარეს ეცნობა კანონის მოთხოვნათა დაცვით. თავად აპელანტი დანიშნულ დროს სასამართლოში არ გამოცხადდა და არც გამოუცხადებლობის მიზეზი უცნობებია სასამართლოსათვის.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა კ. ო-ის წარმომადგენელმა მ. ა-მა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა სასამართლო სხდომის სხვა დროისათვის გადადების შესახებ განცხადება, სადაც აღნიშნული იყო, რომ სასამართლო სხდომის შესახებ აპელანტმა, რომელსაც შეტყობინება ტელეფონის მეშვეობით ჩაბარდა, წარმომადგენელს აცნობა 2011 წლის 25 ოქტომბერს.

შეტყობინებამდე ერთი კვირით ადრე მ. ა-ისათვის ცნობილი იყო გარდაბნის რაიონული სასამართლოს სხდომის შესახებ და სასამართლო უწყება მას ჩაბარდა 27 ოქტომბერს. განცხადებაში დასაბუთებული იყო გარდაბნის რაიონულ სასამართლოში მიმდინარე შპს „პ. 96-ის“ პროცესზე გამოცხადების აუცილებლობა. სასამართლოს რომელიმე ინსტანციისადმი უპატივცემულობას ადგილი არ ჰქონია, სააპელაციო პალატას მ.ა-მა დაუყოვნებლივ აცნობა გამოუცხადებლობის მიზეზის თაობაზე. აღნიშნულით სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი. აპელანტის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა კი არ შეიძლება გამხდარიყო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების მიზეზი, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მხარის უფლება, თვითონაც მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში, არის მხოლოდ უფლება და არა ვალდებულება, მით უფრო, როდესაც საქმეში არ არის მტკიცებულება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გაუქმების შესახებ. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება აპელანტის (წარმომადგენლის) არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის თაობაზე განსხვავდება ამ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს პოზიციისაგან. სასამართლომ საქმე არ განიხილა ობიექტურად, რითაც მხარეს უარი უთხრა მართლმსაჯულების განხორციელებაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა კერძო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ კ. ო-ის წარმომადგენელ მ. ა-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით დასტურდება და ამას არც კერძო საჩივრის ავტორი ხდის სადავოდ, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 26 სექტემბრის განჩინებით კ. ო-ის სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად და დაინიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა 2011 წლის 1 ნოემბერს, 15:00 საათზე.

სასამართლო სხდომის თაობაზე აპელანტს ეცნობა სატელეფონო შეტყობინებით ამავე წლის 13 ოქტომბერს თანახმად

საქმეში წარმოდგენილი სატელეფონო შეტყობინების აქტისა.

სასამართლო კანცელარიის სარეგისტრაციო შტამპის მონაცემების თანახმად, აპელანტის წარმომადგენელმა მ. ა-მა სააპელაციო სასამართლოს წერილობით მიმართა 2011 წლის 28 ოქტომბერს, წარადგინა გარდაბნის რაიონული სასამართლოს უწყება შპს „პ. 96-ის“ ადმინისტრაციულ საქმესთან დაკავშირებით 2011 წლის 1 ნოემბერს, 15:30 საათზე, ჩანიშნული სასამართლოს განმწესრიგებელი სხდომის შესახებ. აღნიშნულით განმცხადებელმა დაასაბუთა სასამართლო სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობა და იშუამდგომლა სააპელაციო სასამართლოს სხდომის სხვა დროისათვის გადადების თაობაზე.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივ დასაბუთებას და თვლის, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, რაც გამოიხატა შემდეგში:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კოდექსის 387-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით განსაზღვრულია აპელანტისა და მონინაალმდეგე მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა, თუ ამას გამოცხადებული მხარე მოითხოვს, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით კი დადგენილია, რომ ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. ამავე კოდექსის 229-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების თანახმად, მოსარჩელის გამოუცხადებლობისას, თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება 276-278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები. ანალოგიური შინაარსისაა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, თუმცა მითითებული ნორმებით პროცესუალური ურთიერთობების რეგულირებისათვის სავალდებულოა, გამოირიცხოს ხომ არ არსებობდა საპატიო მიზეზი, რაც ობიექტურად შეუძლებელს ხდიდა მხარის გამოუცხადებლობას. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ, როგორც დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ისე, მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო მისი სარჩელისა თუ სააპელაციო საჩივრის განხილვის თაობაზე სასამართლო აქტის მიღებას საფუძვლად უდევს სასამართლოს ვარაუდი, რომ მხარეს, რომელიც საპატიო მიზეზის გარეშე არ ცხადდება სასამართლო სხდომაზე და არ ასრულებს მის ამა თუ იმ ვალდებულებას, და-

ვის მიმართ ინტერესი არ გააჩნია, რაც ცალსახად ჯდება დისპოზიციურობის პრინციპის ფარგლებში. ასეთ დროს მოიაზრება, რომ მხარემ მისი ქმედებით გამოხატა ნება ამ ტიპის გადანყვეტილების მისაღებად. ამ მიმართებით, საკმარისია მიეთითოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლზე, რომელიც მოცემულ ურთიერთობაში განმარტებულ უნდა იქნას ფართოდ და გავრცელდეს სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებაზეც.

რაც შეეხება საპატიო მიზეზის არსებობას, საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლითაც დადაგენილია, რომ ამ კანონის მიზნებისათვის, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შეამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შეამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დანერგებით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

იმ ფაქტობრივი ვითარების გათვალისწინებით, რომ მხარემ სასამართლო სხდომამდე აცნობა პალატას გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის თაობაზე, საკასაციო პალატა თვლის, რომ განსახილველ შემთხვევაში, სახეზეა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული გარემოება – მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი. შესაბამისად, დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მსჯელობა სასამართლოს ქვემდგომი ინსტანციისათვის უპირატესობის მინიჭების შესახებ. უწყების წარდგენით მხარემ მისი ვალდებულება გამოუცხადებლობის შესახებ სასამართლოს წინასწარ ინფორმირების თაობაზე სათანადოდ განახორციელა, რაც არ უნდა გამხდარიყო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი.

საკასაციო პალატა იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის განმარტებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის მე-2 ნაწილთან მიმართებით და აღნიშნავს, რომ მხარის კანონით დადგენილი წესით ინფორმირება მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების წინაპირობას არ წარმოადგენდა, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული დანაწესი არაა იმპერატიული ხასიათის და მხა-

რეს მხოლოდ უფლებით აღჭურავს, თავადაც მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას ჰყავს წარმომადგენელი. საკასაციო პალატა მოცემული ფაქტობრივი ვითარებისა და ზემოაღნიშნული ნორმის ანალიზის საფუძველზე მიზანშეწონილად თვლის, განმარტოს შემდეგი:

მხარისა და წარმომადგენლის ურთიერთობის გათვალისწინებით, როდესაც მხარე მისი უფლების დაცვის შესაძლებლობას წარმომადგენელს მიანიჭებს, მათ შორის არსებული ურთიერთობის განსაკუთრებული ნდობის გათვალისწინებით, თუ წარმომადგენელი მინიჭებულ უფლებამოსილებას არაკეთილსინდისიერად არ ახორციელებს წარმომადგენლის საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა მხარისათვის არახელსაყრელი შედეგის დადგომის წინაპირობა არ შეიძლება გახდეს, რადგანაც მას ამ ურთიერთობის მიმართ კანონიერი ნდობა გააჩნია და ორიენტირებულია ადვოკატის მიერ მისი უფლების კვალიფიციურად დაცვაზე. შესაბამისად, მოცემული შემთხვევიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ არ არსებობდა კ. ო-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. კ. ო-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 1 ნოემბრის განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილ-

ველად.

3. კერძო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დაუსრეხელი გადაწყვეტილება

განჩინება

№ას-86-82-2013

22 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: მამობის დადგენა, ალიმენტის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ბ. ნ-ამ სარჩელი აღძრა სასამართლოში ვ. გ-ას წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხის ცნობა 2011 წლის 6 თებერვალს დაბადებული ნ. ნ-ას მამად და მისთვის, მცირეწლოვანი შვილის სარჩენად, ყოველთვიურად სარჩოს – ალიმენტის გადახდა 150 ლარის ოდენობით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილებით ბ. ნ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მან გაასაჩივრა სააპელაციო წესით, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 6 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე მონაწილემ მხარის გამოუცხადებლობის გამო, ბ. ნ-ას წარმომადგენელ გ. ჭ-ის შუამდგომლობა დაუსრეხელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე დაკმაყოფილდა, ბ. ნ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება, ბ. ნ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა, ვ. გ-ა ცნობილ იქნა 2011 წლის 6 თებერვალს დაბადებული ნ. ნ-ას მამად და მას, ბ. ნ-ას სასარ-

გებლოდ, ნ. ნ-ას სარჩოდ, დაეკისრა ალიმენტის გადახდა, ყოველთვიურად 150 ლარის ოდენობით 2012 წლის 3 აგვისტოდან ნ. ნ-ას სრულწლოვანებამდე.

სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაასაჩივრა ვ. გ-ამ იმ საფუძვლით, რომ 2012 წლის 6 დეკემბერს იგი გამოცხადდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში 12 სთ-სა და 10 წთ-ზე დაგვიანებით, რის შესახებაც აცნობა ტელეფონით მოსამართლის თანაშემწეს. სატელეფონო საუბარში მან ითხოვა დროის გადანევა, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ მისი მანქანა გააჩერეს გამშვებ პუნქტთან, სოფ. ფ-ა და გალის რაიონის სოფ. ს-ოს საზღვართან. მანქანა გააჩერეს სრულიად უმიზეზოდ, ისინი შეჩერდნენ ნახევარი საათის განმავლობაში, რაც განიცადა და, ნერვიულობის გამო, მოუვიდა გულის შეტევა. ზუგდიდში ჩასვლისთანავე მიმართა სამედიცინო ცენტრ „კურაციოს“, სადაც აღმოუჩინეს პირველადი გადაუდებელი დახმარება და 11 საათზე გამოვიდა ქ. ზუგდიდიდან ქუთაისის მიმართულებით, რის შესახებ, შეფერხების თაობაზე, შეატყობინა სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 27 დეკემბრის განჩინებით ვ. გ-ას საჩივარი არ დაკმაყოფილდა და დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარცა ძალაში შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 6 დეკემბრის სხდომაზე არ გამოცხადდა საჩივრის ავტორი, ვ. გ-ა, რომელიც სხდომაზე მონაწილე იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სასამართლოს სხდომაზე გამოცხადებულმა აპელანტმა სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა, გამოუცხადებელი მხარის მიმართ, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

საჩივრის ავტორის განმარტებით, სასამართლოს სხდომაზე იგი დროულად ვერ გამოცხადდა იმიტომ, რომ იგი შეაფერხეს გალის რაიონის ადმინისტრაციულ საზღვარზე, რის გამოც ინერვიულა და მოუვიდა გულის შეტევა. პალატის განმარტებით, ვ. გ-ამ, მართალია წარმოადგინა სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობები, მაგრამ ამ ცნობებში მითითებული არ იყო მათი გაცემისა და ვ. გ-ას მიერ ამბულატორიაში მიმართვის დრო. ე.ი. ცნობებით არ დგინდებოდა, რომ საჩივრის ავტორმა სამედიცინო დაწესებულებას მიმართა, მაინცდამაინც, სასამართლოს სხდომის დაწყებამდე და არა გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ.

პალატამ ასევე აღნიშნა, რომ სასამართლოს სხდომაზე საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით ვ. გ-ამ გალის რაიონის ადმინისტრაციული საზღვარი გადმოლახა 6 დეკემბერს, დილის 10 საათზე. საქმეში არსებული მინდობილობით კი დასტურდება, რომ 2012 წლის 6 დეკემბერს 9 სთ-სა 29 წთ-ზე ვ. გ-ა უკვე იმყოფებოდა ქ. ზუგდიდში, იყო ჯანმრთელი და გასცა მინდობილობა ადვოკატის, ნ. ქ-ას სახელზე. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ ვ. გ-ას პოზიცია იმსათან დაკავშირებით, რომ სხდომაზე მისი გამოუცხადებლობა გამონვეული იყო საპატიო მიზეზით, დაუსაბუთებლად მიიჩნია.

სააპელაციო პალატამ იხლემძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 387-ე მუხლით, 233-ე, 241-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა საჩივარში მითითებული გარემოება, რომ აპელანტის გამოუცხადებლობა 2012 წლის 6 დეკემბერის სხდომაზე გამონვეული იყო საპატიო მიზეზით. შესაბამისად, საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დაუსწრებელი გადაწყვეტილება ვ. გ-ამ გაასაჩივრა საკასაციო წესით და მოითხოვა მათი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლოს არ უნდა მიეღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რადგან მხარე სასამართლოში ვერ გამოცხადდა საპატიო მიზეზით. სასამართლოს წარედგინა მტკიცებულებები, რომელთა ობიექტური შეფასებით აშკარად დასტურდებოდა სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი. კასატორის აზრით, სასამართლოს მიერ დადასტურებულად მითითებული გარემოება, რომ იგი 9 სთ-სა და 29 წუთზე იმყოფებოდა ზუგდიდში არასწორია, ვინაიდან აღნიშნული არ დასტურდება საქმეზე დართული სანოტარო აქტით, ხოლო გარეკანზე დაფიქსირებული დრო ნოტარიუსის კომპიუტერის ტექნიკური ხარვეზითაა გამონვეული. გარდა ამისა, სასამართლომ მიუხედავად იმისა, რომ მან სატელეფონო საშუალებით სთხოვა გადაენიათ სასამართლოს სხდომის დაწყების დრო, მისი თხოვნა არ გაითვალისწინა. კასატორის აზრით, მოსარჩელემ ვერ წარმოადგინა რაიმე უტყუარი მტკიცებულებები, რომლითაც დაამტკიცებდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მართებულობას. სააპელაციო სასამართლომ ობიექტურად არ შეაფასა საქმის გარემოებები და ახსნა-განმარტებები და მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის 1190-ე, 1212-ე და 1241-ე მუხლებზე მითითებით მიიღო გადაწყვეტილება, მაშინ, როცა საქმის ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ვერ ამართლებდა სასარჩელო მოთხოვნას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. გ-ას საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კი დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლი ამომწურავად განსაზღვრავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს. აღნიშნული მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს ამ კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. მითითებული 233-ე მუხლის „ა„ ქვეპუნქტის მიხედვით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

დასახელებული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილია, არ დააკმაყოფილოს სააპელაციო საჩივარი, თუ აპელანტი, რომელსაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების დაცვით ეცნობა საქმის განხილვის თარიღი და პროცესზე გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგის შესახებ, არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა საქმის განხილვაზე და არც თავისი გამოუცხადებლობის შესახებ სასამართლოს არ აცნობა.

მოცემულ შემთხვევაში ბ. ნ-ას სააპელაციო საჩივრის მთავარ სხდომაზე განხილვა დაინიშნა 2012 წლის 6 დეკემბრს 11.30 საათზე. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა და მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის ფაქტი, რომ საქმის განხილვის დროის, ასევე სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგების შესახებ ვ. გ-ას ეცნობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დამაბრკოლებელ გარემოებას – სასამართლო სხდომაზე კანონით დადგენილი წესით მხარის მიუწვევლობას ადგილი არ ჰქონია, რის გამოც მითითებული საფუძვლით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების პირობა არ არსებობს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობა იმ შემთხვევაში ჩაითვლება საპატიოდ, თუ მისი ავადმყოფობა დადასტურებული იქნება სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ უნდა უთითებდეს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელი აუცილებელ პირობად მიიჩნევს ავადმყოფობის დამადასტურებელ დოკუმენტზე სამედიცინო ხელმძღვანელის ხელმოწერას და ამ დოკუმენტში იმაზე მითითებას, რომ მხარეს სასამართლო პროცესზე გამოცხადება არ შეეძლო. აღნიშნული ნორმა განსაზღვრავს იმ აუცილებელ რეკვიზიტებს, რომელიც უნდა იყოს მითითებული ავადმყოფობის დამადასტურებელ მტკიცებულებაზე, კერძოდ, ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქმის განხილვა დანიშნული იყო 2012 წლის 6 დეკემბრს 11.30 საათზე. როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, საჩივრის ავტორმა დაიგვიანა პროცესზე, კერძოდ, გამოცხადდა 12 სთ-სა და 10 წთ-ზე. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად არ გაიზიარა ვ. გ-ას მიერ წარმოდგენილი ავადმყოფობის ცნობა, ვინაიდან კასატორის მიერ საქმეში წარმოდგენილი ცნობით არ ირკვევა, წარმოადგენს თუ არა ექიმი ნ. კ-ა სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელს; წარმოდგენილი სამედიცინო ცნობებიდან ირკვევა, რომ მას აღნიშნებოდა ნეიროციტოკულარული დისტონია ჰიპერტონული ტიპის, თუმცა აღნიშნულ ცნობაში პირდაპირ არ არის მითითებული პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. ამდენად იგი არ შეიძლება მივიჩნიოთ მისი გამოუცხადებლობა საპატიოობის დამადასტურებელ გარემოებად. ამასთან, ვერ იქნება გაზიარებული კასატორის მითითება მასზე, რომ სასამართლომ მიუხედავად იმისა, რომ მან სატელეფონო საშუალებით სთხოვა გადაენიათ სასამართლოს სხდომის დაწყების დრო, მისი თხოვნა არ გაითვალისწინა, ვინაიდან აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი მას სასამართლოსათვის არ წარუდგენია.

გარდა ამისა, სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას მასზე, რომ საქმეში არსებული მინდობილობით, არ დასტურდებოდა ის გარემოება, რომ ვ. გ-ამ გალის ად-

მინისტრაციული საზღვარი გადმოლახა 2012 წლის 6 დეკემბერს 10 საათზე, ვინაიდან საქმეში არსებული მინდობილობით დასტურდებოდა, რომ 2012 წლის 6 დეკემბერს 9 საათსა და 29 წუთზე ვ. გ-ა უკვე იმყოფებოდა ქ. ზუგდიდში, იყო ჯანმრთელი და გასცა მინდობილობა ადვოკატ ნ. ქ-ას სახელზე, შესაბამისად, კასატორის არგუმენტი მასზე, რომ აღნიშნული არ დასტურდება საქმეზე დართული სანოტარო აქტით, ხოლო გარეკანზე დაფიქსირებული დრო ნოტარიუსის კომპიუტერის ტექნიკური ხარვეზითაა გამოწვეული, სასამართლოს მიერ ვერ იქნება გაზიარებული და ვერ გახდება საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მონინა-აღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. თუ საქმის განხილვაზე მონინააღმდეგე მხარე არ გამოცხადდება, სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება დაემყაროს მომჩივნის ახსნა-განმარტებას. ამავე კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი ნინადადების შესაბამისად კი, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება.

მითითებული მუხლების საფუძველზე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აპელანტის ახსნა-განმარტებების საფუძველზე, სწორად იქნა დადგენილი, რომ ვ. გ-ა წარმოადგენდა ნ. ნ-ას მამას და აპელანტის მიერ მოთხოვნილი ალიმენტის ოდენობა შეესაბამებოდა მხარეთა მატერიალურ მდგომარეობას, რაც სამოქალაქო კოდექსის 1190-ე, 1212-ე და 1214-ე მუხლების საფუძველზე, სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობას წარმოადგენდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ ვ. გ-ას გამოუცხადებლობა სასამართლო პროცესზე სწორად მიიჩნია არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობად და მის მიმართ მართებულად გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპრო-

ცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ვ. გ-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სააპელაციო პალატის 2012 წლის 27 დეკემბრის განჩინება და ამავე სასამართლოს 2012 წლის 6 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ას-307-292-2013

25 დეკემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავეძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: თავდაპირველ სარჩელში – უკანონო ხელშეშლის აღკვეთა, ნივთის გამოთხოვა, შეგებებულ სარჩელში – ჩუქების ხელშეკრულებისა და საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობა, ქონების მესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

თ. მ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. მ-ის მიმართ მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ქონების ხელშეშლის აღკვეთისა და თელავის რაიონის სოფელ ვ-ი მდებარე სახლიდან გამოსახლების მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

თ. და ა. მ-ის მშობლები: ი. და ქ. მ-ი ცხოვრობდნენ თელავის რაიონის სოფელ ვ-ი. ი. მ-ი გარდაიცვალა 1999 წლის 11 იანვარს. მამის გარდაცვალების შემდეგ, დედის სურვილის გათვალისწინებით, მამის დანაშთ ქონებაზე – მთელ სახლთმფლობელობაზე სამკვიდრო მონაწილეობა მიიღო მოსარჩელემ. ა. და ქ. მ-ს სამკვიდრო მონაწილეობა არ მიუღიათ. ქონების თანამესაკუთრე იყო

მოსარჩელის დედა, რომელიც გარდაიცვალა 2011 წლის 11 მაისს. თელავის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ა.მ-ის მოთხოვნა დაკმაყოფილდა და გაუქმდა თ.მ-ის სახელზე გაცემული სამკვიდრო მონუმობა, ხოლო მოსარჩელეს ი. მ-ის კომლში კომლის ნევრად აღდგენაზე ეთქვა უარი. სამკვიდრო მონუმობის გაუქმების შემდეგ მთელ ქონებაზე საკუთრება აღირიცხა დედის სახელზე, რომელმაც 2010 წლის 29 ოქტომბერს ჩუქების ხელშეკრულებით გადასცა იგი მოსარჩელეს. ამდენად, თ. მ-ი სადავო უძრავი ქონების მესაკუთრეა, თუმცა ა. მ-ი ხელს უშლის საკუთრებით სარგებლობაში.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა უსაფუძვლობის მოტივით, ამასთან, შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს თ. მ-ის მიმართ და მოითხოვა ქ. მ-ის სახელზე არსებული საჯარო რეესტრის ჩანაწერის, ასევე 2010 წლის 25 ოქტომბრის უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულების, მის საფუძველზე გაცემული საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმება და 1992 წლის თელავის რაიონის სოფელ ვ-ის მიწის რეფორმის კომისიის მიერ შედგენილი №638 სიისა და №526 მღება-ჩაბარების აქტით გათვალისწინებული 0,25 ჰა საკარმიდამო მიწის, ასევე „ფ-ი“ მდებარე 0,75 ჰა ვენახის მესაკუთრედ ცნობა. შეგებებული სარჩელის ავტორმა მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:

თელავის რაიონის მიწის რეფორმის კომისიამ ა. მ-ი მიაკუთვნა მამის – ს. მ-ის კომლს. კომისიის მიერ შედგენილი სიისა და №526 მღება-ჩაბარების აქტის თანახმად, მათ გადაეცათ 0,75 ჰა ვენახი და 0,25 ჰა ეზო სახლით. მოსარჩელე კვლავ ფლობს კომლის ქონებას. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ა.მ-ი კომლის უკანასკნელი წევრია, კომლში სამკვიდრო არაა გახსნილი, ასევე კანონშესაბამოა ქ. და თ. მ-ს შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულება. 1992 წლიდან მოყოლებული შეგებებული სარჩელის ავტორს მიწის ნაკვეთი არ გააჩნია, ხოლო თავდაპირველ მოსარჩელეს, როგორც დამოუკიდებელ კომლს, 1992 წლამდე 0,1 ჰა, ხოლო 1992 წლიდან მოყოლებული 0,69 ჰა მიწა აქვს საკუთრებაში. ა. მ-ი ფაქტობრივად ფლობს და ამუშავებს მამისეულ კარმიდამოსა და ვენახს.

თ. მ-მა ასევე არ ცნო შეგებებული სარჩელი და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა დაუსაბუთებლობის მოტივით ითხოვა.

თელავის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებით თ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად, ა. მ-ის შეგებებული სარჩელი საჯარო რეესტრის ჩანაწერისა და

ჩუქების ხელშეკრულების ბათილობის, უძრავი ნივთის მესაკუთრედ ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა, მოპასუხე ა. მ-ს აეკრძალა თელავის რაიონის სოფ. ვ-ი მდებარე თ. მ-ის სახელზე რიცხული საცხოვრებელი სახლით სარგებლობის უკანონო ხელშეშლა და გამოსახლებულ იქნა აღნიშნული სახლიდან.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. მ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, 2012 წლის 16 ოქტომბრის აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის მიერ დადგენილ ვადაში შესაგებლის წარუდგენლობის გამო, გამოიტანა გადაწყვეტილება – დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც ა. მ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თელავის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება – დაუსწრებელი გადაწყვეტილება. დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ა. მ-ის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი 2010 წლის 25 ოქტომბერს ქ. მ-სა და თ. მ-ს შორის დადებული ხელშეკრულება ქონების 2/3 ნაწილზე, ა. მ-ი ცნობილ იქნა თელავში, სოფელ ვ-ი მდებარე სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობის 2/3 ნაწილის მესაკუთრედ, ა. მ-ი ცნობილ იქნა №526 მიღება-ჩაბარების აქტით ი. მ-ის სახელზე რიცხული 0.75 ჰა ვენახის (ფ-ი) 3/4-ის მესაკუთრედ, ა. მ-ის შეგებებული სარჩელი 0.25 ჰა საკარმიდამო მიწის ნაკვეთის 1/3-ისა და 0.75 ჰა ვენახის (ფ-ი) 1/4-ის მესაკუთრედ ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა, ამავე გადაწყვეტილებით თ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა თ. მ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილებით ა. მ-ის საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 16 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების მე-4, მე-5 და მე-7 პუნქტები ნაწილობრივ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 16 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება 2010 წლის 25 ოქტომბერს ქ. მ-სა და თ. მ-ს შორის დადებული ხელშეკრულების ქონების 2/3 ნაწილზე ბათილად ცნობის თაობაზე გაუქმდა 2/9 ნაწილში, ანუ 2010 წლის 25 ოქტომბერს ქ. მ-სა და თ. მ-ს შორის დადებუ-

ლი ხელშეკრულება ბათილად იქნა ცნობილი ქონების 4/9 ნაწილში, ა. მ-ის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა 0.25 ჰა მიწის ნაკვეთის 2/9-ის მესაკუთრედ ცნობის ნაწილში, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილებით განსაზღვრულ 1/3 ნაწილთან ერთად შეადგენდა 5/9 ნაწილს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 16 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების 1-ლი, მე-2, მე-3, მე-6 და მე-8 პუნქტები დარჩა უცვლელად შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ სამოქალაქო კოდექსის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილითა და 232¹ მუხლებით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის არსებობდა შემდეგი საფუძვლები: 1) აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს ჩაბარებული ჰქონდა სააპელაციო საჩივრის ასლი და იგი გაფრთხილებული იყო სააპელაციო პასუხის წარდგენის ვალდებულების ვადასა და ამ ვალდებულების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით; 2) აპელანტის მოთხოვნას იურიდიულად ამართლებდა სააპელაციო საჩივარში მოთხოვნის საფუძვლად მითითებული გარემოებები. სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 29 ივნისის განჩინებით თ. მ-ს დაევალა, ა. მ-ის სააპელაციო საჩივრის ასლის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში წარედგინა სააპელაციო პასუხი, ამასთან, განემარტა, რომ სააპელაციო პასუხის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, შესაძლო იყო, მის წინააღმდეგ გამოსულიყო დაუსწრებელი გადაწყვეტილება. 2012 წლის 29 ივნისის განჩინება, ა. მ-ის სააპელაციო საჩივრის ასლი და სასამართლო უწყება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჩაბარდა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს და მას ჰქონდა შესაძლებლობა, წარედგინა სააპელაციო პასუხი გზავნილის 2012 წლის 5 ივლისს ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში – 2012 წლის 12 ივლისის ჩათვლით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 11 სექტემბერს საოქმო განჩინებით თ. მ-ის წარმომადგენლის შესაგებელი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, არ იქნა მიღებული, ამდენად, პალატამ სააპელაციო პასუხის წარუდგენლობის გამო დადგენილად მიიჩნია ა. მ-ის სააპელაციო საჩივარში (შეგებებულ სარჩელში) მითითებული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

– ა. მ-ი, თ. მ-ი და ი. მ-ი აღრიცხული იყვნენ ცალ-ცალკე კომლებად;

– საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992

ნლის 18 იანვრის №48 დადგენილებისა და ამავე წლის 6 თებერვლის №128 დადგენილების საფუძველზე თელავის რაიონის სოფელ ვ-ის მიწის რეფორმის კომისიამ ა. მ-ი მიაკუთვნა მამის, ი. მ-ის კომლს და ერთად, როგორც ერთ კომლს მიაკუთვნა საკარმიდამო მიწის ფართი 0.25 ჰა, რომელზეც განთავსებულია საცხოვრებელი სახლი და დამატებით, როგორც პირველი კატეგორიის, ანუ საკოლმეურნეო კომლს გადაეცა 0.75 ჰა მიწის ნაკვეთი;

დასახელებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდა აპელანტის მოთხოვნას ქ. მ-სა და თ. მ-ს შორის დადებული ხელშეკრულების, კერძოდ, ქონების 2/3-ზე ბათილად ცნობის, თელავში, სოფელ ვ-ი მდებარე სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობის 2/3-ის მესაკუთრედ ა. მ-ის ცნობისა და №526 მიღება-ჩაბარების აქტით ი. მ-ის სახელზე რიცხული 0.75 ჰა ვენახის (მდებარე სოფელ. ფ-ი) 3/4-ის მესაკუთრედ ა. მ-ის ცნობის თაობაზე მოთხოვნის ნაწილში.

ა. მ-ის სასარჩელო მოთხოვნის იურიდიულ მართებულობასთან დაკავშირებით პალატამ განმარტა, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 1992 წლის 22 სექტემბრის №949 დადგენილების, სახელმწიფო საბჭოს 1993 წლის 21 ოქტომბრის №29 დეკრეტის საფუძველზე 1993 წლიდან დადგინდა სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების რეორგანიზაცია და ახალ ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმაზე გადასვლა. კოლმეურნეობების გაუქმებით საკოლმეურნეო კომლის არსებობას სამართლებრივი საფუძველი გამოეცალა და მან არსებობა შეწყვიტა. საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქციით) 129-ე მუხლის შესაბამისად, გაყოფა საკოლმეურნეო კომლის კუთვნილი ქონებისა, რომელიც მისი მოსპობის შემდეგ დარჩა, წარმოებს ამ კოდექსის 125-ე და 128-ე მუხლებში აღნიშნული წესებით. ამავე კოდექსის 122-ე მუხლის თანახმად, საკოლმეურნეო კომლის ქონება ეკუთვნის მის წევრებს თანასაკუთრების უფლებით. აღნიშნული კოდექსის 125-ე მუხლის თანახმად, საკოლმეურნეო კომლის წევრის წილი განისაზღვრება იმ ანგარიშით, რომ კომლის ყველა წევრს, მათ შორის, არასრულწლოვანსა და შრომისუუნაროსაც თანაბარი წილი ეკუთვნის. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკოლმეურნეო კომლის გაუქმების შემდეგ, კომლის ქონება გარდაიქმნა კომლის ყოფილ წევრთა საერთო საკუთრე-

ბად, სადაც თითოეულ წევრს თანაბარი წილი ეკუთვნის (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 27 ივლისის განჩინება, №ას-988-1242-05). ამდენად, პალატამ განმარტა, რომ მას შემდეგ, რაც გაუქმდა საკოლმეურნეო კომლი და მას სამართლებრივი საფუძველი გამოეცალა, ქონება, რომელიც საკოლმეურნეო კომლის ქონებას და ამავე დროს კომლის წევრთა საერთო საკუთრებას წარმოადგენდა, აღარ წარმოადგენს საკოლმეურნეო კომლის ქონებას და იგი არის კომლის ყოფილ წევრთა საერთო საკუთრება თანაბარ წილში, რომელზედაც ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საკუთრების საერთო რეჟიმი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კომლის ყოფილ წევრთა საერთო საკუთრებაზე მემკვიდრეობა უნდა გაიხსნას სამკვიდროს გახსნის ზოგადი წესების მიხედვით.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ა. მ-ი, თ. მ-ი და ი. მ-ი აღრიცხული იყვნენ ცალ-ცალკე კომლებად. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48 დადგენილებისა და ამავე წლის 6 თებერვლის №128 დადგენილების საფუძველზე თელავის რაიონის სოფელ ვ-ის მიწის რეფორმის კომისიამ ა. მ-ი მიაკუთვნა მამის, ი. მ-ის კომლს და ერთად, როგორც ერთ კომლს მიაკუთვნა საკარმიდამო მიწის ფართი 0.25 ჰა, რომელზეც განთავსებულია საცხოვრებელი სახლი და დამატებით, როგორც პირველი კატეგორიის, ანუ საკოლმეურნეო კომლს გადაეცა 0.75 ჰა მიწის ნაკვეთი. შესაბამისად, დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ 0.25 ჰა საკარმიდამო და 0.75 ჰა მიწის ნაკვეთებზე არსებობდა ა. და ი. მ-ის თანასაკუთრება. სააპელაციო პალატამ ყურადღებას გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ვინაიდან არც შეგებებული სარჩელი და არც სააპელაციო საჩივარი არ შეიცავდა მითითებას ი. მ-სა და ა. მ-ის კომლის სხვა წევრთან დაკავშირებით, 0.25 ჰა საკარმიდამო და 0.75 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების 1/2-1/2 ნაწილი საკუთრების უფლებით ეკუთვნოდათ ა. და ი. მ-ს. მამის, ი. მ-ის გარდაცვალების შემდგომ 0.25 ჰა საკარმიდამო და 0.75 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების 1/2 ნაწილზე გაიხსნა სამკვიდრო, რაზეც მეუღლეს – ქ. მ-სა და შვილებს, თ. და ა. მ-ს ჰქონდათ სამკვიდროს მიღების ლეგიტიმური უფლება. ამდენად, ა. მ-ის შეგებებული სარჩელის მოთხოვნა იურიდიულად გამართლებული იყო კომლიდან თანასაკუთრების რეჟიმში არსებულ 1/2 ნაწილზე და ასევე მამის დანაშთი ქონების – 1/3 წილზე, ანუ მთლიანი ქონების 1/6 ნაწილზე, რაც ჯამში სადავო ქონების 2/3 ნაწილს შეადგენდა. 0.75 ჰა მიწის ნაკვეთთან მიმარ-

თებით, სასამართლომ განმარტა, რომ ქ. მ-ს მითითებული ქონებიდან მისი წილის დათმობის თაობაზე ნება არ გამოუხატავს, შესაბამისად, თ. მ-ს, როგორც ი. მ-ის პირველი რიგის მემკვიდრეს, უნდა მიკუთვნებოდა აღნიშნული მიწის ნაკვეთის 1/4 (ი. მ-ის სამკვიდრო მასაში შემავალი 1/2-ის 1/2 ნაწილი). აღნიშნულის გათვალისწინებით, პალატამ მიიჩნია, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ა. მ-ი ცნობილი უნდა ყოფილიყო თელავში, სოფელ ვ-ი მდებარე სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობის 2/3-ის მესაკუთრედ და №526 მიღება-ჩაბარების აქტით გათვალისწინებულ ი. მ-ის სახელზე რიცხული 0.75 ჰა ვენახის (მდებარე სოფელ ფ-ი) 3/4-ის მესაკუთრედ.

თ. მ-ის საჩივრის განხილვის გზით პალატამ აღნიშნა შემდეგი:

სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლზე, 233-ე მუხლის მე-3 ნაწილზე და ჩათვალა, რომ წარდგენილი საჩივარი ნაწილობრივ ემყარებოდა იმ საფუძველს, რომ მოწინააღმდეგე მხარეს არ ჩაბარდა სააპელაციო საჩივარი კანონით განსაზღვრული წესით. ასეთი გარემოების არსებობა საქმის მასალებიდან არ დასტურდებოდა, რაც ამ ნაწილში საჩივრის დაუსაბუთებლობაზე მიუთითებდა.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო საჩივარში (შეგებებულ სარჩელში) მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდა აპელანტის მოთხოვნას ქ. მ-სა და თ. მ-ს შორის დადებული ხელშეკრულების, კერძოდ, ქონების 4/9-ზე ბათილად ცნობის, თელავში, სოფელ ვ-ი მდებარე სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობის 4/9-ის მესაკუთრედ ა. მ-ის ცნობისა და №526 მიღება-ჩაბარების აქტით ი. მ-ის სახელზე რიცხული 0.75 ჰა ვენახის (ფ-ი) 3/4-ის მესაკუთრედ ა. მ-ის ცნობის მოთხოვნის ნაწილში.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის 1-ლი, მე-7 ნაწილებით, 232¹ მუხლით, მიუთითა ამავე სასამართლოს 2012 წლის 16 ოქტომბრის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე ამ გადაწყვეტილებით დადგენილად მიჩნეულ გარემოებებზე და აღნიშნა, რომ დასახელებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდა აპელანტის მოთხოვნას ქ. მ-სა და თ. მ-ს შორის დადებული ხელშეკრულების, კერძოდ, ქონების 4/9-ზე ბათილად ცნობის, თელავში, სოფელ ვ-ი მდებარე სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობის 4/9-ის

მესაკუთრედ ა. მ-ის ცნობისა და №526 მიღება-ჩაბარების აქტით ი. მ-ის სახელზე რიცხული 0.75 ჰა ვენახის (ფ-ი) 3/4-ის მესაკუთრედ ა. მ-ის ცნობის თაობაზე მოთხოვნის ნაწილში.

საჩივრის ავტორის მსჯელობასთან მიმართებით, რომელიც შეეხებოდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 16 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების წინააღმდეგობას თელავის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 5 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებასთან მიმართებას, სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით და განმარტა, რომ წინასწარ დადგენილი ძალა ენიჭება სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო და არა სამოტივაციო ნაწილს. ამასთან, როგორც საქმის მასალებით დგინდებოდა, თელავის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 5 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ა. მ-ის შეგებებული სარჩელი საკოლმეურნეო კომლის წევრად აღდგენის თაობაზე არ დაკმაყოფილდა უპირველესად იმ საფუძვლით, რომ დავის განხილვის დროისათვის საკოლმეურნეო კომლი აღარ არსებობდა. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1336-ე, 1424-ე, 1319-ე, 1421-ე, 1433-ე მუხლებით და განმარტა, რომ ი. მ-ის გარდაცვალების შემდგომ 0.25 ჰა საკარმიდამო და 0.75 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების 1/3-ზე გაიხსნა სამკვიდრო, რაზეც მეუღლეს – ქ. მ-სა და შვილებს: თ. და ა. მ-ს ჰქონდათ სამკვიდროს მიღების ლეგიტიმური უფლება. თ. და ა. მ-ს ასევე ლეგიტიმური უფლება ჰქონდათ დედის სამკვიდროს 1/2-ზე. ი. მ-ის გარდაცვალების შემდგომ მას დარჩა სამი პირველი რიგის მემკვიდრე, საიდანაც ერთმა მემკვიდრემ – ქ. მ-მა გამოხატა ნება მისი კუთვნილი ქონება დაეთმო ერთ-ერთი შვილის – თ. მ-ის სასარგებლოდ, კერძოდ, 2010 წლის 25 ოქტომბერს ქ. მ-მა თ. მ-ს ჩუქების ხელშეკრულებით გადასცა სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) მიწის ნაკვეთი დაზუსტებული ფართით 2512.00 კვ.მ. განაშენების ფართი 358 კვ.მ, შესაბამისად, დადგენილი იყო, რომ თ. მ-ს ეკუთვნოდა 0.25 ჰა საკარმიდამო მიწის ნაკვეთის 5/9 – მამის დანაშთი სამკვიდროდან მიღებულ 1/9 ნილს დამატებული ი. მ-ის სამკვიდროდან ქ. მ-ის მიერ მიღებული 1/9 და ასევე თავად ქ. მ-ის წილი თანასაკუთრებიდან – მიწის ნაკვეთის 1/3 ნაწილი. 0.75 ჰა მიწის ნაკვეთთან მიმართებით კი პალატამ, იმის გათვალისწინებით, რომ ქ. მ-ს მითითებული ქონებიდან მისი წილის დათმობის თაობაზე ნება არ გამოუხატავს, აღნიშნა, რომ ამ მიწის ნაკვეთზე ვერ გავრცელდებოდა წილობრივი საკუთრების ის რეჟიმი, რაც 0.25

ჰა მიწის ნაკვეთზე, ხოლო თ. მ-ს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მართებულად მიეკუთვნა აღნიშნული მიწის ნაკვეთის $1/4$ ნაწილი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პალატა მივიდა დასკვნამდე, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ა. მ-ი ცნობილ უნდა იქნას თელავში, სოფელ ვ-ი მდებარე სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობის $4/9$ -ის მესაკუთრედ და №526 მიღება-ჩაბარების აქტით გათვალისწინებულ ი. მ-ის სახელზე რიცხული 0.75 ჰა ვენახის (მდებარე სოფელ. ფ-ი) $3/4$ -ის მესაკუთრედ, ხოლო შეგვებულ სარჩელს უარი უნდა ეთქვას, 0.25 ჰა საკარმიდამო მიწის ნაკვეთის $5/9$ -ისა და 0.75 ჰა მიწის ნაკვეთის $1/4$ -ის მესაკუთრედ ცნობის ნაწილში.

სააპელაციო პალატის დასკვნით, თ. მ-ის საჩივარი ნაწილობრივ საფუძვლიანი იყო, რის გამოც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 16 ოქტომბრის დაუსწრებელ გადაწყვეტილება ნაწილობრივ უნდა გაუქმებულიყო კერძოდ, 2010 წლის 25 ოქტომბერს ქ. მ-სა და თ. მ-ს შორის დადებული ხელშეკრულების ქონების $2/3$ ნაწილზე ბათილად ცნობის თაობაზე – $2/9$ ნაწილში, ანუ 2010 წლის 25 ოქტომბერს ქ. მ-სა და თ. მ-ს შორის დადებული ხელშეკრულება ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი ქონების $4/9$ ნაწილში, ხოლო ა. მ-ის შეგვებული სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო 0.25 ჰა მიწის ნაკვეთის $2/9$ -ის მესაკუთრედ ცნობის ნაწილში, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილებით განსაზღვრულ $1/3$ ნაწილთან ერთად შეადგენს $5/9$ ნაწილს ($1/3+2/9=5/9$). 0.75 ჰა მიწის ნაკვეთზე ქ. მ-ს მისი წილის დათმობის თაობაზე ნება არ გამოუხატავს, ამ მიწის ნაკვეთზე ვერ გავრცელდებოდა ნილობრივი საკუთრების ის რეჟიმი, რაც 0.25 ჰა მიწის ნაკვეთზე. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 16 ოქტომბრის დაუსწრებელ გადაწყვეტილება ძალაში უნდა დარჩენილიყო იმ ნაწილში, რომლითაც ა. მ-ი ცნობილ იქნა №526 მიღება-ჩაბარების აქტით ი. მ-ის სახელზე რიცხული 0.75 ჰა ვენახის (ფ-ი) $3/4$ -ის მესაკუთრედ და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო ა. მ-ის შეგვებული სარჩელი $1/4$ ნაწილის მესაკუთრედ ცნობის შესახებ.

სააპელაციო პალატის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებები საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. მ-მა, მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და გადაწყვეტილების გაუქმება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით ა. მ-ის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო პალატამ, ერთი მხრივ, დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი, ხოლო საჩივრის განხილვის შედეგად შეცვალა მხოლოდ მიკუთვნებული ქონების წილობრივი მონაცემები, არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისა და ქ. და თ. მ-ს შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი, რადგანაც საქმის მასალებით დასტურდება კასატორის იურიდიული ინტერესი დავის მიმართ, მას არ მიეცა შესაძლებლობა, დადგენილ ვადაში შეეტანა სააპელაციო პასუხი, თუმცა იგი წარდგენილ იქნა სააპელაციო საჩივრის გადაცემისთანავე, ამასთან, მხარე ცხადდებოდა სასამართლო სხდომაზე, თუმცა სასამართლომ არ მიიღო შესაგებელი საპროცესო ვადის დარღვევის გამო. დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება გაუმართლებელი იყო იმ კუთხითაც, რომ საჩივარში მითითებული გარემოებები არ ამართლებდა მოთხოვნას (სსსკ 232¹ მუხლი). დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და შემდგომ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას გამორიცხავდა ის ფაქტიც, რომ არსებობს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით, რის გამოც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით არსებობდა საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი, რასაც სასამართლომ სათანადო შეფასება არ მისცა. კანონიერ ძალში შესული გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ, სასამართლომ ა.მ-ი კომლის წევრად მიაჩნია, ამასთანავე, გასცდა სასარჩელო მოთხოვნას და მხარეს მიაკუთვნა მამის სამკვიდრო ქონების 1/3, ანუ ის, რასაც ეს უკანასკნელი არ მოითხოვდა. სააპელაციო პალატამ, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების მიღებით, გააუქმა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რაც ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 265-ე მუხლის მოთხოვნას, ამასთანავე არ გაითვალისწინა საჩივარში მითითებული ევროსასამართლოს პრაქტიკა. ამავე საფუძველებიდან გამომდინარე, სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 1323-ე მუხლი, არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ა. მ-ი კომლის წევრი არ იყო, ხოლო სამკვიდრო კომლში დედის გარდაცვალებით გაიხსნა. სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებები წინააღმდეგობრივიცაა, რადგანაც დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოებები უარყოფილია 2013 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით თ. მ-ის საკა-

საციო საჩივარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ცნობილ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობა, თ. მ-ის საკასაციო საჩივარი და თვლის, რომ ის საფუძვლიანია და ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებები გამო:

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენს სააპელაციო პალატის დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და საჩივრის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების მართლზომიერების საკითხი. საკასაციო სასამართლოს მსჯელობის ფარგლებთან მიმართებით პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ 2012 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება-დაუსწრებელი გადაწყვეტილებით თ. მ-ის სარჩელი არ დააკმაყოფილა, ასევე უარი ეთქვა ა. მ-ს მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილებაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება, პროცესუალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით სასამართლოს არსებითი მსჯელობით მიღებული გადაწყვეტილებაა, რომელიც მხარეებს დადგენილი წესით (საკასაციო საჩივრის წარდგენის გზით) არ გაუსაჩივრებიათ, ხოლო საქმეში წარდგენილი თ. მ-ის საჩივრებით, რომელიც მიმართულია დაუსწრებელი გადაწყვეტილების წინააღმდეგ, მოთხოვნილია დაუსწრებელი გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება, რომლითაც დაკმაყოფილდა აპელანტის მოთხოვნა და არ დაკმაყოფილდება სააპელაციო საჩივარი (იხ. პირველი და მე-3 საჩივარი), ხოლო 2012 წლის 14 ნოემბრის საჩივრით მოთხოვნილია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების შეწყვეტა, გამოსახლების ნაწილში კი, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვება. აღნიშნულის საპირისპირო დებულებას არც განსახილველი საკასაციო საჩივრის მოთხოვნა შეიცავს, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და 2013 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილების მართებულობის შემოწმება და არა თ. მ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის, ასევე ა. მ-ის შეგებებული სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მიღებული გადაწყვეტილება, რადგანაც სამო-

ქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ.

სადავო გარემოებებთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს შემდეგზე:

სააპელაციო პალატამ 2012 წლის 16 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებითა და 2012 წლის 11 სექტემბრის საოქმოდ განჩინებით დადგენილად მიიჩნია, რომ აპელანტის მოწინააღმდეგე მხარემ დაარღვია სააპელაციო პასუხის წარდგენის ვადა. სასამართლოს ეს დასკვნა დაემყარა სააპელაციო პალატის გზავნილის (სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისა და სააპელაციო საჩივრის გაგზავნის თაობაზე) ჩაბარების დამადასტურებელ საფოსტო შეტყობინებას, რომლის თანახმადაც გზავნილი საქმეში მითითებულ მისამართზე ჩაბარდა თ.მ-ის ოჯახის ქმედუნარიან ნევრს, მეუღლე მ. გ-ს 2012 წლის 5 ივლისს, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის მიზნებისათვის წარმოადგენდა უშუალოდ მხარისათვის ჩაბარებულად მიჩნევისა და საპროცესო მოქმედების განხორციელების (შესაგებლის წარდგენის ვადის) ვადის დენის წინაპირობას, ხოლო მხარის მიერ მითითებული საფუძვლები შესაგებლის წარდგენის ვადის საპატიოდ დარღვევის თაობაზე არ გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის არც ერთი დანაწესიდან, ამდენად, სააპელაციო პალატამ სავსებით მართებულად ჩათვალა, რომ აპელანტის მოწინააღმდეგე მხარემ დაარღვია სააპელაციო პასუხის წარდგენისათვის დადგენილი 7-დღიანი ვადა.

ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისა და სააპელაციო საჩივრის (შეგებებული სარჩელის) დაკმაყოფილების წინაპირობები.

წინამდებარე საკასაციო საჩივრით თ. მ-ი არ ეთანხმება სასამართლოს ამ მსჯელობას და მიიჩნევს, რომ სასამართლოს არ გააჩნდა უფლებამოსილება, მიეღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატა, მხარის ამ პრეტენზიის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ თავის შინაარსით ის დასაბუთებული შედეგებაა, რაც შესაძლოა სააპელაციო პალატის მიერ საპროცესო ნორმის იმგვარ დარღვევაზე მიუთითებდეს, რამაც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება განაპირობა (სსსკ 393.3 მუხლი), კერძოდ, სააპელაციო პასუხის არადროული წარდგე-

ნის გამო, სააპელაციო პალატამ დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, ერთი მხრივ, განმარტა, რომ სააპელაციო საჩივარში (შეგებულ სარჩელში) მითითებული გარემოებები დადგენილად მიიჩნეოდა, თუმცა მივიდა დასკვნამდე, რომ დადგენილად მიჩნეული გარემოებები უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულების, საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობისა და მესაკუთრედ ა. მ-ის ცნობის მოთხოვნას მხოლოდ ნაწილობრივ, სამკვიდროდან მისი კუთვნილი წილის შესაბამისი ოდენობით ამართლებდა, მაშინ, როდესაც მხარე შეგებებული სარჩელით პრეტენზიას მხოლოდ ქონების ნაწილზე კი არა, მთლიან ქონებაზე აცხადებდა.

სააპელაციო პალატის ამ მოსაზრების მართებულობის დადგენის მიზნით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ გარემოებებზე:

მოპასუხის (მოწინააღმდეგე მხარის) მიერ შესაგებლის შეტანისათვის დადგენილი ვადის დარღვევის გამო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ვალდებულება მხოლოდ მაშინ აქვს, თუ არსებობს კანონით ზუსტად განსაზღვრული წინაპირობები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹ მუხლის თანახმად, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამონაკვეთია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლე ნიშნავს სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

წორმის დისპოზიციის ანალიზით დასტურდება შესაგებლის შეუტანლობის მოტივით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის შემდეგი წინაპირობების არსებობის სავალდებულობა:

1. მოპასუხე (მოწინააღმდეგე მხარე) სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით უნდა იყოს ინფორმირებული საქმის განხილვის თაობაზე, კერძოდ, მას დადგენილი წესით უნდა ჰქონდეს ჩაბარებული სარჩელი და თანდართული მასალები და ამომწურავად უნდა ჰქონდეს

განმარტებული 201-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის ფარგლებში დანიშნული საპროცესო ვადის არასაპატიოდ დარღვევის ნეგატიური შედეგების თაობაზე.

2. მოპასუხემ (მონინალმდეგემ მხარემ) ბრალეულად უნდა დაარღვიოს შესაგებლის შეტანისათვის განსაზღვრული ვადა.

ამ ფაქტობრივი წინაპირობების არსებობა განაპირობებს სარჩელში მითითებული გარემოებების დადგენილად მიჩნევის აუცილებლობას.

ზემოაღნიშნული საფუძვლების კუმულატიურად არსებობა ქმნის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმალურ წინაპირობას, თუმცა იმისათვის, რათა სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით დააკმაყოფილოს სარჩელი, მოსამართლე ვალდებულია გამოარკვიოს კანონის ძალით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ამართლებს თუ არა მოსარჩელის მოთხოვნას იურიდიული თვალსაზრისით. მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა, თავის მხრივ, მოიაზრებს მოსარჩელის მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის სწორად განსაზღვრასა და იმის უტყუარად დადგენას, სარჩელში მითითებული და კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული გარემოებების სამართლებრივი თვალსაზრისით შეფასება იძლევა თუ არა მოთხოვნის მარეგულირებელი მატერიალური ნორმის შემადგენლობას. მითითებულ წინაპირობათაგან თუნდაც ერთ-ერთის არარსებობა იწვევს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარის თქმასა და მხარეთა დაბარებას სასამართლო სხდომაზე.

ასეთ შემთხვევაში, განსხვავებულია მოპასუხის უფლებრივი მდგომარეობა, კერძოდ, მოპასუხისაგან (მონინალმდეგე მხარისაგან) მტკიცებულებების მიღება არ ხდება, სამართლებრივი ბალანსი იმგვარია, რომ მოპასუხეს უფლება მხოლოდ სამართლებრივი შესაგებლის წარდგენაზე გააჩნია, ანუ თავდაცვის საპროცესო საშუალება მხოლოდ სარჩელის მოთხოვნასთან მიმართებით მოპასუხის სამართლებრივი მოსაზრებით შემოიფარგლება.

საყურადღებოა ვითარება, როდესაც რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნა წარდგენილი და დასტურდება ამ მოთხოვნათაგან მხოლოდ ნაწილის დაკმაყოფილების წინაპირობა.

საკაცაციო პალატის შეფასებით, სასამართლო უფლებამოსილია, დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დააკმაყოფილოს ის მოთხოვნა რომლის მიმართაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹ მუხლის შემადგენლობა დგინდება, ხოლო მოთხოვნათა დარჩენილი ნაწილის მიმართ დანიშნოს სხდომა და საქმე არ-

სებითად განიხილოს ამავე ნორმით დადგენილი წესით. ანალოგიურად უნდა გადაწყდეს მოთხოვნათა ფორმალური გაერთიანების საკითხი, კერძოდ, როდესაც მოსარჩელე ერთი მოთხოვნის ფარგლებში აერთიანებს მის რამდენიმე მოთხოვნას, თუმცა მათი გაყოფა, საქმის ფაქტობრივი ვითარების გათვალისწინებით, დასაშვებია, მოთხოვნის დაყოფას მისი მარეგულირებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა დასაშვებად მიიჩნევს თუ იგი თავისი ბუნებით არ ქმნის სამართლებრივ ერთიანობას.

ისეთ ვითარებაში კი, როდესაც დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებებისა და სასარჩელო მოთხოვნის მატერიალური საფუძვლის კვლევით დასტურდება, სარჩელის ერთიანი (დაუყოფელი) მოთხოვნის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მხოლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილების წინაპირობები, სასამართლომ უარი უნდა განაცხადოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე და საქმე განიხილოს მხარეთა დასწრებით, თუმცა მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიუღებლად.

განსახილველ შემთხვევაში, ა. მ-ის შეგვებული სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს: ა) ქ. მ-ის სახელზე განხორციელებული საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმება (საკადასტრო კოდი №...); ბ) ნოტარიუს გ. ბ-ის მიერ 2010 წლის 25 ოქტომბერს დამონმებული №101071714 ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება, როლითაც ქ. მ-მა თ. მ-ს აჩუქა სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) მიწის ფართობი 2512.00 კვ.მ, განაშენიანების ფართობი 358 კვ.მ რომლის საკადასტრო კოდია №...და მის საფუძველზე თ. მ-ის სახელზე განხორციელებული საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმება (საკადასტრო კოდი №...); გ) ა. მ-ი ცნობილ იქნას 1992 წელს თელავის რაიონის სოფელ ვ-ის მიწის რეფორმის კომისიის მიერ შედგენილი №636 სიისა და №526 მიღებაჩაბარების აქტის – 0,25 ჰა საკარმიდამო მიწისა და ფ-ი მდებარე 0,75 ჰა ვენახის მესაკუთრედ.

სააპელაციო სასამართლომ 2012 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება-დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დააკმაყოფილა რა ა. მ-ის შეგვებული სარჩელი აღნიშნა, რომ სააპელაციო პასუხის წარუდგენლობის გამო დადგენილად უნდა ჩაითვალოს ა. მ-ის სააპელაციო საჩივარში (შეგვებულ სარჩელში) მითითებული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

– ა. მ-ი, თ. მ-ი და ი. მ-ი აღრიცხული იყვნენ ცალ-ცალკე კომლებად.

– საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48 დადგენილებისა და ამავე წლის 6 თებერ-

ვლის №128 დადგენილების საფუძველზე თელავის რაიონის სოფელ ვ-ის მიწის რეფორმის კომისიამ ა. მ-ი მიაკუთვნა მამის, ი. მ-ის კომლს და ერთად, როგორც ერთ კომლს, მიაკუთვნა საკარმიდამო მიწის ფართი 0.25 ჰა, რომელზეც განთავსებულია საცხოვრებელი სახლი და დამატებით, როგორც პირველი კატეგორიის, ანუ საკოლმეურნეო კომლს გადაეცა 0.75 ჰა მიწის ნაკვეთი.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, დასახელებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდა აპელანტის მოთხოვნას ქ. მ-სა და თ. მ-ს შორის დადებული ხელშეკრულების, კერძოდ, ქონების 2/3 ნაწილზე ბათილად ცნობის, თელავში, სოფელ ვ-ი მდებარე სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობის 2/3 ნაწილის მესაკუთრედ ა. მ-ის ცნობის და №526 მიღება-ჩაბარების აქტით ი. მ-ის სახელზე რიცხული 0.75 ჰა ვენახის (მდებარე სოფ. ფ-ი) 3/4 ნაწილის მესაკუთრედ ა. მ-ის ცნობის თაობაზე მოთხოვნის ნაწილში.

იურიდიულ მართებულობასთან მიმართებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციის წესის შესახებ“, საქართველოს მთავრობის 1992 წლის 22 სექტემბრის №949 დადგენილების, სახელმწიფო საბჭოს 1993 წლის 21 ოქტომბრის №29 დეკრეტის საფუძველზე 1993 წლიდან დადგინდა სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების რეორგანიზაცია და ახალ ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმაზე გადასვლა. კოლმეურნეობების გაუქმებით საკოლმეურნეო კომლის არსებობას სამართლებრივი საფუძველი გამოეცალა და მან არსებობა შეწყვიტა. საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქციით) 129-ე მუხლის შესაბამისად, გაყოფა საკოლმეურნეო კომლის კუთვნილი ქონებისა, რომელიც მისი მოსპობის შემდეგ დარჩა, წარმოებს ამ კოდექსის 125-ე და 128-ე მუხლებში აღნიშნული წესებით. ამავე კოდექსის 122-ე მუხლის თანახმად, საკოლმეურნეო კომლის ქონება ეკუთვნის მის წევრებს თანასაკუთრების უფლებით. აღნიშნული კოდექსის 125-ე მუხლის თანახმად, საკოლმეურნეო კომლის წევრის წილი განისაზღვრება იმ ანგარიშით, რომ კომლის ყველა წევრს, მათ შორის, არასრულწლოვანსა და შრომისუუნაროსაც თანაბარი წილი ეკუთვნის. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკოლმეურნეო კომლის გაუქმების შემდეგ, კომლის ქონება გარდაიქმნა კომლის ყოფილ წევრთა საერთო საკუთრებად, სადაც თითოეულ წევრს

თანაბარი წილი ეკუთვნის (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 27 ივლისის განჩინება, №ას-988-1242-05), ამდენად, მას შემდეგ, რაც გაუქმდა საკოლმეურნეო კომლი და მას სამართლებრივი საფუძველი გამოეცალა, ქონება, რომელიც საკოლმეურნეო კომლის ქონებას და ამავე დროს კომლის წევრთა საერთო საკუთრებას წარმოადგენდა, აღარ წარმოადგენს საკოლმეურნეო კომლის ქონებას და იგი არის კომლის ყოფილ წევრთა საერთო საკუთრება თანაბარ წილში, რომელზედაც ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საკუთრების საერთო რეჟიმი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კომლის ყოფილ წევრთა საერთო საკუთრებაზე მემკვიდრეობა უნდა გაიხსნას სამკვიდროს გახსნის ზოგადი წესების მიხედვით.

ა. მ-ი, თ. მ-ი და ი. მ-ი აღრიცხული იყვნენ რა ცალ-ცალკე კომლებად, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48 დადგენილებისა და ამავე წლის 6 თებერვლის №128 დადგენილების საფუძველზე თელავის რაიონის სოფელ ვ-ის მინის რეფორმის კომისიამ ა. მ-ი მიაკუთვნა მამის, ი. მ-ის კომლს და ერთად, როგორც ერთ კომლს მიაკუთვნა საკარმიდამო მინის ფართი 0.25 ჰა, რომელზეც განთავსებულია საცხოვრებელი სახლი და დამატებით, როგორც პირველი კატეგორიის, ანუ საკოლმეურნეო კომლს გადაეცა 0.75 ჰა მინის ნაკვეთი. შესაბამისად, დადგენილია, რომ 0.25 ჰა საკარმიდამო და 0.75 ჰა მინის ნაკვეთებზე არსებობდა ა. და ი. მ-ის თანასაკუთრება. სასამართლოს განმარტებით, ვინაიდან არც შეგებებული სარჩელი და არც სააპელაციო საჩივარი არ შეიცავდა მითითებას ი. მ-ის და ა. მ-ის კომლის სხვა წევრთან დაკავშირებით, 0.25 ჰა საკარმიდამო და 0.75 ჰა სასოფლო-სამეურნეო მინის ნაკვეთების 1/2-1/2 ნაწილი საკუთრების უფლებით ეკუთვნოდათ ა. და ი. მ-ს.

ი. მ-ის გარდაცვალების შემდგომ 0.25 ჰა საკარმიდამო და 0.75 ჰა სასოფლო-სამეურნეო მინის ნაკვეთების 1/2 ნაწილზე გაიხსნა სამკვიდრო, რაზეც მეუღლეს – ქ. მ-სა და შვილებს, თ. და ა. მ-ს აქვთ სამკვიდროს მიღების ლეგიტიმური უფლება. ა. მ-ის შეგებებული სარჩელის მოთხოვნა იურიდიულად გამართლებული კომლიდან თანასაკუთრების რეჟიმში არსებულ 1/2 ნაწილზე და ასევე მამის დანაშთი ქონების – 1/3 წილზე, ანუ მთლიანი ქონების 1/6 ნაწილზე, რაც ჯამში სადავო ქონების 2/3 ნაწილს შეადგენს.

სადავო ქონების 1/3 ნაწილთან მიმართებაში პალატამ ჩათვალა, რომ დავა არა დაუსწრებელი გადანყევტილებით, არამედ

არსებითი მსჯელობით უნდა გადაწყვეტილიყო. სასამართლომ, სამოქალაქო კოდექსის 1336-ე, 1424-ე, 1319-ე, 1421-ე და 1433-ე მუხლების ანალიზით დაადგინა, რომ ი. მ-ის გარდაცვალების შემდგომ მას დარჩა სამი პირველი რიგის მემკვიდრე, საიდანაც ერთმა მემკვიდრემ ქ. მ-მა გამოხატა ნება მისი კუთვნილი ქონება დაეთმო ერთ-ერთი შვილის – თ. მ-ის სასარგებლოდ. კერძოდ, 2010 წლის 25 ოქტომბერს ქ. მ-მა თ. მ-ს ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე გადასცა სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) მიწის ნაკვეთი დაზუსტებული ფართი 2512.00 კვ.მ, განაშენების ფართი – 358 კვ.მ საკადასტრო კოდით შესაბამისად, თ. მ-ს ეკუთვნოდა 0.25 ჰა საკარმიდამო მიწის ნაკვეთის 1/3 ნაწილი – მამის დანაშთ სამკვიდროდან მიღებულ 1/6 წილს დამატებული ი. მ-ის სამკვიდროდან ქ. მ-ის მიერ მიღებული 1/6 წილი.

0.75 ჰა მიწის ნაკვეთთან მიმართებით პალატამ ასევე დაადგინა, რომ ქ. მ-ს მისი წილის დათმობის ნება არ გამოუხატავს, შესაბამისად, თ. მ-ს, როგორც ი. მ-ის პირველი რიგის მემკვიდრეს, უნდა მიკუთვნებოდა აღნიშნული მიწის ნაკვეთის 1/4 ნაწილი.

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მხარეებს არ გაუსაჩივრებიათ დადგენილი წესით, შესაბამისად, ამ ნაწილში საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მისი კანონიერება.

საყურადღებოა ასევე საქმეში წარმოდგენილი სააპელაციო პალატის 2013 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილება, რომლითაც სასამართლო მის მიერ უკვე მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების შესწორებით შემოიფარგლა. აღნიშნული გადაწყვეტილებით პალატამ დაადგინა, რომ შესაგებლის დადგენილ ვადაში წარუდგენლობის თაობაზე საჩივრის ავტორის პრეტენზია უსაფუძვლო იყო და არ ქმნიდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 240-ე მუხლზე, რომლითაც რეგულირებულია საჩივრის საფუძვლიანობის კვლევისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების საერთო წესი. დასახელებული ნორმის პირველი და 11 ნაწილებით დადგენილია, რომ საჩივარი განიხილება სასამართლო სხდომაზე. მხარეთა გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საჩივრის განხილვას. თუ საჩივრის განხილვის შედეგად აღმოჩნდება, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს, სა-

სამართლო განჩინებით აუქმებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რის შემდეგაც იწყება სარჩელის განხილვა. თუ საჩივრის განხილვის შედეგად აღმოჩნდება, რომ ამ კოდექსის 232¹ მუხლის შესაბამისად გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს იმ საფუძვლით, რომ პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობა გამონეწეული იყო საპატიო მიზეზით, სასამართლო განჩინებით აუქმებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას და მოპასუხეს აღუდგენს პასუხის (შესაგებლის) წარდგენისათვის ამ კოდექსის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ ვადას.

საყურადღებოა, რომ შესაგებლის წარუდგენლობის მოტივით მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ა) სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძღვეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის; ბ) გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები (სსსკ 233.3 მუხლი). მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და შესაბამისი ეტაპიდან საქმის განხილვის შესაძლებლობას ითვალისწინებს ასევე შემთხვევა, როდესაც საჩივრის განხილვის დროს დადგინდება, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილება იურიდიული თვალსაზრისით არ იყო გამართლებული, თუმცა, როგორც აღინიშნა, სააპელაციო პალატას ნორმის ზემოაღნიშნული შემადგენლობა არ უდგენია.

2013 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილებით სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების ფარგლებში დადგენილად უნდა ყოფილიყო ის გარემოებაც მიჩნეული, რომ ი. მ-ან და ა. მ-ან ერთად კომლის წევრს წარმოადგენდა ქ. მ-იც, ამდენად, დასახელებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდა აპელანტის მოთხოვნას ქ. მ-სა და თ. მ-ს შორის დადებული ხელშეკრულების, ქონების 4/9 ნაწილზე ბათილად ცნობის, თელავში, სოფელ ვ-ი მდებარე სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობის 4/9 ნაწილის მესაკუთრედ ა. მ-ის ცნობისა და №526 მიღება-ჩაბარების აქტით ი. მ-ის სახელზე რიცხული 0.75 ჰა ვენახის (ფ-ი) 3/4 ნაწილის მესაკუთრედ ა. მ-ის ცნობის თაობაზე მოთხოვნის ნაწილში.

პირველ ყოვლისა, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საჩივრის განხილვის ეტაპზე სააპელაციო პალატამ დაადგინა რა, რომ არ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 240-ე მუხლის შემადგენლობა, ამასთან, პრაქტიკულად, სასამართლომ

იმსჯელა გარემოებაზე, რომელიც დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას არ შეფასებულა. აღნიშნულით პალატა გასცდა გადაწყვეტილებაში უსწორობის გასწორებისათვის კანონით დადგენილ ფარგლებსაც, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები, თუმცა ნორმის მიზანს წარმოადგენს იმგვარი უსწორობის გასწორება, რომელიც მექანიკური ხასიათის მატარებელია და არ იწვევს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის რაიმე სახით შეცვლას, უსწორობის დაშვების ფაქტი თავად გადაწყვეტილების შინაარსიდან უნდა დასტურდებოდეს და სასამართლოს ამ საკითხის გარკვევისას არავითარი ახალი ფაქტობრივი გარემოებების დადგენის უფლება არ ენიჭება. უსწორობის შესახებ დასკვნა უნდა ემყარებოდეს მხოლოდ და მხოლოდ გადაწყვეტილებაში უკვე ასახულ მტკიცებულებათა ანალიზს, თუმცა საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს იმ ვითარებას, რომ ქ. მ-ის მემკვიდრედ მიჩნევის ფაქტით შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებული მოთხოვნა შემცირდა. ამ გარემოების თაობაზე შედეგების უფლება წარმოეშვა თავად ა. მ-ს, რომელსაც გადაწყვეტილების ამ მსჯელობის სანიშნაოდმდეგოდ პრეტენზია არ წარმოუდგენია, თ. მ-ის შედეგების ფარგლების გათვალისწინებით კი, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, შეაფასოს 2013 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილების სისწორე იმ კუთხით, სადაც საუბარი ქ. მ-ის, როგორც მემკვიდრის უფლებრივ მდგომარეობაზეა.

პალატა ყურადღებას გაამახვილებს თ. მ-ის მსჯელობაზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების არსებობის თაობაზე და ნაწილობრივ იზიარებს მხარის პოზიციას საქმის წარმოების შეწყვეტის მართებულობის თაობაზე. კერძოდ, საქმეში წარმოდგენილია თელავის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომლითაც განხილულია თ. მ-ის სარჩელი ა. და ლ. მ-ის მიმართ საკუთრების ხელყოფის აღკვეთისა და ბინიდან გამოსახლების თაობაზე, ასევე ა. მ-ის შეგებებული სარჩელი თ. მ-ის სახელზე გაცემული სამკვიდრო მონაძობის ბათილად ცნობის თაობაზე, საქმეში წარმოდგენილია სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 აპრილის განჩინებაც, რომელიც მიღებულია თელავის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე. სააპელაციო პალატამ მიუხედავად საჩივარში მხარის მიერ ამ გარემოებაზე მითითებისა, უსაფუძვლოდ მიიჩნია თ.მ-ის საჩივრის ეს არგუმენტი და არას-

ნორად იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლით, ამასთან, ამ ნორმას არასწორი შეფასება მისცა.

პირველ ყოვლისა, ამ არგუმენტთან მიმართებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში, რომელიც გამოტანილია იმავე მხარეების მიმართ, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით, სასამართლო არ არის შეზღუდული მხარის მითითებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, მას საკუთარი ინიციატივითაც შეუძლია საქმის წარმოების შეწყვეტა, ამასთან, რაიმე შეზღუდვა არც დაუსწრებელი გადაწყვეტილებისათვის დადგენილი წარმოების წესებიდან გამომდინარე არსებობს (სსსკ 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი და ამავე ნორმის მე-2 ნაწილი).

ისეთ ვითარებაში, როდესაც საქმეში წარმოდგენილი იყო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, სასამართლო ვალდებული იყო ამ გადაწყვეტილების შესწავლის გზით დაედგინა ხომ არ არსებობდა ზემოაღნიშნული ნორმების იურიდიული შემადგენლობა. შესაბამისად, სასამართლოს არ უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით. მიუხედავად ამ მსჯელობისა, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს ასევე ყურადღება გაამახვილოს სასამართლოს მიერ ზემოაღნიშნული ნორმის განმარტებაზე.

სააპელაციო პალატის მსჯელობა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, წინასწარ დადგენილი ძალა ენიჭება გადაწყვეტილების სარეზოლუციო და არა სამოტივაციო ნაწილს, არასწორია, რადგანაც დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. ესენია ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ. ამდენად, პრეიუდიციული მნიშვნელობა ენიჭება ფაქტებს, რომლებიც სწორედ გადაწყვეტილების კვლევით ნაწილშია ასახული და გადაწყვეტილება ამავდროულად იმავე მხარეებს შორის არსებულ სხვა სამოქალაქო დავაზეა მიღებული. რაც შეეხება სარეზოლუციო ნაწილს, ის წარმოადგენს გადაწყვეტილების აღსრულებაუნარიან ნაწილს, რომლითაც რეალიზებულია მხარის უფლებები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო

პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის მიერ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება და გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში საპროცესო ნორმის ისეთი დარღვევითაა მიღებული, რომ საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა (სსსკ 412.1 „ა“ ქვეპუნქტი), რაც საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ, პირველ ყოვლისა, უნდა შეისწავლოს და დაადგინოს ფაქტობრივი გარემოება თელავის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება და ამავე საქმეზე მიღებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 აპრილის განჩინება წინამდებარე საქმესთან მიმართებით ხომ არ ქმნის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემადგენლობას, უარყოფით შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ საქმე არსებითად უნდა განიხილოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹ მუხლით დადგენილი წესით.

ამასთანავე, სასამართლო მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ წინამდებარე განჩინება არ წარმოადგენს საქმეზე შემაჯამებელ გადაწყვეტილებას, რის გამოც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლო ხარჯები უნდა განაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. თ. მ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 16 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და 2013 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო გადაწყვეტილების ფარგლები

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-336-320-2013

21 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
თ. თოდრია

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ჯ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში თ. ჯ-ის, თ. ა-ის, თ. ქ-ის, ი. ბ-ის, დ. მ-ის, ნ. ლ-ის (დაბ. ... წელს), ჯ. მ-ის, ნ. მ-ის, ნ. ლ-ის (დაბ. ... წელს), ნ. მ-ის, ი. ს-ის, ა. თ-ის, ი. ტ-ის, ა. კ-ის, ლ. კ-ის, გ. ე-ის, ი. ბ-სა და ე. ტ-ის მიმართ ფულადი ვალდებულების შესრულების შესახებ. მოსარჩელის განმარტებით, 2007 წლიდან სხვადასხვა დროს მან მოპასუხეებს ასევე სხვადასხვა თანხა პროცენტის სარგებლით. მოპასუხეებმა სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები არ შეასრულეს და ნასესხი თანხა დარიცხულ სარგებელთან ერთად არ დააბრუნეს.

თ. ჯ-მა, თ. ა-მა, ჯ. მ-მა, ნ. ლ-მა (დაბ. ... წელს), ა. კ-მა, ლ. კ-მა, გ. ე-მა, ე. ტ-მა, ნ. ლ-მა (დაბ. ... წელს) და თ. ქ-მა არ ცნეს სარჩელი იმ მოტივით, რომ მოთხოვნა მათ მიმართ ხანდაზმულია.

ნ. მ-მა სარჩელი ცნო მხოლოდ 2500 ლარის ნაწილში, ი. ბ-მა – 450 ლარისა და 135 აშშ დოლარის ნაწილში, ნ. მ-მა – 840 ლარის ნაწილში, დ. მ-მა – 520 ლარის ნაწილში.

ი. ს-მა, ა. თ-მა და ი. ტ-მა სარჩელი არ ცნეს.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სასარჩელო მოთხოვნა თ. ჯ-ის, თ. ა-ის, ჯ. მ-ის, ნ. ლ-ის (დაბ. ... წელს), ა. კ-ის, ლ. კ-ის, გ. ე-ის, ე. ტ-ის, ნ. ლ-ის (დაბ. ... წელს) და თ. ქ-ის მიმართ (მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება 1100 აშშ დოლარის დაკისრებას) არ დაკმაყოფილდა მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, ი. ს-ს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 1050 ლარის, თ. ქ-ს – 560 ლარის, ა. თ-ს – 430 აშშ დოლარის ეკვივალენტი

ლარის, ი. ტ-ს – 800 ლარისა და 160 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის, ნ. მ-ს – 2224 ლარისა და 800 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის, ი. ბ-ს 600 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის, ნ. მ-ს – 480 ლარისა და 480 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის, დ. მ-ს კი – 560 ლარის გადახდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში ნ. ჯ-მა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილებით გასაჩივრებული გადაწყვეტილება ჯ. მ-ის მიმართ გაუქმდა და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ, ჯ. მ-ს ნ. ჯ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 3020.5 ლარის ანაზღაურება შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ დაადგინა, რომ 2008 წლის 5 აგვისტოს ჯ. მ-მა ნ. ჯ-ან ისესხა 500 ლარი, თვეში 500 ლარზე 50 ლარის სარგებლით. იმავე წლის 8 სექტემბერს ჯ. მ-მან ნ. ჯ-ან დამატებით ისესხა 1500 ლარი თვეში 450 ლარის სარგებლით.

ხელწერილით დგინდება, რომ მხარეები სესხის კონკრეტულ ვადაში დაბრუნებაზე არ შეთანხმებულან, ამდენად, აღნიშნული თანხა გამსესხებლის მიერ სესხად გაიცა უვადოდ, სესხის თანხის სრულად დაბრუნებამდე.

საქმის მასალებში არ მოიპოვება რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა იმ გარემოებას, რომ ნასესხები თანხა (სრულად ან ნაწილობრივ) მოპასუხემ დააბრუნა. ასეთი სახის მტკიცებულების წარმოდგენა მტკიცების ტვირთის განაწილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მოქმედი სტანდარტის შესაბამისად, სწორედ მოპასუხის ვალდებულება. შესაბამისად, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ სესხად გაცემული თანხა დაბრუნებული არ არის.

მოსარჩელე ითხოვს მოპასუხეებს დაეკისროთ სესხის ძირი თანხა და სესხის ხელშეკრულების გაფორმებიდან სამი წლის განმავლობაში დარიცხული პროცენტი. ამდენად, ჯ. მ-ის მიმართ ნ. ჯ-ი პროცენტის დაკისრებას ითხოვს 2008 წლის 5 აგვისტოდან 2011 წლის 5 აგვისტომდე 500 ლარის სასესხო ვალდებულების ნაწილში, ხოლო 2008 წლის 8 სექტემბრიდან 2011 წლის 8 სექტემბრამდე – 1 500 ლარის სასესხო ვალდებულების ნაწილში.

ნ. ჯ-მა სარჩელი აღძრა 2012 წლის 31 მაისს, შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ სამოქალაქო კოდექსის 129-ე, 130-

ე მუხლების საფუძველზე ამ მოთხოვნაზე უნდა გავრცელდეს პერიოდულად შესასრულებელი მოთხოვნების შესრულების-თვის დადგენილი ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა და მოსარჩელეს მოთხოვნის უფლება გააჩნია მხოლოდ სარჩელის წარდგენამდე 3 წლის პროცენტზე. გათვალისწინებით იმისა, რომ 500 ლარის სასესხო ვალდებულების ნაწილში ნ. ჯ-ი სარჩელით ითხოვს პროცენტის დაკისრებას 2008 წლის 5 აგვისტოდან 2011 წლის 5 აგვისტომდე, პალატამ მიიჩნია, რომ სარჩელი საფუძვლიანია 2009 წლის 31 მაისიდან 2011 წლის 5 აგვისტომდე პროცენტის დაკისრების ნაწილში.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ვებგვერდის მონაცემებით (ჰტტპ://ნბგ.გოვ.გე, საპროცენტო განაკვეთების სტატისტიკა), 2009-2011 წლებში ეროვნულ ვალუტაში გრძელვადიანი სესხების საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 22.9%-ს, რაც თვეში საშუალოდ შეადგენს 1.9%-ს.

ამდენად, საფუძვლიანია სარჩელი ჯ. მ-ის ძირი თანხის – 500 ლარისა და 2009 წლის 31 მაისიდან 2011 წლის 5 აგვისტომდე (საშუალოდ 2 წლის და 2 თვის) პროცენტის – 248 ლარის დაკისრების ნაწილში, რაც ჯამში შეადგენს 748 ლარს.

სასამართლომ მიუთითა, რომ ნ. ჯ-ი 1 500 ლარის სასესხო ვალდებულების ნაწილში სარჩელით ითხოვს პროცენტის დაკისრებას 2008 წლის 8 სექტემბრიდან 2011 წლის 8 სექტემბრამდე, ამდენად, სარჩელი საფუძვლიანია 2009 წლის 31 მაისიდან 2011 წლის 8 სექტემბრამდე პროცენტის დაკისრების ნაწილში.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ვებგვერდის მონაცემებით (<http://nbg.gov.ge>, საპროცენტო განაკვეთების სტატისტიკა), 2009-2011 წლებში ეროვნულ ვალუტაში გრძელვადიანი სესხების საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 22.9%-ს, რაც თვეში საშუალოდ 1.9%-ია.

ამდენად, საფუძვლიანია სარჩელი ჯ. მ-ის ძირი თანხის – 1 500 ლარისა და 2009 წლის 31 მაისიდან 2011 წლის 8 სექტემბრამდე პროცენტის – 772.5 ლარის დაკისრების ნაწილში, რაც ჯამში შეადგენს 2272.5 ლარს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ, ორივე სასესხო ვალდებულებიდან გამომდინარე, ჯ. მ-ს უნდა დაეკისროს ჯამში 3020.5 ლარი. შესაბამისად, ჯ. მ-ის მიმართ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თავისი გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძველად სააპელაციო პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხ-

ლის 1-ლ ნაწილზე, 317-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, 361-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, 623-ე მუხლზე, 625-ე მუხლზე და 54-ე მუხლზე.

საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულის თანახმად, საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნებაა, დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო. ყოველივე ამის საფუძველი სტაბილური ეკონომიკური ბრუნვა და ბრუნვის მონაწილეთა ძირითადი უფლებების დაცვაა. გარიგება ან მისი ესა თუ ის პირობა ზნეობრივ ნორმებთან და საჯარო წესრიგთან შეუსაბამოა, როდესაც ის ეწინააღმდეგება სოციალური სამართლიანობის პრინციპს, ხელშეკრულების მხარეს აყენებს შეუსაბამოდ რთულ მდგომარეობაში. შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული როგორც თითოეული გარიგების შინაარსი და მისი სამართლებრივი ბუნება, ასევე მისი პირობების შედარება სამოქალაქო ბრუნვაში ანალოგიური ეკონომიკური დანიშნულების მქონე გარიგებების შინაარსთან, ასევე ის გარემოებები, რომელთა გათვალისწინებითაც გამოავლინა გარიგების დადების ნება მხარემ. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ისეთ პირობებში, როცა საქმის მასალებით დასტურდება ფიზიკური პირების მიერ მცირე ოდენობით თანხების სესხად აღება ფიზიკური პირისაგან, გამსესხებლის მიერ ბაზარზე საკრედიტო დანესებულებების კრედიტებზე დადგენილ საშუალო საპროცენტო განაკვეთებზე ბევრად მეტი ოდენობით პროცენტის განსაზღვრა ეწინააღმდეგება ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობებისათვის დადგენილ კანონის ძირითად პრინციპებს, შესაბამისად, საჯარო წესრიგს და ზნეობრივ სტანდარტებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ ჩათვალა, რომ არ არსებობს თანხის სარჩელით მოთხოვნილი ოდენობით დაკმაყოფილების საფუძველი. პალატამ მოთხოვნები დააკმაყოფილა მხოლოდ იმ ფარგლებში, რა საშუალო საპროცენტო განაკვეთებიც არის დამკვიდრებული ბაზარზე ეროვნულ თუ უცხოურ ვალუტაზე სადავო პერიოდში მოკლევადიან თუ გრძელვადიან სასესხო ურთიერთობებში.

სამოქალაქო პროცესი აგებულია რა შეჯობებითობის პრინციპზე, მხარეებს უფლებებთან ერთად აკისრებს თავისივე ინტერესებისათვის აუცილებელ საპროცესო მოვალეობებს, რომელთა შეუსრულებლობა იწვევს ამავე მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს. ეს დანაწესი განმტკიცებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით, რომლითაც მოდავე მხარეებს თანაბარი შესაძლებლობა აქვთ განსაზღვრონ ფაქტები თავიანთი მოთხოვნებისა თუ შესაგებლის დასასაბუთებლად და

თვითონვე მიიღონ გადაწყვეტილება, თუ რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ე.ი. მხარეს ეკისრება როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი, რაც სათანადო მტკიცებულებების წარდგენით უნდა განახორციელოს.

სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ კრედიტორი ყოველთვის ვალდებულია, გასცეს მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ ამას მოვალე მოითხოვს. კანონში კრედიტორის მიმართ არსებობს მეტად ცალსახა დამოკიდებულება – იგი ავალდებულებს, მოვალის მოთხოვნის შემთხვევაში გასცეს ასეთი დოკუმენტი, თუმცა კანონი ასეთივე მომთხოვნი არ არის მოვალის მიმართ. მას შეუძლია, არ გამოითხოვოს ასეთი საბუთი კრედიტორისაგან. ბუნებრივია, კანონმდებლის ასეთი დამოკიდებულება განპირობებულია, ვალდებულებიდან გამომდინარე, მხარეთა მდგომარეობით. ნორმაში მითითებული დოკუმენტის ფლობა აუცილებლობას წარმოადგენს მოვალისათვის, რადგან მან მხოლოდ ამ დოკუმენტით შეიძლება დაადასტუროს ვალდებულების შესრულება, რასაც ვერ ვიტყვით კრედიტორზე. მას არანაირი საჭიროება არ აქვს, ფლობდეს ამ დოკუმენტს არც სამართლებრივი და არც ფაქტობრივი თვალსაზრისით. კანონი მოვალეს აღჭურავს მთელი რიგი უფლებებით, რათა შესძლოს ვალდებულების შესრულების და კრედიტორის მიერ ამ შესრულების მიღების ფაქტის დადასტურება. ამ უფლების გამოუყენებლობა კი, წარმოადგენს მის რისკს და შეუძლებელს ხდის ზემოთ მითითებული გარემოების დადასტურებას.

ამდენად, რადგან სესხად გაცემული თანხის დაბრუნების დამადასტურებელი გარემოების მტკიცების ტვირთი ეკისრება მსესხებელს, შესაბამისი მტკიცებულება კი სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის საფუძველზე შეიძლება იყოს თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებში არ მოიპოვება, სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მსესხებელს სესხი არ დაუბრუნებია.

სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, 129-ე მუხლის შესაბამისად, პალატამ აღნიშნა, რომ ხანდაზმულობის ვადაში მოიაზრება დრო, რომლის განმავლობაშიც უფლებამოსილ პირს შეუძლია თავისი უფლების რეალიზაცია ან დაცვა. ხანდაზმულობის ინსტიტუტის სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნის უფ-

ლება ობიექტურად არსებობს, თუმცა იგი განუხორციელებელია.

სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი ხანდაზმულობის დაწყებას მოთხოვნის წარმოშობის მომენტს უკავშირებს, ხოლო მოთხოვნის წარმოშობის მომენტად მიიჩნევა დრო, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილში ჯ. მ-მა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 129-130-ე მუხლები. გადაწყვეტილებით არ ირკვევა, როდიდან უნდა დაწყებულიყო სადავო ვადის ათვლა.

უდავოდაა დადგენილი, რომ სესხისათვის გათვალისწინებული იყო ყოველთვიური პროცენტი, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი თვის პროცენტის გადაუხდელობის შემთხვევაში ნ. ჯ-ს შეეძლო, ჯ. მ-ან მოეთხოვა ვალდებულების შესრულება. ამდენად, ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყო 2008 წლის ოქტომბრიდან, რადგან, მოსარჩელის განმარტებით, პროცენტი საერთოდ არ იყო გადახდილი. სარჩელი კი შეტანილია 2012 წლის 31 მაისს.

სასამართლომ საერთოდ არ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლით, როდესაც გასცდა სასამართლო გადაწყვეტილების ფარგლებს და მხარეს მიაკუთვნა ის, რაც მას არ მოუთხოვია. მხარე ითხოვდა მხოლოდ 1500 ლარს – ძირ თანხას და მასზე დარიცხულ პროცენტებს, სასამართლომ კი ამასთან ერთად იმსჯელა და ჯ. მ-ს დააკისრა 2008 წლის 5 აგვისტოს მიღებული 500 ლარი და მასზე დარიცხული პროცენტი. სასამართლომ საერთოდ არ მიაქცია ყურადღება, რომ 500 ლარის შემდეგ დამატებით ჯ. მ-ს მიღებული ჰქონდა 400 ლარი. ორივე სესხი გადაიფარა სექტემბერში მიღებული 1500 ლარით. ამიტომ მხარე ითხოვდა მხოლოდ 1500 ლარს და მასზე დარიცხულ სარგებელს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ნ. ჯ-აც.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 2 აპრილის განჩინებით ნ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი საკასაციო საჩივ-

რის საფუძვლებს შესწავლისა და გასაჩივრებული გადანყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ჯ. მ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა და კასატორს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

ჯ. მ-მა ნ. ჯ-ან 2008 წლის 8 სექტემბერს ისესხა 1500 ლარი, თვეში 450 ლარის სარგებლის გადახდით.

მხარეები სასესხო თანხის კონკრეტულ ვადაში დაბრუნებაზე არ შეთანხმებულან.

საქმის მასალებში არ მოიპოვება რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა იმ გარემოებას, რომ ნასესხები თანხა (სრულად ან ნაწილობრივ) მოპასუხის მიერ დაბრუნებული იქნა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიას სააპელაციო სასამართლოს მიერ ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების არასწორად განმარტების თაობაზე. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველთვიური სარგებელი წარმოადგენს პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას და მასზე უნდა გავრცელდეს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა. აქედან გამომდინარე, სარჩელის აღძვრამდე, წინა სამი წლის გაანგარიშებით სარგებლის დაკისრება სრულ თანხხვედრაშია მატერიალური ნორმის დანაწესთან.

რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას სასამართლოს მიერ საპროცესო ნორმების მოთხოვნათა დარღვევის თაობაზე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში კასატორმა წარმოადგინა დასაბუთებული პრეტენზია, კერძოდ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განმტკიცებული დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარეები თვითონ განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადანყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. შესაბამისად, სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადანყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მე-

ტი, ვიდრე ის მოითხოვდა (248-ე მუხლი).

საქმის მასალების ანალიზიდან ირკვევა, რომ მოსარჩელე ნ. ჯ-მა ჯ. მ-ის მიმართ წარდგენილი სარჩელით მოითხოვა 2008 წლის სექტემბრის თვეში მოპასუხისათვის სესხის სახით გადაცემული 1500 ლარისა და სამი წლის სარგებლის (თვეში 450 ლარის ოდენობით) გადახდის დაკისრება, ჯამში 17700 ლარის ოდენობით. ანალოგიური მოთხოვნა იქნა დაფიქსირებული მოსარჩელის მიერ საქმის მთავარ სხდომაზე არსებითად განხილვისას და სააპელაციო საჩივრის წარდგენისას. ჯ. მ-ის საკასაციო საჩივარზე წარდგენილ შეპასუხებაში, მოწინააღმდეგე მხარე ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მისი მოთხოვნა არ არის 2008 წლის 5 აგვისტოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ 500 ლარზე და ამ მიმართებით სასამართლო გასცდა მოთხოვნის ფარგლებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ჯ. მ-ს უსაფუძვლოდ დააკისრა ნ. ჯ-ის სესხის ძირითადი თანხის – 500 ლარისა და მასზე დარიცხული სარგებლის – 248 ლარის გადახდა, რაც აღნიშნულ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების წინაპირობაა. ამდენად, ნ. ჯ-ის სარჩელი საფუძვლიანია მხოლოდ 2272.5 ლარის დაკისრების ნაწილში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შეუძლია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ნ. ჯ-ი „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ,

მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ვინაიდან 748 ლარის დაკისრების ნაწილში მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მითითებული ნორმის საფუძველზე, მოსარჩელეს მოპასუხე ჯ. მ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 748 ლარის 5%-ის გადახდა, რაც შეადგენს – 37.4 ლარს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით განეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან განთავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია. ვინაიდან, ჯ. მ-ის მიმართ სასარჩელო მოთხოვნა საფუძვლიანია 2272.5 ლარის ნაწილში, მითითებული ნორმის საფუძველზე, ჯ. მ-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 2272.5 ლარის 3%-ის (68.17 ლარი) და 2272.5 ლარის 4%-ის (90.9 ლარი) გადახდა, პირველი და სააპელაციო ინსტანციებისათვის გათვალისწინებული ხარჯების სახით, რაც ჯამში შეადგენს 159.07 ლარს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. ჯ. მ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1.7 პუნქტის შეცვლით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.
3. ჯ. მ-ს ნ. ჯ-ის სასარგებლოდ დაეკისროს 2272.5 ლარის გადახდა.
4. ნ. ჯ-ს ჯ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისროს კასატორის მიერ განეული სასამართლო ხარჯების გადახდა 37.4 ლარის ოდენობით.

5. ჯ. მ-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს 159.07 ლარის გადახდა.

6. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დაუსრულებელი გადაწყვეტილების გაუქმება

განჩინება

№ას-217-209-2013

20 სექტემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2012 წლის 28 თებერვალს ბოლნისის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა შ. მ-ამ მოპასუხე სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ იმირის საჯარო სკოლის დირექტორის მიმართ და მოითხოვა:

1. სამუშაოდან მისი გათავისუფლების შესახებ მარნეულის რაიონის სოფელ იმირის საჯარო სკოლის დირექტორის, ი. მ-ის 2012 წლის 24 იანვრის №18 ბრძანების გაუქმება და სამუშაოზე აღდგენა;

2. 2011 წლის 15 სექტემბრიდან გაუცემელი ხელფასისა და განაცდურის ანაზღაურება 1728 ლარის ოდენობით.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით შ. მ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, რომელმაც მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 სექტემბრის დაუსრულებელი გადაწყვეტილებით:

1. სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ იმირის საჯარ-

რო სკოლის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის გამო გამოტანილ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება;

2. გაუქმდა ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება;

3. შ. მ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა:

ა) ბათილად იქნა ცნობილი სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ იმირის საჯარო სკოლის დირექტორის 2012 წლის 24 იანვრის №18 ბრძანება და შ. მ-ა აღდგენილ იქნა სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ იმირის საჯარო სკოლის დანყებითი კლასების (1-5 კლასები) ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის თანამდებობაზე (15-საათიანი დატვირთვით);

ბ) სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ იმირის საჯარო სკოლას შ. მ-ას სასარგებლოდ დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 1728 ლარის ოდენობით.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების მოტივები მდგომარეობდა შემდეგში:

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე, 232¹ მუხლებზე და განმარტა, რომ მოპასუხის მიერ დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება შემდეგი პირობების არსებობისას: 1. მოპასუხე გაფრთხილებული უნდა იყოს პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობის შესაძლო შედეგების შესახებ; 2. პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობა გამონვეული უნდა იყოს არასაპატიო მიზეზით; 3. სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად უნდა ამართლებდეს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას.

განსახილველ შემთხვევაში საქმეში წარდგენილი შეტყობინების ბარათით დასტურდებოდა, რომ მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელს (დირექტორი) ი. მ-ს სასამართლო უწყებავაზინილი ჩაბარდა პირადად, 2012 წლის 16 ივლისს. აღნიშნული, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის მიხედვით ითვლებოდა ასევე გზავნილის მხარისათვის ჩაბარებად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შესაგებლის წარსადგენად სასამართლოს მიერ დანიშნული 7-დღიანი ვადის ათვლა უნდა დაწყებულიყო გზავნილის წარმომადგენლისათვის ჩაბარების მომდევნო დღიდან, ე.ი. 2012 წლის 17 ივლისიდან. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო 61-ე მუხლის საფუძველზე შესაგებლის წარდგენის ვადა ამოიწურა

2012 წლის 23 ივლისს, რომელიც მოცემულ შემთხვევაში არ იყო უქმე ან/და დასვენების დღე. უდავო იყო, რომ განსახილველ შემთხვევაში სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში მხარემ შესაგებელი არ წარადგინა, ამასთან მას სასამართლოსათვის არც განცხადებით მიუმართავს შესაგებლის წარმოუდგენლობის საპატიობასთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩელში ფაქტობრივ გარემოებად შ. მ-ამ მიუთითა შემდეგზე: 1. მოსარჩელე გათავისუფლებამდე, 2012 წლის 24 იანვრამდე მუშაობდა სსიპ „მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ იმირის საჯარო სკოლაში“ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად 1-5 კლასებში, მხარეებს შორის 2011 წლის 1 სექტემბერს გაფორმებული უვადო, უნომრო შრომის ხელშეკრულების საფუძველზე; 2. 2012 წლის 24 იანვარს, მოპასუხე სკოლის დირექტორმა №18 ბრძანებით მოსარჩელე გაათავისუფლა სამასახურიდან მიზეზების მიუთითებლად. სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ იმირის საჯარო სკოლის 2012 წლის 24 იანვრის №18 ბრძანების ბათილად ცნობისა და დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენის სამართლებრივ საფუძველად შ. მ-ამ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე და 42-ე მუხლებზე, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10, მე-12, და 21-ე მუხლებზე, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 35-ე მუხლზე.

სააპელაციო სასამართლომ შ. მ-ას სარჩელში მითითებული გარემოებებიდან დამტკიცებულად მიიჩნია, რომ შ. მ-ა 2012 წლის 24 იანვრამდე მუშაობდა სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ იმირის საჯარო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ამასთან, 2012 წლის 24 იანვარს მოპასუხე სკოლის დირექტორმა №18 ბრძანებით მოსარჩელე უსაფუძვლოდ გაათავისუფლა და ამ უკანასკნელის მხრიდან ადგილი არ ჰქონია შრომითი მოვალეობების შეუსრულებლობას, არაკვალიფიციურობას ან დისციპლინარულ გადაცდომას.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის დისპოზიციაზე, რომლითაც განსაზღვრულია დირექტორის ფუნქციების ჩამონათვალი. ამ მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, დირექტორი უფლებამოსილია ვადამდე შეუწყვიტოს მასწავლებელს შრომითი ხელშეკრულება ხელშეკრულების პირობების დარღვევის, სააღმზრდელო საქმიანობისათვის შეუფერებელი ქმედების ჩადენის ან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით არაკვალიფიციურობის დადასტურების შემთხვევაში. სა-

მოქალაქე კოდექსის 408-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდაგარიყო ანაზღაურების მავალდებულელებელი გარემოება.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ დაკავებული თანამდებობიდან შ. მ-ას გათავისუფლებისათვის უნდა არსებულიყო ზემოთმითითებული მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი. სარჩელში მითითებული და სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებდა სარჩელის მოთხოვნას სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ იმირის საჯარო სკოლის 2012 წლის 24 იანვრის №18 ბრძანების ბათილად ცნობის, განაცდურის ანაზღაურების და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად შ. მ-ას აღდგენის თაობაზე, რის გამოც არსებობდა მოწინააღმდეგე მხარის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საპროცესოსამართლებრივი საფუძველი.

ზემოაღნიშნული მსჯელობის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, სააპელაციო საჩივარი დააკმაყოფილა, გააუქმა მოცემულ საქმეზე ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით შ. მ-ას სარჩელი დააკმაყოფილა.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება საჩივრით გაასაჩივრა სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ იმირის საჯარო სკოლამ და მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 ნოემბრის განჩინებით გაუქმდა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განახლდა საქმის წარმოება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ იმირის საჯარო სკოლის დირექტორს ჰყავდა თარჯიმანი, 2012 წლის 12 ნოემბრის სხდომაზეც იგი უზრუნველყოფილი იყო თარჯიმნით. პალატის მოსაზრებით, მხარე არამართო პროცესზე უნდა იყოს თარჯიმნით უზრუნველყოფილი, არამედ მას დოკუმენტებიც ასევე უნდა ჩაბარდეს მისთვის გასაგებ ენაზე, თუკი სასამართლომ იცის, რომ ის ვერ ფლობს სამართალწარმოების ენას.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ იმირის საჯარო სკოლის დირექტორ-

რისათვის სამართალწარმოების ენა ცნობილი არ იყო. ასეთ ვითარებაში, მხარისათვის სასამართლო გზავნილის ქართულ ენაზე ჩაბარების გამო, სასამართლო ვერ მოსთხოვდა მას, შესაგებლის დროულად წარდგენას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით:

1. შ. მ-ას სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;

2. გაუქმდა ბოლნისის რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება სახელფასო დავალიანების ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება;

3. შ. მ-ას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ იმირის საჯარო სკოლას შ. მ-ას სასარგებლოდ დაეკისრა 2011 წლის 15 სექტემბრიდან 2012 წლის 24 იანვრამდე პერიოდისათვის წარმოშობილი სახელფასო დავალიანების ანაზღაურება, ყოველთვიურად ხელფასის 280 ლარის (ხელზე მისაღები თანხა) გათვალისწინებით;

4. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დაწარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად;

5. სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ იმირის საჯარო სკოლას შ. მ-ას სასარგებლოდ დაეკისრა 100 ლარის გადახდა შ. მ-ას მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანგარიშში.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

შ. მ-ა, გათავისუფლებამდე – 2012 წლის 24 იანვრამდე მუშაობდა სსიპ „მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ იმირის საჯარო სკოლაში“ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად;

მხარეებს შორის 2011 წლის 1 სექტემბერს დაიდო უვადო, უნომრო, შრომის ხელშეკრულება;

2011-2012 სასწავლო წლის პირველ სასწავლო დღეს, 2011 წლის 15 სექტემბერს, მოპასუხე სკოლის დირექტორმა მოითხოვა მოსარჩელისაგან ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილების ჩატარება 6-9 კლასებში, ნაცვლად 1-5 კლასებისა, რაზეც მოსარჩელე არ დათანხმდა და მოპასუხის წინააღმდეგობის მიუხედავად, კვლავ განაგრძო პედაგოგიური საქმიანობა 1-5 კლასებში გათავისუფლებამდე;

2012 წლის 24 იანვარს, მოპასუხე სკოლის დირექტორის №18 ბრძანებით შეწყდა მოსარჩელესთან შრომითი ურთიერთობა და

მოსარჩელე გათავისუფლდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის თანამდებობიდან;

მოსარჩელეს 2011 წლის 15 სექტემბრიდან გათავისუფლებამდე პერიოდში შრომის ანაზღაურება არ მიუღია;

2011 წლის 13 სექტემბერს, სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ იმირის საჯარო სკოლის პედაგოგიურ საბჭოში მოხდა მასწავლებელთა საათობრივი ბადის დამტკიცება და სკოლის პედაგოგებს შორის საათების განაწილება, რა დროსაც მოსარჩელეზე განაწილდა 15 კვირეული საათი 6-9 კლასებში. პედაგოგიური საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება საათების ბადის განაწილების შესახებ მოსარჩელეს არ გაუსაჩივრებია.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მხარეთა შორის სადავო არ ხდებოდა, რომ მათ შორის არსებობდა შრომითსამართლებრივი ურთიერთობა. ბოლოს, მხარეთა შორის ხელშეკრულება გაფორმდა 2011 წლის პირველ სექტემბერს, რომელიც დაიდო უვადოდ. ამ ხელშეკრულების 1-ლი პუნქტის თანახმად, შ. მ-ას ქართული ენის გაკვეთილები უნდა ჩატარებინა 18 კვირეული საათის დატვირთულობით I-IV დაწყებით კლასებში.

სადავო არ იყო, რომ 2011 წლის 15 სექტემბრიდან, მიუხედავად სკოლის დირექტორის მოთხოვნისა და მითითებისა, შ. მ-ა იმირის საჯარო სკოლაში ქართული ენის გაკვეთილებს, ნაცვლად VII, VIII, IX კლასებისა, ატარებდა I-IV კლასებში. ამის გამო, მოხდა არაერთი ინციდენტი და დაპირისპირება სხვა მასწავლებელთან, რომელსაც უნდა ჩატარებინა გაკვეთილები I-IV კლასებში. შ. მ-ა გათავისუფლებამდე – 2012 წლის 24 იანვრამდე, დირექტორის მოთხოვნის მიუხედავად აგრძელებდა გაკვეთილების ჩატარებას 18 კვირეული საათის დატვირთულობით I-IV კლასებში. უდავო იყო, რომ, გათავისუფლების შესახებ 2012 წლის 24 იანვრის ბრძანების გამოცემის საფუძველი გახდა შ. მ-ას მხრიდან დირექტორის მოთხოვნის გაუთვალისწინებლობა და ნაცვლად VII, VIII და IX კლასებისა, გაკვეთილების ჩატარება I-IV კლასებში.

მხარეთა შორის სადავო იყო საკითხი იმის შესახებ, გამოიწვია თუ არა შ. მ-ას მხრიდან 2011 წლის 15 სექტემბრიდან მოყოლებული 2012 წლის 24 იანვრამდე პერიოდის გათვალისწინებით, გაკვეთილების ჩატარებამ იმირის საჯარო სკოლის I-IV კლასებში, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების დარღვევა. აპელანტმა მიუთითა 2011 წლის 1 სექტემბრის შრომით ხელშეკრულებაზე, რომლის 1-ლი პუნქტის თანახმადაც, ქართულ ენაში გაკვეთილების ჩატარება მას ევალებოდა სწორედ I-IV კლასებში. აპელანტი პრეტენზიას გამოთქვამდა იმასთან და-

კავშირებით, რომ ის მოქმედებდა ხელშეკრულების თანახმად, შესაბამისად, მას ხელშეკრულება არ დაურღვევია.

სააპელაციო სასამართლომ აპელანტის ზემომითითებული პრეტენზია დაუსაბუთებლად მიიჩნია და ამ მხრივ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ 2011 წლის 1 სექტემბრის ხელშეკრულების პირველ პუნქტში გაკეთებული ჩანაწერი „18 კვირეული საათი I-IV კლასებში“, არ იყო იურიდიული ძალის მქონე, ვინაიდან ხელშეკრულებას ხელს აწერდა სკოლის დირექტორი, რომელიც არ იყო უფლებამოსილი საათების განაწილებაზე და რომ მასწავლებლებს შორის საათების განაწილებაზე უფლებამოსილ სუბიექტს წარმოადგენს სკოლის პედაგოგიური საბჭო. „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 46-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, პედაგოგიური საბჭო დირექტორის მონაწილეობით, სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით ანაწილებს პედაგოგებს შორის საათობრივ ბაღს. საქმეში წარდგენილი დოკუმენტით – იმირის საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2011 წლის 13 სექტემბრის №2 ოქმის მონაცემებით დადგინდა, რომ ასეთი სხდომა გაიმართა და პედაგოგიურმა საბჭომ საათობრივი ბაღე სკოლის მასწავლებლებს შორის გაანაწილა მხარეთა შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების გაფორმების (2011 წლის 1 სექტემბერი) შემდეგ – 2011 წლის 13 სექტემბერს. ამასთან, პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით შ. მ-ას გაუნაწილდა ქართული ენის 15 კვირეული საათი VII, VIII, IX კლასებში და არა I-IV კლასში.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია ხელშეკრულების მე-6 პუნქტზე, რომლის თანახმად, მასწავლებლის საათობრივი და სამუშაო დატვირთვა განისაზღვრება ეროვნული სასწავლო გეგმის, სკოლის საათობრივი ბაღის, სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. ამდენად ხელშეკრულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ჩანაწერი I-IV კლასებში ქართული ენის გაკვეთილების ჩატარების თაობაზე, რამდენადაც იგი არ იყო შესაბამისობაში პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის საათობრივ ბაღესთან და კონკრეტულად შ. მ-ის განაწილებულ საათებისა და კლასების შესახებ მონაცემებთან, არ შეიძლებოდა განხილულიყო იურიდიული ძალის მქონედ.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საკითხი იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რომელ პედაგოგს, სასწავლო წლის განმავლობაში რა ოდენობის საათობრივი დატვირთვა ექნებოდა და რომელ კლასებში, განისაზღვრებოდა ყოველწლიურად, სასწავლო წლის დასაწყისში, პედაგოგიური საბჭოს მიერ დად-

გენილი წესით. ამასთან, პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილება საათობრივი ბადის განაწილების შესახებ, ითვლებოდა მასწავლებელთან დადებული შრომითი ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად (განსახილველ შემთხვევაში, შ. მ-ან გაფორმებული 2011 წლის 1 სექტემბრის ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად). შესაბამისად, ამ ხელშეკრულების პირობად უნდა მიჩნეულიყო სწორედ პედაგოგიური საბჭოს 2011 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომლის შესაბამისადაც შ. მ-ას გაუნაწილდა ქართული ენის 15 კვირეული საათი VII, VIII, IX კლასებში და არა I-IV კლასში.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის პრეტენზიას იმის შესახებ, რომ 2011 წლის 13 სექტემბერს პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის საათობრივი ბაღე შეთანხმებული არ ყოფილა სამეურვეო საბჭოსთან და რომ სასამართლოს ის არ უნდა გაეთვალისწინებინა, მასთან მიმართებაში. აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლომ პირველ რიგში შენიშნა, რომ მოსარჩელეს არათუ მტკიცებულება, არამედ საკმარისად დასაბუთებული არგუმენტიც კი არ შეუთავაზებია სასამართლოსათვის იმის დასამტკიცებლად, რომ მასთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმებამდე ნამდვილად ჩატარდა სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომა და რომ ამ ხელშეკრულების პირველი პუნქტის ჩანაწერი ემყარებოდა პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ რაიმე სხვა საათობრივ განაწილებას. ამის საპირისპიროდ, საქმეში წარდგენილი 2011 წლის 13 სექტემბრის იმირის საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის №1 ოქმის მონაცემებით დგინდებოდა, რომ 2011 წლის 13 სექტემბერს სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ იმირის საჯარო სკოლის პედაგოგიურ საბჭოზე მოხდა მასწავლებელთა საათობრივი ბადის დამტკიცება და სკოლის პედაგოგებს შორის საათების განაწილება, რა დროსაც მოსარჩელეზე განაწილდა 15 კვირეული საათი VII-IX კლასებში. მითითებულ სხდომაზე პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საათობრივი ბადის მისაღებობა და მასზე თანხმობა, ამავე სკოლის სამეურვეო საბჭოს მხრიდან, დადასტურდა სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის ხელმოწერით.

სააპელაციო სასამართლომ არადაამაჯრებლად ჩათვალა აპელანტის პრეტენზია 2011 წლის 13 სექტემბრის პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის მასწავლებლების საათობრივი ბადის არაკანონიერების თაობაზე, რამდენადაც აპელანტს არ წარუდგენია რაიმე მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, რომ მიუხედავად სამეურვეო საბჭოს თავმჯდომ-

მარის ხელმოწერისა, სამეურვეო საბჭოს სხვა წევრები (უმრავლესობა) ზემომითითებული სახით საათობრივი ბადის დამტკიცების წინააღმდეგნი იყვნენ, მას ასევე არ წარუდგენია სხვა რაიმე უფრო ადრინდელი თარიღით დამტკიცებული საათობრივი ბადის არსებობის შესახებ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, იმით, რომ 2011 წლის 15 სექტემბრიდან 2012 წლის 24 იანვრამდე დროის მონაკვეთში შ. მ-ი გაკვეთილებს ქართულ ენაში 18 კვირეული საათის დატვირთვით ატარებდა I-IV კლასებში, იგი არღვევდა პედაგოგიური საბჭოს მიერ მისთვის განაწილებულ და მისთვის დაკისრებულ მოვალეობას. ეს მოვალეობა გამოიხატებოდა იმაში, რომ მას გაკვეთილები ქართულ ენაში უნდა ჩატარებინა VII, VIII და IX კლასებში. აღნიშნულით, შ. მ-ამ დაარღვია მისი შრომითი მოვალეობა და ასეთ ვითარებაში სკოლის დირექტორი, „ზოგადი განათლების შესახებ კანონის“ 43-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის დანაწესიდან გამომდინარე, უფლებამოსილი იყო შ. მ-სთან შეენწყვიტა შრომითი ურთიერთობა.

ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ გასაჩივრებული ბრძანების ბათილობის, სამუშაოზე აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების შესახებ უსაფუძვლობის გამო არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას, რაც პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად გადაწყვიტა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მსჯელობა 2011 წლის 15 სექტემბრიდან გათავისუფლებაზე პერიოდში წარმოშობილი სახელფასო დავალიანების (გაუცემელი ხელფასის) ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის უსაფუძვლობასთან დაკავშირებით. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ მოსარჩელემ დავალების გარეშე შეასრულა სხვისი საქმეები, რაზეც წინააღმდეგი იყო სკოლის დირექტორი, მან აღნიშნული არ მოინონა და ამის გამო მოთხოვნა არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

სააპელაციო სასამართლომ შენიშნა, რომ შ. მ-ა, მართალია მასზე განაწილებული საათების და მასზე დაკისრებული მოვალეობის საწინააღმდეგოდ ახდენდა გაკვეთილების ჩატარებას 1-4 კლასებში, თუმცა იმ ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, რომ თითქმის ხუთი თვის განმავლობაში გრძელდებოდა ამგვარი მდგომარეობა, 1-4 დანეებით კლასებში შ. მ-ა ატა-

რებდა ქართული ენის გაკვეთილებს და ამასთან ერთად იგი აწარმოებდა შესაბამის საკლასო ჟურნალებს, რაც ფაქტობრივად წარმოადგენდა მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევას (რაზეც, თავის მხრივ, სკოლის დირექციის მხრიდან გონივრულ ვადაში არ მოხდა შესაბამისი რეაგირება და შ. მ-ას მაინც ეძლეოდა შესაძლებლობა, რომ გაეგრძელებინა გაკვეთილების ჩატარება 1-4 კლასებში), სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ფაქტობრივად სკოლის დირექციამ მოიწონა შ. მ-ას მიერ შესრულებული სამუშაო (მიუხედავად იმისა რომ შ. მ-ამ დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება). შესაბამისად, შ. მ-ას მიერ ფაქტობრივად ჩატარებული გაკვეთილებისათვის მთელი სადავო პერიოდის – 2011 წლის 15 სექტემბრიდან 2012 წლის 24 იანვრამდე პერიოდის გათვალისწინებით, დამსაქმებელი სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლიდან გამომდინარე ვალდებული იყო გადაეხადა 18 კვირეული საათის დატვირთულობის გათვალისწინებით სახელფასო დავალიანება შ. მ-ის. მხარეთა ახსნა-განმარტებებით დადგინდა, რომ 18 კვირეული საათის დატვირთულობის გათვალისწინებით პედაგოგის ხელფასი შეადგენდა 280 (ხელზე მისაღები თანხა) ლარს. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ იმირის საჯარო სკოლას შ. მ-ას სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა 2011 წლის 15 სექტემბრიდან 2012 წლის 24 იანვრამდე პერიოდისათვის წარმოშობილი სახელფასო დავალიანების ანაზღაურება ყოველთვიური ხელფასის – 280 (ხელზე მისაღები თანხა) ლარის გათვალისწინებით.

საბოლოოდ, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ შ. მ-ას სარჩელი 2011 წლის 15 სექტემბრიდან გათავისუფლებამდე პერიოდისათვის წარმოშობილი სახელფასო დავალიანების ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის ნაწილში ექვემდებარება დაკმაყოფილებას, რისი გათვალისწინებითაც უნდა შეცვლილიყო გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

შ. მ-ამ საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 12 ნოემბრის განჩინება დაუსწრებელი გადანწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების შესახებ, ასევე, ამავე სასამართლოს 2012 წლის 28 დეკემბრის გადანწყვეტილება. კასატორმა მოითხოვა მითითებული განჩინებისა და გადანწყვეტილების გაუქმება და ახალი გადანწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

დაუსწრებელი გადანწყვეტილების გაუქმებისა და საქმის

წარმოების განახლების შესახებ განჩინების უსწორობაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა საქართველოში მდებარე საჯარო სკოლის დირექტორის წინააღმდეგ, რომელმაც სათანადოდ იცის ქართული ენა და ენის არცოდნის საბაზი არ არსებობს. ამდენად, საჩივრის ავტორის მიერ მითითებული მოტივი სასამართლოს არ შეეძლო განეხილა მხარისათვის ფაქტობრივი გარემოების დროულად არცოდნის ფაქტად, რამდენადაც იგი ოცდაათი წელია მუშაობს სკოლის დირექტორად და ქართულ ენაზე ადგენს შესაბამის დოკუმენტებს. სასამართლო გზავნილით მობასუხეს ნათლად განემარტა ის უფლება და ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობის პირობებშიც შესაძლებელი იყო საქმეზე გამოტანილიყო დაუსწრებელი გადაწყვეტილება. შესაბამისად, საჯარო სკოლის დირექტორისათვის დადგენილ დროში და დადგენილი წესით ცნობილი იყო ყველა ფაქტობრივი გარემოება და არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების წინაპირობა;

შ. მ-ა, დაახლოებით თოთხმეტი წლის განმავლობაში მუშაობს სოფელ იმირის საჯარო სკოლაში ქართული ენის მასწავლებლად. იგი 1-5 კლასებში ასწავლის ქართულ ენას. 2011 წლის 13 სექტემბერს, სკოლის დირექტორმა კასატორს განუცხადა, რომ მას ქართული ენის გაკვეთილები უნდა ჩაეტარებინა 7-9 კლასებში, ხოლო დაბალი კლასები უნდა გადაეცა სხვა მასწავლებლისათვის. შ. მ-ა დირექტორის ამ მოთხოვნას არ დაეთანხმა, რადგან არ აქვს შესაბამისი განათლება და კვალიფიკაცია. ამავდროულად, კასატორმა მოპასუხეს მოსთხოვა მისი პროფესიული მოვალეობის შესრულების აკრძალვასთან დაკავშირებით დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების გადაცემა. მიუხედავად სკოლის დირექტორის მხრიდან ხელშეშლისა, 2011 წლის სექტემბრის თვიდან 2012 წლის 24 იანვრამდე შ. მ-ა ასრულებდა თავის პროფესიულ მოვალეობას, იგი იმირის საჯარო სკოლის 1-4 კლასებში ასწავლის ქართულ ენას, თუმცა შესაბამისი გასამრჯელო (ხელფასი) დღემდე არ მიუღია;

2012 წლის 24 იანვრის სადავო ბრძანების საფუძველად მითითებულია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლსა და საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლზე. ეს ნორმები არეგულირებს საქართველოში განათლების მიღების ზოგად პრინციპებსა და პირობებს. კონკრეტულად რა გადაცდომის გამო მოხდა მოსარჩელის სამუშაოდან გათავისუფლება, ბრძანებაში მითითებული არ არის;

„ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 43-ე მუხლის 1-ლი

ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, მასწავლებელი შეიძლება სამსახურიდან გათავისუფლდეს, თუ მან დაარღვია ხელშეკრულების პირობები, ჩაიდინა საალმზრდელი საქმიანობისათვის შეუფერებელი ქმედება და დაარღვია კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა პირობები. არასწორია სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ თითქოს შ. მ-ას 2011 წლის 15 სექტემბერს პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით საათები გაუნაწილდა 7-8-9 კლასებში და გაკვეთილები აუცილებლად უნდა ჩატარებინა აღნიშნულ კლასებში. ჯერ ერთი, კასატორი არ ესწრებოდა პედაგოგიურ საბჭოს და სკოლის დირექტორის მხრიდან მივლინებული იყო ქართული ენისა და ლიტერატურის დანყებითი კლასების საკვალიფიკაციო კურსებზე, მეორეც, საბჭოზე მიღებული გადაწყვეტილება სკოლის დირექტორს კასატორისათვის სათანადო წესით არ გაუცვნია. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ შ. მ-ა შესაბამისი კვალიფიკაციისა და გადამზადების კურსების გავლის გარეშე ვერ ჩაატარებდა მაღალ კლასებში ქართული ენის და ლიტერატურის გაკვეთილებს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ შ. მ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა.

საერთო წესის მიხედვით, სასამართლოს ნებისმიერი განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს. თავისებურება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთი განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებასაგან დამოუკიდებლად (ცალკე) – კერძო საჩივრით, ხოლო ზოგიერთი – მხოლოდ გადაწყვეტილებასთან ერთად. სასამართლოს იმ განჩინებების უსწორობაზე და დაუსაბუთებლობაზე, რომლებიც შეიძლებოდა გასაჩივრებულიყო კერძო საჩივრით, მაგრამ ამა თუ იმ მიზეზით არ გასაჩივრებულა, აგრეთვე იმ განჩინებებზე, რომლებზეც კერძო საჩივრის შეტანა დაუშვებელია, შეიძლება მიე-

თითოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ შეტანილ საკასაციო საჩივარში. უნდა აღინიშნოს, რომ საბოლოო გადაწყვეტილების წინმსწრები განჩინებების ამ გადაწყვეტილებასთან ერთად გასაჩივრების მიზანი შეიძლება იყოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დაუსაბუთებლობის, მისი კანონის დარღვევით მიღების დადასტურება. შესაბამისად, თუ შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად გასაჩივრებული წინმსწრები განჩინებები კანონის დარღვევითაა მიღებული, რამაც შემაჯამებელი გადაწყვეტილების იურიდიული დაუსაბუთებლობა განაპირობა, საკასაციო სასამართლო გააუქმებს როგორც შემაჯამებელ გადაწყვეტილებას, ისე კანონის დარღვევით მიღებულ განჩინებებსაც. საკასაციო სასამართლოს ზემოხსენებული განმარტება შეესაბამება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 19 ოქტომბრის განჩინება №3კ/393-01; ამავე სასამართლოს 2004 წლის 4 მარტის განჩინება №ას-112-415-04). მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად კასატორი ასაჩივრებს იმ განჩინებებს, რომელიც წინ უსწრებდა ამ გადაწყვეტილების მიღებას, კერძოდ, საკასაციო საჩივრით გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს განჩინება ამავე სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების თაობაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 240-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, კერძო საჩივრით გასაჩივრებას არ ექვემდებარება განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების თაობაზე. აქედან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოს განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების თაობაზე. ამასთან, საკასაციო სასამართლომ, უპირველესად, სწორედ ამ განჩინების კანონიერების საკითხი უნდა შეამოწმოს, ვინაიდან მისი დაუსაბუთებლად მიჩნევისა და გაუქმების შემთხვევაში, გაუქმებას დაექვემდებარება ასევე სააპელაციო სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება, რადგან ამ გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელი იქნებოდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების გარეშე.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ სააპელაციო სასამარ-

თლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანა აპელანტის მონინაალმდეგე მხარის მიერ სააპელაციო პასუხის (შესაგებლის) სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის გამო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 240-ე მუხლის 11 ნაწილის მიხედვით, თუ საჩივრის განხილვის შედეგად აღმოჩნდება, რომ ამ კოდექსის 232¹ მუხლის შესაბამისად გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს იმ საფუძვლით, რომ პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობა გამონვეული იყო საპატიო მიზეზით, სასამართლო განჩინებით აუქმებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას და მოპასუხეს ალუდგენს პასუხის (შესაგებლის) წარდგენისათვის ამ კოდექსის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ ვადას.

მოცემულ შემთხვევაში, აპელანტის მონინაალმდეგე მხარე (სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ იმირის საჯარო სკოლის დირექტორი) დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ იგი არ ფლობდა ქართულ ენას და, შესაბამისად, ვერ გაარკვია, თუ რას მოითხოვდა მისგან სასამართლო. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სააპელაციო საჩივარი და მასზე დართული დოკუმენტები სასამართლოს უნდა გაეგზავნა მისთვის გასაგებ (აზერბაიჯანულ) ენაზე. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საჩივრის პრეტენზია და მიიჩნია, რომ, ვინაიდან სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ იმირის საჯარო სკოლის დირექტორი არ ფლობდა სახელმწიფო ენას (ქართულს) და, ამასთან, პირველი ინსტანციის სასამართლოში იგი სარგებლობდა აზერბაიჯანული ენის თარჯიმნის მომსახურებით, საპროცესო დოკუმენტები სასამართლოს მისთვის ამ ენაზე უნდა გაეგზავნა.

კასატორის მოსაზრებით, გასაჩივრებული განჩინების უსწორობა მდგომარეობს იმაში, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სსიპ საჯარო სკოლის მიმართ, რომლის დირექტორმაც სათანადოდ იცის ქართული ენა და ენის არცოდნის მოტივით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი არ არსებობდა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილზე, რომლის თანახმად, სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. მითითებული ნორმის მიხედვით, სახელმწიფო ენის არმცოდნე პირს მიეჩინება თარჯიმანი, რომლის მეშვეობით მას შეუძლია სრულად განახორციელოს ყველა ის უფლება, რაც მას აქვს მინიჭებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. აღნიშნული უფლე-

ბის რეალიზაციას ემსახურება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 213-ე მუხლის დანაწესი, რომლის თანახმად, სასამართლო განუმარტავს თარჯიმანს მის მოვალეობას, თარგმნოს იმ პირთა განმარტებები, ჩვენებები, განცხადებები, რომლებიც არ ფლობენ სამართალწარმოების ენას, ხოლო ამ პირებს უთარგმნოს განმარტებათა, ჩვენებათა, განცხადებათა, სასამართლოში გამოქვეყნებულ დოკუმენტთა შინაარსი, აგრეთვე სასამართლოს განკარგულებები, განჩინებები და გადაწყვეტილებები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხის (აპელანტის მონინაალმდეგე მხარის) მიმართ ზემოხსენებული ნორმები დარღვეული არ არის. საკასაციო პალატა, უპირველესად, ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მოპასუხე საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელსაც სააპელაციო საჩივრისა და თანდართული დოკუმენტების ასლები, ასევე სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების განჩინება, გაეგზავნა სახელმწიფო ენაზე საქმეში მითითებულ მისამართზე და ჩაბარდა ამ იურიდიული პირის ხელმძღვანელს (საჯარო სკოლის დირექტორს) ისმიხან მ-ს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის მიხედვით, ფოსტის ან კურიერის მეშვეობით ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაჰბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში უწყების ჩაბარება დასტურდება მის მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით. მოცემულ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, სასამართლო გზავნილი ჩაბარდა საჯარო სკოლის დირექტორს, რაც ნიშნავს გზავნილის მოპასუხე იურიდიული პირისათვის ჩაბარებას, შესაბამისად, მოპასუხეს (აპელანტის მონინაალმდეგე მხარეს) წარმოემვა სააპელაციო შესაგებლის წარდგენის ვალდებულება სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში. ის გარემოება, რომ საჯარო სკოლის დირექტორი არ ფლობს სამართალწარმოების ენას, არ ათავისუფლებს ამ იურიდიულ პირს კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული საპროცესო მოქმედების შესრულების ვალდებულებისგან, ვინაიდან, მოცემულ საქმეში მხარეს (მოპასუხეს) წარმოადგენს საჯარო სკოლა და არა მისი დირექტორი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების შე-

სახებ იურიდიულად დაუსაბუთებელია, რაც მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძველია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად. ამასთან, გაუქმებას ექვემდებარება ასევე სააპელაციო სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება, ვინაიდან ამ გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელი გახდა წინმსწრები უკანონო განჩინების საფუძველზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 240-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, სასამართლოს გამოაქვს განჩინება საჩივრის დაუკმაყოფილებლობისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების კანონით გათვალისწინებული საფუძველი, ამიტომ სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ იმირის საჯარო სკოლის დირექტორის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, ძალაში უნდა დარჩეს გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ შ. მ-ას სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე სულ გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი 450 ლარი. აქედან გამომდინარე, ვინაიდან საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, მონინალმდევე მხარეს – სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ იმირის საჯარო სკოლას მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს აღნიშნული თანხის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შ. მ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 ნოემბრის განჩინება ამავე სასამართლოს 2012 წლის 24 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების თაობაზე;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება;
4. სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ იმირის საჯარო სკოლის დირექტორის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;
5. ძალაში დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება;
6. სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ იმირის საჯარო სკოლას დაეკისროს 450 ლარის გადახდა შ. მ-ას სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გაღებული სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;
7. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დამატებითი გადაწყვეტილება

ბანჩინება

№ას-985-925-2012

27 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ საც-
ხოვრებელი სადგომის მესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ე. პ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. თ-ის, ნ. უ-ის, დ. ბ-
ისა და ხ. ი-ის მიმართ კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ საც-
ხოვრებელი სადგომის მესაკუთრედ ცნობის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
კოლეგიის 2012 წლის 17 მაისის გადაწყვეტილებით მოსარჩელე
ე. პ-ის წარმომადგენლების – ი. და ლ. პ-ების შუამდგომლობა
დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე არ დაკ-
მაყოფილდა, არსებითი გადაწყვეტილების გამოტანის გზით ე.
პ-ს სარჩელის დაკმაყოფილებაზე ეთქვა უარი. სასამართლომ
დაადგინა, რომ მოპასუხეები – ნ. თ-ე, ნ. უ-ე, ხ. ი-ი და დ. ბ-ი არ
არიან ქ. თბილისში, ლ-ის ქუჩა №4/2-ში მდებარე სახლის მე-2
სართულზე განთავსებული სადავო 18,07 კვ.მ ფართის საცხოვ-
რებელი სადგომის მესაკუთრეები.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ე. პ-მა გაასაჩივ-
რა სააპელაციო წესით.

სააპელაციო საჩივარში ე. პ-მა მოითხოვა სარჩელის უზრუნ-
ველყოფის ღონისძიების გამოყენება, კერძოდ, სარჩელის უზ-
რუნველყოფის მიზნით მოპასუხეთა საკუთრებაში არსებულ
ქ. თბილისში, ლ-ის ქ. №4/2-ში მდებარე უძრავ ქონებაზე ყადა-
ღის დადება ნ. თ-ის საკუთრებაში არსებულ 9/20 ნაწილზე, ხ. ი-
ის საკუთრებაში არსებულ 5/20 ნაწილზე და დ. ბ-ის საკუთრე-
ბაში არსებულ 3/20 ნაწილზე. განმცხადებელმა მიუთითა, რომ
მოცემულ შემთხვევაში სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძი-
ების სახით მოპასუხეთა საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონე-
ბაზე ყადაღის დადების გამოყენების აუცილებლობა გამოწვე-
ულია მოპასუხეთა მხრიდან მათ საკუთრებაში არსებული ქო-

ნების გასხვისების რეალური საშიშროებით, რის შემდეგაც შეუძლებელი გახდება გადანყვეტილების აღსრულება, ხოლო უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება უზრუნველყოფს გადანყვეტილების შესრულებისაგან თავის ასარიდებლად მიმართული მოპასუხის მოქმედებების მყისიერ და ეფექტურ შეკავებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 11 ივნისის განჩინებით ე. პ-ის განცხადება არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ე. პ-მა შეიტანა საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 ივლისის განჩინებით ე. პ-ის საჩივარი დაუსაბუთებლობის გამო განსახილველად გაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 ივლისის განჩინებით ე. პ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 11 ივნისისა და 3 ივლისის განჩინებები დარჩა უცვლელად.

2012 წლის 25 ივლისს ე. პ-მა შუამდგომლობით მიმართა სააკასაციო სასამართლოს 2012 წლის 19 ივლისის განჩინებაზე დამატებითი გადანყვეტილების მიღების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით:

შუამდგომლობის ავტორის მითითებით, ე. პ-ის საჩივრის მოთხოვნას წარმოადგენდა შემდეგი:

„1. უკანონოდ იქნეს მიჩნეული (აღიარებული) თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ წინამდებარე საქმეზე სარჩელის უზრუნველსაყოფად ორჯერ წარდგენილი შუამდგომლობის ორჯერვე განუხილველობა, მოცემული შუამდგომლობისათვის საპროცესო კანონმდებლობით მისი განხილვისათვის დადგენილ ერთდღიან ვადაში განუხილველად დატოვების გამო;

2. უკანონოდ იქნეს მიჩნეული (აღიარებული) თბილისის სააპელაციო სასამართლოს დამხმარე მოსამსახურის – სასამართლოს კანცელარიის სპეციალისტის მიერ განხორციელებული მართლმსაჯულების მოქმედებები, მის მიერ წინამდებარე საქმეზე სარჩელის უზრუნველსაყოფად ორჯერ წარდგენილი შუამდგომლობის ორჯერ უკანონოდ თბილისის საქალაქო სასამართლოში გადაგზავნის გამო;

3. უკანონოდ იქნეს მიჩნეული (აღიარებული) თბილისის სააპელაციო სასამართლოს დამხმარე მოსამსახურის – სასამარ-

თლოს კანცელარიის სპეციალისტის მიერ მართლმსაჯულების განხორციელების სახით საქმეში არსებული ის წერილები, რომლითაც სააპელაციო სასამართლოსათვის საქმეზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მოთხოვნით წარდგენილი შუამდგომლობები „როგორც შეცდომით შემოსულის“ საფუძველზე განუხილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;

4. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის სამართალწარმოებაში არსებული №2ბ/2253-12 საქმეზე „სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ“ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 11 ივნისის განჩინება და შუამდგომლობა ხელახალი განხილვის მიზნით უკან დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;

5. ყადაღა დაედოს სარჩელში მითითებულ მოპასუხეთა საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას – თბილისში, ლ-ის ქ. №4/2 (საკადასტრო კოდი: ...) მდებარე საცხოვრებელ სახლში ნ. თ-ის (პირადი №...; 28.07.....წ.) საკუთრებაში არსებულ 9/20 ნაწილს, დ. ბ-ის (პირადი №...) საკუთრებაში არსებულ 5/20 ნაწილს, დ. ბ-ის საკუთრებაში არსებულ 3/20 ნაწილს შუამდგომლობაში მითითებული საფუძვლებით და საამისოდ დაუყოვნებლივ გაცემულ იქნას სააღსრულებო ფურცელი“.

დ. პ-ის განმარტებით, საკასაციო სასამართლომ განჩინებით იმსჯელა მხოლოდ საჩივრის მე-4 და მე-5 პუნქტებზე და საერთოდ არ განუხილავს დანარჩენი პუნქტებით წარდგენილი მოთხოვნები, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დამატებითი გადაწყვეტილების მიღების საფუძველია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი შუამდგომლობის საფუძვლებისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ე. პ-ის შუამდგომლობა დამატებითი გადაწყვეტილების მიღების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ იმ მოთხოვნის გამო, რომლის შესახებაც მხარეებმა წარადგინეს მტკი-

ცებულებანი და მისცეს ახსნა-განმარტებანი, გადაწყვეტილება არ გამოტანილა.

ხსენებული ნორმის შესაბამისად, სასამართლო დამატებით გადაწყვეტილებას მიიღებს, თუ ძირითადი გადაწყვეტილების გამოტანისას შეუფასებელი დარჩება მხარეთა მოთხოვნა მათ მიერ წარდგენილ მტკიცებულებებთან და ახსნა-განმარტებებთან დაკავშირებით.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ე. პ-ის მოსაზრებას, რომ 2012 წლის 19 ივლისის განჩინებით პალატამ არ იმსჯელა ე. პ-ის საჩივრის 1-3 პუნქტებში ჩამოყალიბებულ მოთხოვნებზე.

ხსენებულ პუნქტებთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მათში მითითებული გარემოებანი გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება.

საკასაციო პალატამ იმსჯელა ე. პ-ის საჩივრის უმთავრეს სამართლებრივ მიზანზე – სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილებაზე. აღნიშნული საკითხის გარკვევაზე კი ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენდა სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემული საჩივრის განხილვამდე მომხდარი მოვლენები (საჩივრის განუხილველად პირველი ინსტანციაში გადაგზავნა, კანცელარიის მოხელის მიერ შესრულებული მოქმედებანი და ა.შ), რაზეც მიეთითა კიდევ საკასაციო პალატის 2012 წლის 19 ივლისის განჩინებაში.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობის დაკმაყოფილების სამართლებრივი წინაპირობა არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 285-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

ე. პ-ის შუამდგომლობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 ივლისის განჩინებაზე დამატებითი გადაწყვეტილების მიღების შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დაგატაზიტი გადაწყვეტილების გამოტანის ვადა

ბანჩინება

№ას-795-754-2013

29 ნოემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2012 წლის 23 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სა-
მოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ხ. ც-ემ მო-
პასუხე ვ. ქ-ის მიმართ. საბოლოოდ, მოსარჩელემ მოითხოვა მო-
პასუხისათვის მის სასარგებლოდ სესხის ხელშეკრულებიდან
გამომდინარე თანხის, 11340 აშშ დოლარის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
კოლეგიის 2012 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებით ხ. ც-
ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საა-
პელაციო წესით გაასაჩივრა ხ. ც-ემ, რომელმაც მოითხოვა გა-
საჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვე-
ტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, აპელან-
ტმა ხ. ც-ემ შეამცირა სარჩელის მოთხოვნა. მან მოითხოვა, რომ
მოპასუხე ვ. ქ-ს მის სასარგებლოდ დაკისრებოდა 6680 აშშ დო-
ლარის გადახდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-
თა პალატის 2013 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით:

1. ხ. ც-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა;
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გა-
დაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტი-
ლება;
3. ხ. ც-ის სარჩელი დაკმაყოფილდა;
4. მოპასუხე ვ. ქ-ს მოსარჩელე ხ. ც-ის სასარგებლოდ დაე-
კისრა 6680 აშშ დოლარის გადახდა;
5. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სახელ-
მწიფო ბაჟის სახით გადახდილი 150 ლარის ანაზღაურება.

2013 წლის 4 აპრილს სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა აპელანტის წარმომადგენლმა და მოითხოვა დამატებითი გადანყვეტილების გამოტანა. განმცხადებლის განმარტებით, გასაჩივრებული გადანყვეტილებით მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 150 ლარის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად, მაგრამ სასამართლოს არ უმსჯელია მოსარჩელის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში გადახდილ ბაჟზე, რომელიც ასევე უნდა დაკისრებოდა წაგებულ მხარეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 31 მაისის დამატებითი გადანყვეტილებით:

1. მოპასუხე ვ. ქ-ს მოსარჩელე ხ. ც-ის სასარგებლოდ დაეკისრა 564.50 ლარის გადახდა, მოსარჩელის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;

2. მოპასუხე ვ. ქ-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა 601.39 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ, დამატებითი გადანყვეტილების გამოტანისას იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით და აღნიშნა, რომ რამდენადაც სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადანყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადანყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე, შესაბამისად, მონინალმდეგე მხარეს (მოპასუხეს) მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა ამ უკანასკნელის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 564.50 ლარის ოდენობით, ხოლო, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 30 ნოემბრის განჩინებით აპელანტისათვის გადავადებული სახელმწიფო ბაჟის გადახდა 601.39 ლარის ოდენობით.

დამატებით გადანყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ვ. ქ-მა, რომელმაც მოითხოვა აღნიშნული გადანყვეტილების გაუქმება.

კასატორი არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც შეეხება დამატებითი გადანყვეტილების საკითხის დასმის ვადას, ვრცელდება მხოლოდ მხარეების და არა – სასამართლოს მიმართ. ამ მუხლით პირდაპირ არის გათვალისწინებული, რომ დამატებითი გა-

დანყვეტილების გამოტანა შესაძლებელია სასამართლოს ინიციატივით ან მხარეთა თხოვნის საფუძველზე, ხოლო დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის ვადად განსაზღვრულია 7 დღე. ამასთან, კანონმდებელი ცალკე არსად არ ადგენს, რომ 7-დღიანი ვადა გამოიყენება მხოლოდ მხარეების მიმართ და რომ მითითებული ვადით სასამართლო შეზღუდული არ არის.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. ქ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 31 მაისის დამატებითი გადაწყვეტილებით:

1. მოპასუხე ვ. ქ-ს მოსარჩელე ხ. ც-ის სასარგებლოდ დაეკისრა 564.50 ლარის გადახდა, მოსარჩელის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;

2. მოპასუხე ვ. ქ-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა 601.39 ლარის ოდენობით.

კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის 7-დღიანი ვადა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ზემოხსენებული ნორმით დადგენილი 7 დღიანი ვადა ვრცელდება მხოლოდ მხარეებზე, სასამართლო კი ამ ვადით შეზღუდული არ არის, მას შეუძლია თავისი ინიციატივით ნებისმიერ დროს გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუკი ამის სამართლებრივი საფუძველი არსებობს.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის ზემოაღნიშნულ დასკვნას და მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე, რომლის მიხედვით, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კი, დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება დაისვას გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება არ და-

იშვება.

ზემოსხენებული მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა, სასამართლოს მიერ ხარვეზით გამოტანილი გადაწყვეტილების გამოსწორების საშუალებაა, კერძოდ, თუ სასამართლომ ძირითადი გადაწყვეტილებით არ გადაწყვიტა სასამართლო ხარჯების საკითხი, მას შეუძლია ეს ხარვეზი გამოასწოროს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანით. დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის ინიციატივა შეიძლება მომდინარეობდეს როგორც სასამართლოს, ასევე მხარისაგან. ამასთან, კანონი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება დაისვას გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის განმავლობაში. ამდენად, კანონი განსაზღვრავს მხოლოდ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხის დასმის ვადას, მაგრამ არაფერს ამბობს თავად დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის ვადაზე. საკასაციო პალატის მოსაზრებით, საკითხის დასმის შემდეგ, დამატებითი გადაწყვეტილება გონივრულ ვადაში უნდა იქნეს გამოტანილი.

დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხის დასმის ვადასთან დაკავშირებით, უპირველესად, მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ საიდან უნდა ავითვალთ 7-დღიანი ვადა. მითითებული ვადის დენის დაწყებას კანონი უკავშირებს გადაწყვეტილების გამოცხადებას და არა მხარისათვის მის ჩაბარებას (იხ. სუსგ, 2012 წლის 25 ივნისი, საქმე №ას-225-217-2012-ბეჟანიშვილი). ამასთან, გადაწყვეტილების გამოცხადებაში იგულისხმება როგორც დასაბუთებული გადაწყვეტილების, ასევე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება, ვინაიდან სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების შემდეგ მხარეებისათვის (სასამართლოსათვის) ცხადი ხდება, რომ გადაწყვეტილება გამოტანილია ერთ-ერთი იმ ხარვეზით, რასაც ითვალისწინებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის 1-ელი ნაწილი. შესაბამისად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების შემდეგ სასამართლოს ეძლევა შესაძლებლობა გამოასწოროს მის მიერ დაშვებული ხარვეზი, როგორც თავისი ინიციატივით, ასევე მხარეთა თხოვნით.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანას უკავშირდება, არის ის, თუ რა იგულისხმება დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხის დასმაში. ამის გარკვევა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც, კანონი დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის აუცილებელ პირობად მიიჩნევს, აღნიშნულის თაობაზე საკითხის

დასმას გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, დაუშვებელია საკითხის დასმა და, შესაბამისად, დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა, როგორც მხარის, ასევე სასამართლოს ინიციატივით.

ზემოთ აღინიშნა, რომ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის ინიციატორი შეიძლება იყოს დაინტერესებული მხარე. მან დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება დასვას გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის ვადაში განცხადების (შუამდგომლობის) სასამართლოში წარდგენის გზით.

დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე ინიციატივის გამოჩენის შესაძლებლობას კანონი ანიჭებს ასევე სასამართლოს. ამასთან, ზემოხსენებული საკითხის დასმა სასამართლომაც, დაინტერესებული მხარის მსგავსად, 7 დღის ვადაში უნდა განახორციელოს. კანონი აქ რაიმე გამონაკლისს არ უშვებს. რაც შეეხება საკითხის დასმის ფორმას, თუ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის ინიციატორი სასამართლოა, მან ეს საკითხი შეიძლება დასვას მხოლოდ მის მიერ მიღებული განჩინებით, ვინაიდან სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით (სსკ-ის 284.1 მუხლი). მაგალითად, თუ საკითხი ეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებს, სასამართლომ თავისი განჩინებით უნდა დაადგინოს, რომ ზემოხსენებული საფუძვლებით დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი განიხილება ზეპირი მოსმენით (სასამართლო სხდომაზე), რომლის თაობაზეც უნდა ეცნობოთ მხარეებს კანონით დადგენილი წესით (სსკ-ის 261.3 მუხლი), ხოლო, თუ საკითხი ეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას, სასამართლომ თავისი განჩინებით უნდა დაადგინოს, რომ სასამართლო ხარჯების თაობაზე დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე ან ზეპირი მოსმენით (სასამართლო სხდომაზე), რის თაობაზეც ასევე უნდა ეცნობოთ მხარეებს (სსკ-ის 261.3¹ მუხლი). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ, თუ სასამართლომ ძირითადი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 7 დღის ვადაში არ გამოიტანა ერთ-ერთი ზემოხსენებული განჩინება, იგი არაა უფლებამოსილი ამ ვადის გასვლის შემდეგ გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, კანონის იმპერატიული დათქმა, რომ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება დაისვას გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის ვადაში, ემსახურება იმ მიზანს, რომ სასამართლომ დროულად გამოასწოროს მის მიერ დაშვებული ხარვეზი. საკასაციო პალატის მოსაზრებით, დაუშვებელია ზემოხსენებული ნორმის იმგვარად განმარტება, რომ გადაწყვეტილების გამომტანმა სასამართლომ თავისი ინიციატივით, ნებისმიერ დროს, თუნდაც გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი, ორი ან რამდენიმე წლის შემდეგ გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება. ასეთი განმარტება უშვებს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მუდმივად ეჭვქვეშ დაყენების შესაძლებლობას, რაც საფუძველს აცლის სასამართლოსადმი სანდოობის ვარაუდს.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ სააპელაციო სასამართლომ ძირითადი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი გამოაცხადა 2013 წლის 21 თებერვალს. აპელანტმა დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე სასამართლოს მიმართა 2013 წლის 4 აპრილს, ანუ კანონით დადგენილი ვადის დარღვევით. ირკვევა ისიც, რომ სააპელაციო სასამართლოს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი არ დაუსვამს გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის ვადაში, ხოლო, დამატებითი გადაწყვეტილება გამოიტანა 2013 წლის 31 მაისს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, განუხილველად უნდა დაეტოვებინა აპელანტის განცხადება დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე, ასევე იგი არ იყო უფლებამოსილი თავისი ინიციატივით გამოეტანა დამატებითი გადაწყვეტილება, ვინაიდან ეს საკითხი არ დაუსვამს გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის ვადაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული დამატებითი გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია, რაც ამ გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნე-

ბის საფუძვლები.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ ვ. ქ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული დამატებითი გადაწყვეტილება და აპელანტ ხ. ც-ის განცხადება დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე განუხილველად უნდა დარჩეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის იმ მოთხოვნათა პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

განსახილველ შემთხვევაში, დამატებით გადაწყვეტილებაზე შეტანილ საკასაციო საჩივარზე კასატორს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი აქვს 300 ლარი, შესაბამისად, ვინაიდან მისი საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, მონინალმდევე მხარეს კასატორის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 300 ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408.3 და 411-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ვ. ქ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 31 მაისის დამატებითი განწყვეტილება;
3. ხ. ც-ის განცხადება, დამატებითი გადწყვეტილების გამტანის თაობაზე, დატოვებულ იქნეს განუხილველად;
4. ხ. ც-ეს კასატორ ვ. ქ-ის სასარგებლოდ დაეკისროს 300 ლარის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

გადწყვეტილების განმარტება

განჩინება

№ას-1295-1222-2012

20 ნოემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავეიძე**

დავის საგანი: საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ა-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ე.ჩ-ის წინააღმდეგ და მოითხოვა ქ. ბათუმში, კ-ის ქ. №7-ში მდებარე მოპასუხის საკუთრებაში რეგისტრირებული 77,45 კვ.მ ფართის საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 25%-ის გადახდის სა-
ნაცვლოდ, მის მიერ დაკავებული ფართის მესაკუთრედ ცნობა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის გან-

ჩინებით, მოპასუხე ე.ჩ-ის გარდაცვალების გამო, მის უფლება-
მონაცვლედ ცნობილ იქნა მეუღლე – ა. ჩ-ი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 9 ოქტომბრის
გადაწყვეტილებით ნ. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ნ. ა-ეს ე.
ჩ-ის უფლებამონაცვლე ა. ჩ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 13 750
ლარის გადახდა. მოსარჩელე ცნობილ იქნა ქ. ბათუმში, კ-ის ქ.
№7-ში მდებარე ე.ჩ-ის საკუთრებაში რიცხული ფართიდან 77,45
კვ.მ ფართის მესაკუთრედ.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივ-
რა ა. ჩ-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილე-
ბის მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატოს 2010 წლის 3 თებერვლის განჩინებით, ა. ჩ-ის სააპე-
ლაციო საჩივართან დაკავშირებულ სამოქალაქო საქმეზე, მო-
პასუხე ე. ჩ-ის უფლებამონაცვლედ ა. ჩ-თან ერთად დაშვებულ
იქნა ს. ც-უ და დ. ს-ა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატის 2010 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით ა. ჩ-ის საა-
პელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბა-
თუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის გადან-
ყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ნ.ა-ის
სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა, იგი ცნობილ იქნა ქ. ბა-
თუმში, კ-ის ქ. №7-ში მდებარე ა. ჩ-ის, დ. ს-ა და ს. ც-უს საკუთ-
რებაში რეგისტრირებული უძრავი ქონებიდან, მის მფლობელო-
ბაში არსებული 77,47 კვ.მ საცხოვრებელი ფართის მესაკუთ-
რედ ა. ჩ-ის, დ. ს-ა და ს. ც-ვის 13750 ლარის გადახდის სანაც-
ვლოდ. აღნიშნული გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

2012 წლის 7 ივნისს ნ. ა-ის წარმომადგენელმა დასახელებუ-
ლი გადაწყვეტილების განმარტების შესახებ განცხადებით მი-
მართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და აღნიშნა, რომ
გადაწყვეტილების აღსრულება შეჩერდა იმ მოტივით, რომ ვერ
დგინდებოდა, თუ როგორი თანაფარდობით უნდა განსაზღვრუ-
ლიყო თითოეული მესაკუთრისაგან ჩამოსაკლები ფართები ც.
ც-ის 77,46 კვ.მ ფართის დასარეგისტრირებლად. 2012 წლის 25
მაისიდან მითითებულ მისამართზე დარეგისტრირდა ტ. ვ-ას სა-
კუთრება 25 კვ.მ ფართზე და, შესაბამისად, ა. ჩ-ის (28,32 კვ.მ),
დ. ს-ა (46,64 კვ.მ) და ს. ც-ის (46,64 კვ.მ) საკუთრებაში დარჩა
121,6 კვ.მ. ვინაიდან სააღსრულებო ფურცელში არ არის მითი-
თებული 77,46 კვ.მ ფართი თანაბარწილად უნდა გამოაკლდეს
სამივე მესაკუთრეს, თუ სხვაგვარი პრინციპით, ნ. ა-ემ მოით-
ხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 30 მარ-

ტის გადაწყვეტილების განმარტება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 9 ივლისის განჩინებით ნ. ა-ის განცხადება გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე დაკმაყოფილდა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 მარტის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტი განიმარტა შემდეგნაირად: ა. ჩ-ის, დ. ს-ა და ს. ც-ვის 13750 ლარის გადახდის სანაცვლოდ, ნ. ა-ე ცნობილ იქნა მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული, 2009 წლის მდგომარეობით ე. ჩ-ის საკუთრებაში რეგისტრირებული და სამკვიდრო მონუმობის საფუძველზე, ა. ჩ-ის, დ. ს-ა და ს. ც-ის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, კ-ის ქ. №7-ში მდებარე 146 კვ.მ ფართიდან 77,45 კვ.მ ნაწილზე, კერძოდ, „TER UNIVERSAL“-ის მიერ 2009 წლის 17 ნოემბერს შედგენილი აზომვითი ნახაზების შესაბამისად, ქ. ბათუმში, კ-ის ქ. №7-ში მდებარე, ლიტერ „ა“-ში 42,05 კვ.მ ფართის №4, 7, 8 ოთახების, ასევე ლიტერ „ა“-ს 49,8 კვ.მ ფართიდან, 17,60 კვ.მ ფართის №1 და 11,3 კვ.მ ფართის №9 ოთახების მესაკუთრედ.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 მარტის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ბუნდოვანი იყო, კერძოდ, არ ირკვეოდა, თუ სად მდებარეობდა ნ. ა-ვის მიკუთვნებული 77,45 კვ.მ, რაც ცხადყოფდა, რომ გადაწყვეტილების აღსრულებისათვის ხელშეწყობის მიზნით, იგი განმარტებას საჭიროებდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 9 ივლისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა.ჩ-ის, დ.ს-ა და ს.ც-უს წარმომადგენლმა ი.ა-ემ და მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძველით, რომ სასამართლოს მიერ გასაჩივრებულ განჩინებაში განმარტებული საკითხები სცდებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლით გადასაწყვეტ საკითხთა წრეს, რის გამოც იგი გაუქმებას ექვემდებარებოდა. კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში ცალსახად და გარკვევით იყო ასახული საქმის სასამართლო განხილვის შედეგი და მთლიანად შეესატყვისებოდა მის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილის დებულებებსა და დასკვნებს. გადაწყვეტილების აღსრულებლობა კი, გამომწვეული იყო არა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ხარვეზის, არამედ გადაწყვეტილების არსებითი კანონშესაბამობის გამო. იმის თაობაზე, თუ რომელი კონკრეტული ფართი შეადგენდა სასარჩელო მოთხოვნის საგანს – გამ-

ცხადებელ მხარეს იგი საქმის არსებითი განხილვის სტადიაზე უნდა ემტკიცებია, რის შესაბამისადაც, სასამართლო მიიღებდა კანონშესაბამის გადაწყვეტილებას. სააპელაციო სასამართლომ ნაცვლად განმარტებისა, დაადგინა ახალი ფაქტობრივი გარემოებები და თითქოსდა განმარტების საკანონმდებლო ნორმების მისადაგებით, არასწორად დაუმკვიდრა ც. ც-ს მოპასუხეთა უძრავი ქონება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ჩ-ის, დ. ს-ა და ს. ც-უს წარმომადგენლმა ი.ა-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმადაც, გადაწყვეტილების გამოტანს სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს. სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვეტილების განმარტების საკითხი გადაწყვიტოს ზეპირი მოსმენის გარეშე. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მხარეებს ეგზავნება შეტყობინება, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს გადაწყვეტილების განმარტების საკითხის განხილვას. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებას მისი სარეზოლუციო ნაწილის შეუც-

ვლელად განმარტავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება ორაზროვან, ბუნდოვან დებულებებს ემყარება იმგვარად, რომ შეუძლებელია ამ გადაწყვეტილებით აღიარებული უფლების სწორად განმარტება და ილახება მოდავე მხარეთა ინტერესები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილია გადაწყვეტილების ფორმალური (სსკ-ის 264-ე მუხლი) და მატერიალური (სსკ-ის 266-ე მუხლი) კანონიერი ძალა, რომელიც პირველ შემთხვევაში გულისხმობს მიმდინარე პროცესში დავის განხილვის დამთავრებას, ხოლო მატერიალური კანონიერი ძალა უზრუნველყოფს გადაწყვეტილების საბოლოო ხასიათსა და სავალდებულობას არა მარტო კონკრეტული პროცესისათვის, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება საქმის განხილვაში მონაწილე პირთა წრეზე (სუბიექტური ფარგლები) და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე (ობიექტური ფარგლები). გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, თავისი არსით, წარმოადგენს პირდაპირ და ზუსტ პასუხს სარჩელზე. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი შეიცავს სასამართლოს დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ (სსკ-ის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილი). ამდენად, პირი, სარჩელის შეტანის გზით იცავს რა თავის უფლებას და შელახულ ინტერესებს, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება იმავდროულად იწვევს მისი პრეტენზიის აღმოფხვრას, ვინაიდან სადავოდ მიჩნეული უფლება მოდავე პირის სასარგებლოდაა დაცული და, შესაბამისად, მხარის იურიდიული ინტერესიც დაკმაყოფილებულია.

ნიშანდობლივია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით სასამართლებრივი წესრიგის დადგენა შესაძლებელია რა მხოლოდ გადაწყვეტილების აღსრულებით, აღსასრულებლად წარემართება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, თუნდაც ეს უკანასკნელი ადგენდეს რაიმე უფლების ან ვალდებულების არსებობას („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლი). სასამართლო გადაწყვეტილება მართლმსაჯულების აქტია და მისი სამართლებრივი შედეგები თვით კონსტიტუციითაა რეგლამენტირებული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ გადაწყვეტილების აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილები წარმოადგენს ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ფუნდამენტს. მასში აისახება სასამართლოს შემეცნებითი მსჯელობა ფაქტების არსებობა-არარსებობის შესახებ (ფაქტობრივი დასაბუთე-

ბა) და შეფასებითი მსჯელობა ამ ფაქტების იურიდიული ძალისა და მნიშვნელობის შესახებ (სამართლებრივი დასაბუთება). კანონის იმპერატიული დათქმა გადანყვეტილების დასაბუთების აუცილებლობაზე, განპირობებულია მართლმსაჯულების ერთ-ერთი ძირითადი მიზნით, დაარწმუნოს მხარეები დავის კანონიერად და სამართლიანად გადანყვეტაში და ამავედროულად გადანყვეტილების დასაბუთებით რეალიზებულია გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მითითებული სამართლებრივი შედეგის სიცხადე. გადანყვეტილების აღმასრულებელი პირი, იქნება ის მოვალე თუ შესაბამისი ორგანო, ვალდებულია, გადანყვეტილების აღსრულებისას სარეზოლუციო ნაწილით დადგენილი შედეგის მიმართ გონივრულად იხელმძღვანელოს გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილითაც. სწორედ აღნიშნული განაპირობებს მართლმსაჯულების აქტის სწორად და გონივრულად აღსრულების შესაძლებლობას.

განსახილველ შემთხვევაში, როგორც საქმის მასალებით ირკვევა ნ. ა-ის სარჩელის საგანს წარმოადგენდა ქ. ბათუმში, კ-ის ქ. №7-ში მდებარე მოპასუხის საკუთრებაში რეგისტრირებული 77,45 კვ.მ ფართის საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 25%-ის გადახდის სანაცვლოდ, მის მიერ დაკავებული ფართის მესაკუთრედ ცნობა, რაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 მარტის გადანყვეტილებით სრულად დაკმაყოფილდა, კერძოდ, იგი ცნობილ იქნა ქ. ბათუმში, კ-ის ქ. №7-ში მდებარე, ა. ჩ-ის, დ.ს-ა და ს.ც-უს საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონებიდან, მის მფლობელობაში არსებული 77,45 კვ.მ საცხოვრებელი ფართის მესაკუთრედ, მოპასუხეებისათვის 13750 ლარის გადახდის სანაცვლოდ. აღნიშნული გადანყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ბუნდოვანი არ ყოფილა და თავისი არსით, წარმოადგენდა პირდაპირ და ზუსტ პასუხს სარჩელზე. ამასთან, შეესატყვისებოდა გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ასახულ სასამართლო მსჯელობას, სადაც დადგენილად იყო მიჩნეული მხოლოდ ის გარემოება, რომ სარჩელის წარდგენის დროისათვის ქ. ბათუმში, კ-ის ქ. №7-ში მდებარე ნ.ა-ის სარგებლობაში, 1963 წლიდან არსებული უძრავი ქონება – 77,45 კვ.მ საცხოვრებელი ფართი ირიცხებოდა ე. ჩ-ის სახელზე საკუთრების უფლებით, ხოლო მისი გარდაცვალების შემდგომ აღირიცხა მისი მემკვიდრეების: ა. ჩ-ის, დ.ს-ა და ს. ც-უს საკუთრებაში. ის ფაქტობრივი გარემოება

კი, რომ ნ.ა-ის მიერ დაკავებული 77,45 კვ.მ ფართი კონკრეტულად მდებარეობდა ქ. ბათუმში, კ-ის ქ. №7-ში მდებარე სახლთმფლობელობის ლიტერ „ა“-ში და მოიცავდა „TER UNIVERSAL“-ის მიერ 2009 წლის 17 ნოემბერს შედგენილი აზომვითი ნახაზების შესაბამისად, ქ. ბათუმში, კ-ის ქ. №7-ში მდებარე, ლიტერ „ა“-ში 42,05 კვ.მ ფართის №4, 7, 8 ოთახებს, ასევე ლიტერ „ა“-ს 49,8 კვ.მ ფართიდან, 17,60 კვ.მ ფართის №1 და 11,3 კვ.მ ფართის №9 ოთახებს, რაც გადაწყვეტილების განმარტების შესახებ განჩინებაში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ იქნა მითითებული, არც სარჩელში, არც გადაწყვეტილების აღწერილობით და სამოტივაციო ნაწილებში მოთხოვნილი და დადგენილი არ ყოფილა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას მასზე, რომ გასაჩივრებულ განჩინებით სააპელაციო სასამართლომ ნაცვლად განმარტებისა, დაადგინა ახალი ფაქტობრივი გარემოებები, მის მიერ განმარტებული საკითხები სცდებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლით გადასაწყვეტ საკითხთა წრეს და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში ცალსახად და გარკვევით იყო ასახული საქმის სასამართლო განხილვის შედეგი და მთლიანად შეესატყვისებოდა მის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილის დებულებებსა და დასკვნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ა. ჩ-ის, დ. ს-ა და ს. ც-უს წარმომადგენლ ი. ა-ის კერძო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 9 ივლისის განჩინების გაუქმებით, ნ. ა-ის განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 მარტის გადაწყვეტილების განმარტების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა. ჩ-ის, დ. ს-ა და ს. ც-უს წარმომადგენლ ი. ა-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 9 ივლისის განჩინება;

3. ნ. ა-ის განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 მარტის გადაწყვეტილების განმარტების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

№ას-1215-1144-2012

8 ნოემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი**

დავის საგანი: სამკვიდრო მონუმობის ბათილად ცნობა და სამკვიდროს 1/7 წილზე მესაკუთრედ აღიარება

აღწერილობითი ნაწილი:

ვ., გ., მ., ა. პ-მა, ე. პ-მა და ვ. პ-მა სარჩელი აღძრეს სასამართლოში ვ. და რ. პ-ის მიმართ და მოითხოვეს ნოტარიუს ნ. ბ-ის მიერ რ. და ვ. პ-ზე გაცემული სამკვიდრო მონუმობის ბათლად ცნობა და მათი, როგორც პირველი რიგის მემკვიდრეებზე, თითოეულის 1/7 წილზე მესაკუთრედ ცნობა.

მოპასუხეებმა სარჩელი ნაწილობრივ ცნეს, კერძოდ, ვ. და ა. პ-ის მოთხოვნის ნაწილში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩეეების: ვ. პ-ის და ა. პ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ხოლო ე. პ-ის, გ. პ-ის, მ. პ-ის და ვ. პ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ვ. პ-მა, გ. პ-მა და მ. პ-მა, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებით გ. და მ. პ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ვ.პ-ის სააპელა-

ციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტის სადავოდ გამხდარი ნაწილის შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ვ.პ-ი ცნობილ იქნა ქ.თბილისში, ნავთლულის დასახლების ზ-ის ქ. №70-72-ში (საკადასტრო კოდი №...) მდებარე უძრავი ქონების ვ. და რ. პ-ის სახელზე რიცხული 1/2 ნაწილის 2/7 წილის მესაკუთრედ, ვ. და რ. პ-ი ცნობილ იქნენ ხსენებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი №...) იმ დროის მდგომარეობით მათ სახელზე რიცხული 1/2 ნაწილის მესაკუთრეებად თითოეული 2/7 ნაწილზე, საქლაქო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ა. პ-ი ცნობილ იქნა ქ.თბილისში, ნავთლულის დასახლების ზ-ის ქ. №70-72-ში მდებარე უძრავი ქონების ვ. და რ. პ-ის სახელზე რიცხული 1/2 ნაწილის 1/7 წილის მესაკუთრედ, ხოლო დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ვ.პ-მა, გ. პ-მა, მ. პ-მა და ა. პ-მა, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 7 ივნისის განჩინებით მ., ვ., გ. და ა. პ-ის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო.

2012 წლის 16 ივლისს ვ. პ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილების განმარტება, კერძოდ, მოითხოვა გადაწყვეტილების განმარტება იმგვარად, თუ ვინ არიან ცნობილი ღიად დარჩენილ S წილზე მემკვიდრეებად, რის საფუძველზე არიან ცნობილები რ. და ვ. პ-ის ერთად 4/7 წილზე მემკვიდრეებად და მას, როგორც თანაბარი უფლების მქონეს, მიეკუთვნა ნაკლები – 2/7 წილი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 20 აგვისტოს განჩინებით ამავე სასამართლოს 2012 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ იკვეთებოდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილების ბუნდოვანება და ამდენად, არ არსებობდა აღნიშნული გადაწყვეტილების განმარტების საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლით გათვალისწინებუ-

ლი საფუძველი, რის გამოც განმცხადებლების განცხადება დაკმაყოფილებას არ ექვემდებარებოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 20 აგვისტოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ვ.პ-მა და მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძველით, რომ გადაწყვეტილება იყო ბუნდოვანი, კერძოდ, სასამართლოს გადაწყვეტილებით ცვლილება შევიდა რ. და ვ. პ-ის სახელზე რიცხულ S ნილში, ხოლო მეორე ნახევარზე, რომელიც მოპასუხეებს არ ჰქონიათ გაფორმებული, სასამართლოს არ უმსჯელია, ამასთან, მოპასუხეებს, თითოეულს მიეკუთვნათ 2/7 ნილი, სასამართლოს მსჯელობის მიხედვით კი, მეორე ნახევარზე – 1/7 ნილზე მემკვიდრედ ცნობილია ა. პ-ი, შესაბამისად, მას და მოპასუხეებს შორის დარჩენილი 6/7 ნაწილი უნდა გაიყოს არა 3 თანაბარ ნაწილად, არამედ 2 ნაწილად, რაც ცხადყოფს, რომ მას უნდა მიეკუთვნოს 3/7 ნილი და რ. და ვ. პ-ს ორივე ერთად – 3/7 ნილი. ამდენად, კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ბუნდოვანი იყო, სასამართლოს მის განმარტებაზე უარი არ უნდა ეთქვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და მიიჩნევს, რომ ა. პ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს.

მითითებული ნორმის თანახმად, კანონმდებელი გადაწყვეტილების განმარტების საფუძველად სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანებას მიიჩნევს, ხოლო განმარტების მიზნად კი მისი აღსრულების უზრუნველყოფას. ამდენად, იმისათვის, რომ არსებობდეს გადაწყვეტილების განმარტების ფაქტობრივ-სამარ-

თლებრივი ნანამძღვრები, განმცხადებელმა სარწმუნოდ უნდა დაადასტუროს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანება, რაც ამავე გადაწყვეტილების აღსრულების ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს.

მოცემულ შემთხვევაში, როგორც საქმის მასალებით ირკვევა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებით ვ.პ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტის, გასაჩივრებულ ნაწილში, შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ვ.პ-ი ცნობილ იქნა ქ. თბილისი, ნავთლუდის დასახლება, ზ-ის ქ. №70-72-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი №...) ვ. და რ. პ-ის სახელზე რიცხულ 1/2 ნაწილის 2/7 წილის მესაკუთრედ. შესაბამისად, ვ. და რ. პ-ი ცნობილ იქნენ ქ. თბილისი, ნავთლუდის დასახლება, ზ-ის ქ. №70-72-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი №...) დღეის მდგომარეობით მათ სახელზე რიცხული 1/2 ნაწილის მესაკუთრეებად თითოეული 2/7 ნაწილზე; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილების შესაბამისად, ა. პ-ი ცნობილ იქნა ქ. თბილისი, ნავთლუდის დასახლება, ზ-ის ქ. №70-72-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი №...) ვ. და რ. პ-ის სახელზე რიცხულ 1/2 ნაწილის 1/7 წილის მესაკუთრეებად; დანარჩენ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ შეიცავს ბუნდოვან, ურთიერთგამომრიცხავ ან შეუსაბამო დებულებებს, განმცხადებლის მოთხოვნა კი, თავისი შინაარსით, ფაქტობრივად მიმართულია არა გადაწყვეტილების ბუნდოვანებაზე, არამედ მის შედეგზე, რის გამოც, საკასაციო პალატა თვლის, რომ განცხადებაში მოყვანილი მოტივები სცილდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის მოთხოვნებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ვ. პ-ის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა, რის გამოც არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

ვ. პ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 აგვისტოს განჩინება;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ის გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ას-1227-1156-2012

8 ნოემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: სარჩელის უზრუნველყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. რ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ჯ. შ-სა და ე. კ-ის წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხეებისათვის 92 კვ.მ. ფართის ღირებულების 40 000 აშშ დოლარის სოლიდარულად გადახდის დაკისრება.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებით მ. რ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. რ-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

2012 წლის 6 ივნისს მ. რ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, ქ. თბილისში, დ. ა-ის 111, მე-4 კორპუსში მდებარე ბინა №4-ში მდებარე ჯ. შ-ას საკუთრებაში არსებულ ბინაზე ყადაღის დადება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 6 ივნისის განჩინებით მ. რ-ის განცხადება სარცელის უზრუნველყოფის გამოყენების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, რაც გაასაჩივრა მ. რ-მა და მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე განცხადების დაკმაყოფილება იმ საფუძველზე, რომ მან საცხოვრებელი ბინა დაკარგა 5000 დოლარის სესხის გამო და სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, თუ მოპასუხე გაასხვისებს ბინას, შესაძლოა გადაწყვეტილება ვერც აღსრულდეს. საჩივრის ავტორის განმარტებით, დაუსაბუთებელია ასევე სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ არ დასტურდება მოპასუხის განზრახვა ქონების გასხვისებასთან დაკავშირებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 ივლისის განჩინებით მ. რ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა მ. რ-ის საჩივარი და თვლის, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹ მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის

გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს მოთხოვნა, სასამართლოს განმცხადებლის მითითების საფუძველზე უნდა შეექმნას მყარი შინაგანი რწმენა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიების გამოყენებლობა შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების შემდგომ აღსრულებას. თავის მხრივ, სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგენს საქართველოს სახელით გამოტანილ მართლმსაჯულების აქტს, რომელიც მოდავე მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად აწესრიგებს და მიმართულია სამომავლოდ (კანონიერ ძალაში შესვლის დროისათვის) დაცული და აღიარებული უფლებების რეალიზებისაკენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების აღსრულების დროისათვის აღმოჩნდება, რომ შეუძლებელია სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი შედეგის განხორციელება, მართლმსაჯულება რეალურ მიზანს დაკარგავს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის 1-ლი ნაწილით კანონმდებელი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის მტკიცების ტვირთს განმცხადებელს აკისრებს, თუმცა ადგენს, რომ სასამართლოს სწორედ საქმის მასალებისა და მხარის არგუმენტების ანალიზის საფუძველზე უნდა შეექმნას დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ უზრუნველყოფილ იქნას სარჩელი.

სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის პირობებში, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ისედაც უქმდება და ასეთ შემთხვევაში, მოპასუხეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, წარმოეშობა უფლება, უსაფუძვლო სარჩელის გამო გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების თაობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოტივაციას მასზე, რომ, არ არსებობდა მ. რ-ის საჩივრის დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი წინამძღვრები, ვინაიდან იმ პირობებში, როცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგი-

ის 2012 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებით მ. რ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც ძალაში დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 29 ივნისის განჩინებით, საჩივრის ავტორის არგუმენტი მასზე, რომ მოწინააღმდეგე მხარე ქონების გასხვისებას აპირებს, ვერ იქნებოდა გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების მიზნებისათვის.

ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მ.რ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 29 ივნისის განჩინების გაუქმების თაობაზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 8 ნოემბრის განჩინებით დარჩა განუხილველად დაუსვებლობის გამო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მ. რ-ის საჩივარი დაუსაბუთებელია და არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1971-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

მ. რ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 6 ივნისისა და 2012 წლის 19 ივლისის განჩინებები;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

№ას-393-372-2012

30 მარტი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 14 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ზ. მ-მა მოპასუხე შპს „ი-ას“ მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა, რომ მოპასუხეს მის სასარგებლოდ დაკისრებოდა: სესხის ძირითადი თანხა – 700000 ლარი, სესხისათვის გათვალისწინებული პროცენტი – 140000 ლარი, აგრეთვე, ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება 100800 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ზ. მ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „ი-ას“ მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 252141.23 ლარის გადახდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში შპს „ი-ამ“ გაასაჩივრა სააპელაციო წესით. აპელანტმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 9 დეკემბრის განჩინებით შპს „ი-ას“ სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დაადგინა, რომ საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება აპელანტს ჩაბარდა 2011 წლის 2 ნოემბერს. მისთვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369.1 მუხლით გათვალისწინებული გასაჩივრების 14-დღიანი ვადის დენა დაიწყო 2011 წლის 3 ნოემბერს და ამავდროულად კოდექსის 61.2 მუხლის შესაბამისად ამოიწურა 2011 წლის 16 ნოემბერს. აქედან გამომდინარე, აპელანტს გასაჩივრების უფლება ჰქონდა 2011 წლის 16 ნოემბრის ჩათვლით.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ შპს „ი-ას“ გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია კანონით დადგენილ ვადაში. საქმის მასალების თანახმად, აპელანტმა სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოში ფოსტის მეშვეობით გააგზავნა 2011 წლის 17 ნოემბერს, ე.ი. გასაჩივრების ვადის დარღვევით (გასაჩივრების ბოლო დღე იყო 2011 წლის 16 ნოემბერი).

ზემომოთხრობული გარემოებების გათვალისწინებით, ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61.3, 59-ე, 63-ე მუხლების დანაწესიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვა.

სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 9 დეკემბრის განჩინება შპს „ი-ამ“ გაასაჩივრა კერძო საჩივრით და მოითხოვა მისი გაუქმება.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება აპელანტს არ ჩაბარებია კანონით დადგენილი წესით, კერძოდ, დასახელებული გადაწყვეტილება ჩაიბარა შპს „ი-ას“ ბუღალტერმა და ჩაბარება დაადასტურა შპს „ი-ას“ ბეჭდით.

კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ ბუღალტერი არ წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებულ უფლებამოსილ პირს. რაც შეეხება ჩაბარების დასტურზე შპს „ი-ას“ ბეჭდის არსებობას, საჩივრის ავტორის განმარტებით, მ. რ-ე სარგებლობდა ორგანიზაციის ბეჭდით მხოლოდ საგადასახადო დოკუმენტაციის საწარმოებლად და მას არ ჰქონდა მინიჭებული ბეჭდის სხვა დანიშნულებით გამოყენების უფლება. გზავნილის ჩაბარების მომენტში მ. რ-ე იმყოფებოდა შპს „ი-ას“ დირექტორის ალტერნატიულ სამუშაო ადგილას საგადასახადო დოკუმენტაციის საწარმოებლად, რა დროსაც მან გამოიყენა სწორედ ამ დოკუმენტაციისათვის განკუთვნილი ბეჭედი.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შესახებ აპელანტისათვის ცნობილი გახდა 2011 წლის 17 ნოემბერს, როდესაც შპს „ი-ას“ დირექტორმა იგი შემთხვევით იპოვა სხვადასხვა ძველ დოკუმენტებს შორის. აპელანტმა სააპელაციო საჩივარი შეიტანა იმავე დღეს ფოსტის მეშვეობით, ამიტომ მას გასაჩივრების ვადა არ დაურღვევია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „ი-ას“ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელ-

ლად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 9 დეკემბრის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადანყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადანყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადანყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-78-ე მუხლების შესაბამისად. ამავე კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის ან მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით მოწესრიგებულია ორგანიზაციისათვის უწყების ჩაბარების საკითხი, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაჰბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში უწყების ჩაბარება დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ უწყების ჩაბარება ორგანიზაციის კანცელარიის ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურული ერთეულის ანდა პირისათვის, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამისი უფლებამოსილი პირისათვის, ნიშნავს უწყების ჩაბარებას ორგანიზაციისათვის.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია და სადავო არაა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილების ასლი 2011 წლის 2 ნოემბერს ჩაბარდა შპს „ი-ას“ თანამშრომელს (ბუღალტერს) მ. რ.-ეს. აღნიშნული გარემოება დასტურდება გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათზე მისი მიმღები პირის (მ-ის) ხელმოწერით და შპს „ი-ას“ ბეჭდით. ადრესატისათვის გზავნილის ჩაბარება დადასტურებულია ასევე ამავე ბარათზე ფოსტის კურიერის ხელმოწერით. საქმის მასალებით უდავოდ დგინდება ისიც, რომ აპელანტს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილების ასლი გაეგზავნა შესაგებელ-

ში მის მიერ მითითებულ სამუშაო ადგილის მისამართზე: ქ.თბილისში, ნ-ის ქ. №114-ში.

კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ ბუღალტერი არ წარმოადგენს სასამართლო გზავნილის ჩაბარებაზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებულ უფლებამოსილ პირს.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის ზემოაღნიშნულ მსჯელობას, ვინაიდან უდავოა, რომ შპს „ი-ას“ თანამშრომელმა (ბუღალტერმა) ფოსტის კურიერისგან პრეტენზიის გარეშე ჩაიბარა სასამართლო გზავნილი, რაც დაადასტურა საკუთარი ხელმოწერით და ორგანიზაციის ბეჭდით. აღნიშნული კი იმას ადასტურებს, რომ სასამართლო გზავნილი ჩაიბარა სწორედ შპს „ი-ას“ უფლებამოსილმა პირმა. საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი კერძო საჩივრის ავტორს ეკისრებოდა, რაც მან ვერ შეძლო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „ი-ას“ კანონის მოთხოვნათა დაცვით ჩაბარდა მის მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ასლი, ამიტომ მართებულია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა შპს „ი-ას“ სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე, ვინაიდან საჩივარი შეტანილია კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადის დარღვევით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, ამიტომ შპს „ი-ას“ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ი-ას“ კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 9 დეკემბრის განჩინება;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

№ას-1412-1427-2011

17 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: საზიარო უფლების გაუქმება, საზიარო საგნის ნატურით გაყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

ჯ. კ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში შ. გ-ის, დ. ხ-ისა და ი. გ-ის მიმართ და მოითხოვა ქ. თბილისში, დ-ის ქუჩა №293-ში მდებარე უძრავ ნივთზე რეგისტრირებული საზიარო უფლების გაუქმება საზიარო საგნის – მიწის ნაკვეთის ნატურით გაყოფით, ისე, რომ მას გამოეყოს 292 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ხოლო მოპასუხეებს – 283 კვ.მ ნაკვეთი, მხარეები სრულად იზოლირებული იყვნენ და დ-ის ქუჩაზე არსებული გასასვლელით ისარგებლოს მხოლოდ მოსარჩელემ, მოპასუხებმა კი – უსახელო ჩიხით, რომელიც გადის ლ-ის ქუჩაზე.

მოპასუხებმა სარჩელი არ ცნეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით ჯ. კ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 26 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ჯ. კ-ეს გა-

საჩივრებული გადაწყვეტილება ჩაბარდა 2011 წლის 30 ივნისს, რასაც ადასტურებს საქმეში წარმოდგენილი შეტყობინების ბართი გზავნილის ჩაბარების შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება აპელანტს ჰქონდა ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად. ამავე კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყო 2011 წლის 1 ივლისს და ამოიწურა 2011 წლის 14 ივლისს. საქმის მასალებით დადასტურდა, რომ სააპელაციო საჩივარი ჯ. კ-ემ შეიტანა 14-დღიანი ვადის დარღვევით – 2011 წლის 15 ივლისს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე და 374-ე მუხლების შესაბამისად, პალატამ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი დატოვა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ჯ. კ-ემ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

ჯ. კ-ის განცხადებით, მას პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაბარდა 2011 წლის 1 ივლისს და გასაჩივრების ვადის ათვლა ამ მომენტიდან უნდა დაიწყო, ხოლო 30 ივნისი გზავნილის ჩაბარებისას მხარემ მიუთითა შეცდომით და მექანიკურად. სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა მხარემ ვერ გააკონტროლა თავისი ავადმყოფობის გამო. ასევე სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა სწორად ვერ განსაზღვრა მისმა ადვოკატმა მ. ყ-მა, რომელსაც გარდაეცვალა შვილი და ჰქონდა მძიმე სულიერი მდგომარეობა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ჯ. კ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების ან

259¹ მუხლის შესაბამისად, ასევე 259¹ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის გადაცემის მომენტიდან 14 დღის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი აღარ დაიშვება და დარჩება განუხილველად.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტს, რომ მას პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება ჩაბარდა 2011 წლის 1 ივლისს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს.

საქმეში წარმოდგენილი გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით დასტურდება, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ჯ. კ-ეს 2011 წლის 30 ივნისს პირადად ჩაბარდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი.

ამდენად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყო 2011 წლის 1 ივლისს და ამოიწურა 2011 წლის 14 ივლისს, ხოლო საქმის მასალებით დასტურდება, რომ სააპელაციო საჩივარი შეტანილ იქნა 14-დღიანი ვადის დარღვევით – 2011 წლის 15 ივლისს.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ აპელანტს კანონით დადგენილ ვადაში სააპელაციო საჩივარი არ შეუტანია, რაც აღნიშნული საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

დაადგინა:

ფ. კ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 26 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელად.
სახელმწიფო ბაჟის გადახდილია.
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

№ას-54-46-2011

25 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ი-ძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. ი-ძის მიმართ თანხის დაკისრების შესახებ.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით ნ. ი-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ი-ძემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 ნოემბრის განჩინებით გ. ი-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული განჩინება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ი-ძემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 21 იანვრის განჩინებით გ. ი-ძეს მიეცა ვადა ხარვეზის შესავსებად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 21 მარტის განჩინებით გ. ი-ძის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

გ. ი-ძემ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა აღნიშნული განჩინების ბათილად ცნობა შემდეგი საფუძვლებით: საკასაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული იმ მოტივით, რომ „თავის დროზე არ იქნა შევსებული ხარვეზი„. მის მიერ მოძიებულ იქნა მასალები, რომელიც ადასტურებს, რომ სასამართლოს მიერ საფოსტო გზავნილი არ ჩაჰბარებია კანონით დადგენილი წესით, რადგან საფოსტო გზავნილზე არის მარტივის საფოსტო დამლა, რაც გამორიცხავს 31 იანვარს გზავნილის ჩაბარებას ამასვე ადასტურებს ლანჩხუთის ფოსტის ... №23 ცნობა, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოდან ლანჩხუთის ფოსტაში 2011 წლის 31 იანვარს ლანჩხუთის რაიონი სოფ. ...-ში გ. ი-ძის სახელზე შემოვიდა შეკვეთილი წერილი, №185 შეტყობინება გაიგზავნა მარტივის რაიონში, რომელზედაც გარკვევით არის აღნიშნული მარტივის საფოსტო კალენდარული დამლა და ბარათი შევსებულია მარტივის ფოსტის ოპერატორის მიერ, თანაც ჩაბარების თარიღად ოპერატორის მიერ მითითებულია 2010 წლის 31 იანვარი. რაც შეეხება №185 წერილს, ის გ. ი-ძეს ჩაჰბარდა 11 თებერვალს. აღნიშნული არგუმენტები კი, რაც განცხადებაზე თანდართული მტკიცებულებებით დასტურდება, ცხადყოფს, რომ არასწორად იქნა დატოვებული მისი საკასაციო საჩივარი განუხილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, გ. ი-ძის განცხადების საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ აღნიშნული განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 იანვრის განჩინებით კასატორ გ. ი-ძეს დაევალა ამ განჩინების ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში უზენაეს სასამართლოში წარმოედგინა 387.50 ლარის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 მარტის განჩინებით გ. ი-ძის საკასაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო. კერძოდ, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან კასატორს 2011 წლის 31 იანვარს ჩაჰბარდა ხარვეზის განჩინება, ამიტომ კასატორისათვის ხარვეზის შევსების ვადის დენა დაიწყო 2011 წლის 1 თებერვალს და ამოიწურა ამავე წლის 3 თებერვალს.

განმცხადებელი გ. ი-ძე მოითხოვს საკასაციო სასამართლოს 2011 წლის 21 მარტის განჩინების ბათილად ცნობას და საქმის წარმოების განახლებას იმ საფუძველით, რომ ხარვეზის შევსების შესახებ განჩინება არ ჩაჰბარებია კანონით დადგენილი წესით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლი განსაზღვრავს, თუ რა შეიძლება გახდეს დამთავრებული საქმის წარმოების განახლების საფუძველი. აღნიშნული მუხლის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების წანამძღვრები. ამავე კოდექსის 422-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება არ იყო მონვეული საქმის განხილვაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებულმა სასამართლოში გამოსაძახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს. უწყების ჩაბარება ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაითვლება უწყების ჩაბარებად ადრესატისათვის, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, თითოეული მხარე ვალდებულია სათანადო მტკიცებულებების სასამართლოსათვის წარდგენის გზით დაადასტუროს მისი მოთხოვნის საფუძველიანობა.

იმ გარემოების დასადასტურებლად, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლო გზავნილის მიმღებ სუბიექტს გ. ი-ძეს, არ ჩაჰბარებია ხარვეზის განჩინება, წარმოდგენილია საქართველოს ფოსტის ლანჩხუთის ფილიალის მიერ გაცემული ცნობა და საფოსტო გზავნილების ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათი, სადაც მიმღებ პირად მითითებულია ვ. გ-ია და ასევე ბარათზე აღბეჭდილია მარტვილის საფოსტო დამლა, რაც გამოირიცხავს ლანჩხუთის რაიონი სოფელ აკეთში კასატორ გ. ი-ძისათვის სასამართლო გზავნილის ჩაბარებას.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არაუფლებამოსილი პირისათვის სასამართლო შეტყობინების ჩაბარება ვერ ჩაითვლება ადრესატისათვის (ამ შემთხვევაში კასატორისათვის) ჩაბარე-

ბად და, აქედან გამომდინარე, ხარვეზის შევსების ვადის ათვისების დასაწყისიდან არ შეიძლება დაუკავშირდეს ასეთ ჩაბარებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს აზრით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი არსებობს, რის გამოც განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს.

რაც შეეხება საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხს, აღსანიშნავია, რომ საქმეში წარმოდგენილი საქართველოს ფოსტის ლანჩხუთის ფილიალის წერილით ირკვევა, რომ გ. ი-ძეს №185 წერილი ჩაჰპარდა 2011 წლის 11 თებერვალს ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილი სამდღიანი ვადის დენა დაიწყო 2011 წლის 12 თებერვალს და ამოიწურა 2011 წლის 14 თებერვალს. როგორც საქმის მასალებით ირკვევა კასატორმა ხარვეზის შევსების შესახებ განცხადება და 387.50 ლარის სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი ფოსტას ჩააბარა 2011 წლის 16 თებერვალს, ანუ კანონით დადგენილი ვადის დარღვევით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება. ამდენად, დასახელებული მუხლიდან გამომდინარე, მხარე კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში ვალდებულია, განახორციელოს მისთვის დაკისრებული მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარემ დაკარგა ინტერესი დავის მიმართ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი არ უპასუხებს მოცემულ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება. მითითებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო საჩივრის ავტორს განუსაზღვრავს ვადას და დაუდგენს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომლებიც აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებისთვის უნდა შესრულდეს. სასამართლოს მიერ აღნიშნულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობა საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

მოცემულ შემთხვევაში ხარვეზი შევსებულია ვადის დარღვევით შესაბამისად, გ. ი-ძის საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას ექვემდებარება.

გ. ი-ძეს გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი, რის გამოც მას უნდა დაუბრუნდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 387 ლარისა და 50 თეთრის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე, 425-ე მუხლებით, 430-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 401-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

გ. ი-ძის განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 მარტის განჩინება და განახლდეს საქმის წარმოება.

გ. ი-ძის საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად.

გ. ი-ძის დაუბრუნდეს ა. ბ-ძის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 387 ლარისა და 50 თეთრის ოდენობით;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

განჩინება

№ას-7-5-2013

7 მარტი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. პ-ამ სარჩელით მიმართა ფოთის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხე შპს „კ-ის“ წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხე-სათვის, მის სასარგებლოდ, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დავალიანების – 11511,71 ლარის გადახდა, საიდანაც 10199,5 ლარი წარმოადგენდა სესხის ძირითად თანხას, ხოლო 1312,21 ლარი საპროცენტო სარგებელს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილებით ლ.პ-ას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „კ-ს“, მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისრა 11060,78 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „კ-ის“ დირექტორმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 26 ნოემბრის განჩინებით შპს „კ-ის“ სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად კანონით დადგენილი გასაჩივრების ვადის დარღვევის გამო.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ფოთის საქალაქო სასამართლომ ლ. პ-ას სარჩელთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება მიიღო 2012 წლის 27 აგვისტოს. საქმეზე გამოცხადდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, რომელსაც ესწრებოდა მოსარჩელე ლ.პ-ა და მოპასუხე მხარის შპს „კ-ის“ დირექტორი მ. დ-ა. ვინაიდან, ფოთის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება მოპასუხე მხარეს ჩაბარ-

და 2012 წლის 24 სექტემბერს, გადაწყვეტილების გასაჩივრების 14-დღიანი ვადის ათვლა იწყებოდა აღნიშნული თარიღიდან, ხოლო გასაჩივრების უფლების ბოლო ვადას წარმოადგენდა 2012 წლის 8 ოქტომბერი, მოპასუხე მხარემ კი, სააპელაციო საჩივარი ფოთის საქალაქო სასამართლოში წარადგინა 2012 წლის 10 ოქტომბერს, ანუ გასაჩივრების ვადის დარღვევით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სსსკ-ის 369-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი დაუშვებელი იყო და განუხილველად დატოვებას ექვემდებარებოდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 26 ნოემბრის განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრა შპს „კ-ის“ დირექტორმა მ. დ-ამ, მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძველზე, რომ მათმა წარმომადგენელმა სპს „ბ. და გ-ის საკონსულტაციოს“ ადვოკატმა თ. გ-მა სააპელაციო საჩივარი ფოთის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე საფოსტო გზავნილის სახით გადასცა შპს „სკს“-ს 2012 წლის 8 ოქტომბერს. სპს „ბ. და გ-ის საკონსულტაციოს“ სახლეზე გამოიწერა №001477738 გზავნილის მიღების დასტური, სადაც ადრესატად მიეთითა ფოთის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმღები – მოსამართლე თ. ბ-ა. მას შემდეგ რაც შეიტყვეს, რომ გასაჩივრებული განჩინებით სადავო გახდა გასაჩივრების ვადა, შპს „სკს“ ფოსტამ მათი მიმართვის საფუძველზე გადასცა, როგორც ზემოაღნიშნული დასტური, ასევე წერილობითი დოკუმენტიც, რომლითაც დაუდასტურა, რომ მათ შპს „სკს“-ს 2012 წლის 8 ოქტომბერს ნამდვილად გადასცეს №0001477738 გზავნილი ფოთის საქალაქო სასამართლოსადმი და, რომ აღნიშნული გზავნილი ამავე სასამართლოს კანცელარიის თანამშრომელ თ. თ-ას ჩაჰბარდა 2012 წლის 10 ოქტომბერს. აღნიშნულის დასადასტურებლად, კერძო საჩივარს თან დაერთო შპს „სკს“-ს №001477738 თეთრი და მწვანე ფერის დასტური და ამავე ფოსტის ადმინისტრატორ ნ. დ-ის 2012 წლის 19 დეკემბრის წერილობითი დოკუმენტი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ შპს „კ-ის“ დირექტორ მ. დ-ას კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის სტადიაზე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სა-

სამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლების ან 259¹ მუხლის შესაბამისად, ასევე 259¹ მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. თუ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან. გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება ამ გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან მისი მხარისათვის ამ კოდექსის 70–78-ე მუხლების შესაბამისად გადაგზავნის დრო.

ამავე კოდექსის 259¹ მუხლის 1-ლი ნაწილით კი, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

საკასაციო სასამართლო ზემოთ დასახელებული მუხლების ურთიერთჯერების საფუძველზე მიუთითებს შემდეგს: იმისათვის, რომ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹ მუხლის შესაბამისად, უნდა იკვეთებოდეს აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული შემდეგი გარემოებები: გადაწყვეტილების გასაჩივრებას უნდა ესწრებოდეს გასაჩივრების უფლების მქონე პირი ან ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი უნდა იყოს გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი. ამასთან, 259¹ მუხლი იმპერატიული ნორმაა. იგი ცალსახად და იმპერატიულად ადგენს გადაწყვეტილების გასაჩივრების წესს და ნორმის სხვაგვარი განმარტების საშუალებას არ იძლევა.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია და მხარე სადავოდ არ ხდის იმ გარემოებას, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹ მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარებისათვის განსაზღვრული გადაწყვეტილების გამოცხადებიდან მე-20 დღე იყო 2012 წლის 16 სექტემბერი, ხოლო 30-ე დღე – 2012 წლის 26 სექტემბერი.

შპს „კ-ის“ წარმომადგენელი რ. ჭ-ა სასამართლოში მივიდა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება ჩაიბარა 2012 წლის 24 სექტემბერს, რის გამოც სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადის დენა დაიწყო 2012 წლის 25 სექტემბერს და ამოიწურა 2012 წლის 8 ოქტომბერს.

სააპელაციო სასამართლომ იმ საფუძველით, რომ სააპელაციო საჩივარი ფოთის საქალაქო სასამართლოში აპელანტმა წარადგინა 2012 წლის 10 ოქტომბერს, ანუ გასაჩივრების ვადის დარღვევით, მიიჩნია, რომ სსსკ-ის 369-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი დაუშვებელი იყო და განუხილველად დატოვებას ექვემდებარებოდა.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მას გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა არ დაურღვევია და კანონით დადგენილ ვადაში, ფოსტის მეშვეობით, წარადგინა სააპელაციო საჩივარი ფოთის საქალაქო სასამართლოში, რის დასადასტურებლადაც, კერძო საჩივარს დაურთო შპს „სკს“-ს №001477738 თეთრი და მწვანე ფერის გზავნილის ჩაბარების დასტური და ამავე ფოსტის ადმინისტრატორ ნ. დ-ის 2012 წლის 19 დეკემბრის წერილობითი დოკუმენტი, რომლის თანახმად, სპს „ბ. და გ-ის საკონსულტაციომ“ 2012 წლის 8 ოქტომბერს შპს „სკს“-ს გადასცა გზავნილი ფოთის საქალაქო სასამართლოში გასაგზავნად. სპს „ბ. და გ-ის საკონსულტაციოს“ სახლეზე გამოიწერა №001477738 გზავნილი მიღების დასტური, სადაც ადრესატად მიეთითა ფოთის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმღები – მოსამართლე თ. ბ-ა, ხოლო აღნიშნული გზავნილი ამავე სასამართლოს კანცელარიის თანამშრომელ თ.თ-ას ჩაჰბარდა 2012 წლის 10 ოქტომბერს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებები საჭიროებენ შემოწმებას სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის სწორად გადასაწყვეტად, რის გამოც შპს „კ-ის“ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე განსახილველად უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო პალატას სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შემოწმების მიზნით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

შპს „კ-ის“ დირექტორ მ. დ-ას კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 26 ნოემბრის განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემონმების ეტაპიდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

განჩინება

№ას-767-720-2012

12 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი**

დავის საგანი: მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ჩხორონყუს რაიონული სასამართლოს 2012 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებით შ. ბ-ს სარჩელი მოპასუხე დ. ბ-ს და ზ. ბ-ს მიმართ მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა; გაუქმდა ჩხორონყუს რაიონული სასამართლოს 2012 წლის 27 იანვრის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ და ყადაღა მოეხსნა დ. ბ-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს საკადასტრო კოდით №... №... №... მდებარე დაბა ჩხორონყუ ლ-ის ქ. №32 და №... მდებარე დაბა ჩხორონყუ, ლ-ის ქუჩა.

დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შ. ბ-მ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 28 მარტის განჩინებით აპელანტ შ. ბ-ს სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად დაევალა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფრომის ნიმუშის დაცვით შედგენილი სააპელაციო საჩივრის წარმოდგენა იმდენი ასლის ოდენობით, რამდენი მხარეც მონაწილეობდა საქმის განხილვაში. აღნიშნული განჩინებითვე აპელანტს განემარტა ხარვეზის შეუვსებლობის სამართლებრივი შედეგები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 აპრილის განჩინებით აპელანტს, 3 დღით გაუგრძელდა ხარვეზის შევსების ვადა იმ მოტივით, რომ მის მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი და შესაბამისად, მისი ასლები ისევ ხარვეზიანი იყო, ვინაიდან არ შეესაბამებოდა 2012 წლის 9 თებერვალს დამტკიცებული სააპელაციო საჩივრის ახალ ფორმას. აღნიშნული მოტივით 2012 წლის 17 აპრილის განჩინებით, აპელანტს ისევ გაუგრძელდა ხარვეზის შევსების ვადა 7 დღით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 2 მაისის განჩინებით, სასამართლოს მიერ დადგენილ საპროცესო ვადაში, ხარვეზის შეუვსებლობის გამო, შ. ბ-ს სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

პალატამ დადგენილად ჩათვალა, რომ აპელანტს ხარვეზის შევსების შესახებ და ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების განჩინებებში განუმარტა, რომ 2012 წლის 9 თებერვალს შეიცვალა სააპელაციო საჩივრის ფორმა და დამტკიცდა ახალი, სწორედ სააპელაციო საჩივრის დამტკიცებულ ამ ახალ ფორმასთან უნდა ყოფილიყო შესაბამისობაში აპელანტის მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარიც (2012 წლის 9 თებერვლის მგდომარეობით დამტკიცებული), თუმცა მიუხედავად იმისა, რომ აპელანტმა სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში წარმოადგინა სააპელაციო საჩივარი, ვინაიდან იგი არ შეესაბამებოდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2012 წლის 9 თებერვლის მგდომარეობით დამტკიცებულ ფორმის ნიმუშს, მიიჩნია, რომ შ. ბ-ს ხარვეზი არ გამოუწორებია, რაც მისი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენდა.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შ. ბ-მ,

მოითხოვა მისი გაუქმება, სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა და საქმის წარმოების განახლება იმ საფუძვლით, რომ გასაჩივრებულ განჩინებაში მისი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების მიზეზები დასაბუთებული არ არის, კერძოდ, სააპელაციო სასამართლო ზოგადად უთითებს, რომ სააპელაციო საჩივარი არ შეესაბამება 2012 წლის 9 თებერვალს დამტკიცებული სააპელაციო საჩივრის ახალ ფორმას, თუმცა არ აკონკრეტებს, თუ რატომ არ შეესაბამება და რა იყო დარღვეული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ შ. ბ-ს კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი არ მიიღება და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის შესაბამისად, დარჩება განუხილველად.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 28 მარტის განჩინებით აპელანტ შურა ბებიას სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად დაევალა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფრომის ნიმუშის დაცვით შედგენილი სააპელაციო საჩივრის წარმოდგენა იმდენი ასლის ოდენობით, რამდენი მხარეც მონაწილეობდა საქმის განხილვაში. აღნიშნული განჩინებითვე აპელანტს განემართა ხარვეზის შეუვსებლობის სამართლებრივი შედეგები.

საქმის მასალებით ირკვევა ასევე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 აპრილის განჩინებით აპელანტს, 3 დღით გაუგრძელდა ხარვეზის შევსების ვადა იმ მოტივით, რომ მის მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი და, შესაბამისად, მისი ასლები ისევ ხარვეზიანი იყო, ვინაიდან არ შეესაბამებოდა 2012 წლის 9 თებერვალს დამტკიცებული სააპელაციო საჩივრის ახალ ფორმას. აღნიშნული მოტივით 2012 წლის 17 აპრილის განჩინებით, აპე-

ლანტს ისევ გაუგრძელდა ხარვეზის შევსების ვადა, 7 დღით.

პალატამ დადგენილად ჩათვალა, რომ აპელანტს ხარვეზის შევსების შესახებ და ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების განჩინებებში განუმარტა, რომ 2012 წლის 9 თებერვალს შეიცვალა სააპელაციო საჩივრის ფორმა და დამტკიცდა ახალი, სწორედ სააპელაციო საჩივრის დამტკიცებულ ამ ახალ ფორმასთან უნდა ყოფილიყო შესაბამისობაში აპელანტის მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარიც (2012 წლის 9 თებერვლის მგდომარეობით დამტკიცებული), თუმცა მიუხედავად იმისა, რომ აპელანტმა სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში წარმოადგინა სააპელაციო საჩივარი, ვინაიდან იგი არ შეესაბამებოდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2012 წლის 9 თებერვლის მგდომარეობით დამტკიცებულ ფორმის ნიმუშს, მიიჩნია, რომ შ. ბ-ს ხარვეზი არ გამოუნორებია, რაც მისი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენდა.

კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად უთითებს იმ გარემოებაზე, რომ გასაჩივრებულ განჩინებაში მისი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების მიზეზები დასაბუთებული არ არის, კერძოდ, სააპელაციო სასამართლო ზოგადად უთითებს, რომ სააპელაციო საჩივარი არ შეესაბამება 2012 წლის 9 თებერვალს დამტკიცებული სააპელაციო საჩივრის ახალ ფორმას, თუმცა არ აკონკრეტებს, თუ რატომ არ შეესაბამება და რა იყო დარღვეული.

აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო სასამართლო იზიარებს და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დატოვა შურა ბებიას სააპელაციო საჩივარი განუხილველად, ვინაიდან, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, აპელანტს სააპელაციო საჩივარი წარმოდგენილი ჰქონდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშის დაცვით, რაც დავალეული ჰქონდა ხარვეზის შევსების შესახებ განჩინებით და, თუ, რატომ არ იყო შესაბამისობაში ახალ ფორმასთან, სააპელაციო სასამართლოს ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების შესახებ განჩინებებში აპელანტისათვის არ განუმარტავს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად უნდა დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 402-419-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

შ. ბ-ს კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 2 მაისის განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.
საკვასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

განჩინება

№ას-249-239-2013

3 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
თ. თოდრია,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2012 წლის 14 ივნისს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა თ. ზ-ემ მოპასუხეების – მ. მ-სა და დ. კ-ის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეებისათვის მათ მიერ სესხად აღებული თანხის – 400 აშშ დოლარისა და პროცენტის – 1280 აშშ დოლარის, მთლიანობაში 1680 აშშ დოლარის სოლიდარულად დაკისრება.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილებით თ. ზ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა: მოპასუხე მ. მ-ეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი თანხის – 400 აშშ დოლარის, პროცენტის – 120 აშშ დოლარი-

სა და მინიმალური ზიანის – 1160 აშშ დოლარის, ჯამში – 1680 აშშ დოლარის გადახდა, რაც ლარებში შეადგენდა 2722 ლარს; თ. ზ-ის მოთხოვნა დ. კ-ის მიმართ არ დაკმაყოფილდა, დ. კ-ის საცხოვრებელი ბინა (ზესტაფონში, ს. ზ-ის ქ. №24ა-ში მდებარე ბინა №1) გათავისუფლდა ყადაღისაგან; ამავე გადაწყვეტილებით მ. მ-ეს თ. ზ-ის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 100 ლარის გადახდა, ხოლო სარჩელის უზრუნველსაყოფად თ. ზ-ის მიერ მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 50 ლარის ოდენობით დარჩა სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. მ-ემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 31 იანვრის განჩინებით მ. მ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად, აპელანტის მიერ ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი:

მ. მ-ის სააპელაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში შევიდა ხარვეზით, კერძოდ, აპელანტს არ ჰქონდა გადახდილი სახელმწიფო ბაჟი;

დადგენილი ხარვეზის შესავსებად, 2012 წლის 28 დეკემბრის განჩინებით მას განესაზღვრა 5 დღის ვადა და განემარტა, რომ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველად;

ხარვეზის შევსების შესახებ განჩინება მ. მ-ეს გაეგზავნა კანონით დადგენილი წესით და 2013 წლის 15 იანვარს ჩაბარდა მის დედას ანნა მარუაშვილს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ხარვეზის შესავსებად სასამართლოს მიერ დადგენილი 5-დღიანი ვადა მ. მ-ეს ენურებოდა 2013 წლის 21 იანვარს. 2013 წლის 22 იანვარს მ. მ-ემ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი 150 ლარი და ფოსტის მეშვეობით სააპელაციო სასამართლოს წარუდგინა სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვებას ექვემდებარებოდა აპელანტის მიერ ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლოს დასახელებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. მ-ემ, რომელმაც მოითხოვა ამ განჩინების გაუქმება.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინება მას ჩაბარდა 2013 წლის 18 იანვარს და არა 15 იანვარს, როგორც ეს სააპელაციო სასამართლომ მიუთითა. იმის გათვალისწინებით, რომ მ. მ-ის დედა გარდაიცვალა 2012 წლის 4 დეკემბერს, ამასთან მისი სახელი და გვარია თ. გ-მ-ე და არა ა. მ-ი, არასწორია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა გზავნილის მ. მ-ის დედისათვის ჩაბარების თაობაზე.

ამდენად, კერძო საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ სასამართლო გზავნილი მას არ ჩაბარებია კანონით დადგენილი წესით. სინამდვილეში, ეს გზავნილი აპელანტს გადასცა მეზობელმა ა. მ-მა, 2013 წლის 18 იანვარს. შესაბამისად, მ. მ-ეს ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადა არ დაურღვევია და სააპელაციო სასამართლოს მისი სააპელაციო საჩივარი წარმოებაში უნდა მიეღო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. მ-ის კერძო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

გასაჩივრებული განჩინებით მ. მ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას საფუძვლად დაედო აპელანტის მიერ ხარვეზის დადგენილ ვადაში შეუვსებლობა, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ხარვეზის განჩინება 2013 წლის 15 იანვარს ჩაბარდა აპელანტის ოჯახის წევრს (დედას) –

ა. მ-ს, შესაბამისად, ხარვეზის შევსების ვადა აპელანტს ეწერებოდა 2013 წლის 21 იანვარს. საქმის მასალებით ირკვეოდა, რომ აპელანტმა სახელმწიფო ბაჟი გადაიხადა და გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, განცხადებასთან ერთად, ფოსტას ჩააბარა 2013 წლის 22 იანვარს ანუ სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის დარღვევით. აღნიშნული გარემოება სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველად მიიჩნია, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, თუ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზია ეფუძნება იმ გარემოებას, რომ ხარვეზის განჩინება არ ჩაბარებია მისი ოჯახის წევრს (დედას), როგორც ეს სასამართლომ დაადგინა. კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, გზავნილის მიმღები პირი – ა. მ-ი არის მისი მეზობელი და არა დედა. ამ გარემოების დასადასტურებლად საჩივრის ავტორმა წარმოადგინა მისი დაბადების მოწმობა, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ მ. მ-ის მშობლები არიან: მამა – ი. მ-ე, დედა – თ. მ-ე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის ზემოაღნიშნულ მოსაზრებას, ვინაიდან, უდავოა, რომ საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათში მითითებული ა. მ-ი არ არის აპელანტ მ. მ-ის დედა, ამიტომ მისთვის გზავნილის ჩაბარება ვერ ჩაითვლება აპელანტისათვის გზავნილის ჩაბარებად, შესაბამისად, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა ხარვეზის განჩინების აპელანტის დედისათვის ჩაბარებისა და ხარვეზის შეუვსებლობის გამო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ ყურადღება უნდა მიაქციოს იმ გარემოებას, რომ საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათზე ა.მ-ის ხელმოწერასთან ერთად, არსებობს ასევე მ. მ-ის ხელმოწერაც, რისთვისაც სააპელაციო სასამართლოს შეფასება არ მიუცია. შეფასება უნდა მიეცეს ასევე მ. მ-ის 2013 წლის 21 იანვრის განცხადებას ხარვეზის შევსების შესახებ, სადაც იგი აღნიშნავს, რომ მას ჩაბარდა ხარვეზის განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. მ-ის კერძო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 31 იანვრის განჩინება და საქმე მ. მ-ის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შემოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

განჩინება

№ას-861-807-2012

25 ივნისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება

აღწერილობითი ნაწილი:

მცხეთის რაიონულ სასამართლოს 2012 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებით ნინო ფოცხვერაშვილის სარჩელი მოპასუხეების: ინდემნარმე გოჩა გედევანიშვილის, შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს, აგრეთვე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიმართ, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: ყადაღისაგან გათავისუფლდა აღსრულების ეროვნული ბიუროს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს მიერ 2011 წლის 26 აგვისტოს შედგენილ დაყადაღების აქტში მითითებული ნივთები: დივან-სავარძელი – 3 ნაჭერი; ტანსაცმლის კარადა – 1 ცალი;

უფრებიანი კომოდი – 1 ცალი; ტრილიაჟის სარკე – 1 ცალი; ხის ჟურნალების მაგიდა ერთი სკამით; ჭურჭლის კარადა – 1 ცალი. ამავე გადაწყვეტილებით დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შემოსავლების სამსახურმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 11 მაისის განჩინებით შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად, აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის დარღვევის გამო.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა შემოსავლების სამსახურმა.

კერძო საჩივრის ავტორი არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ შემოსავლების სამსახურმა გაუშვა სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა, კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ფოსტაში წარადგინა 2012 წლის 27 აპრილს. კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ შპს „საქართველოს ფოსტის“ გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით (სია №237), რომელიც თან ერთვის კერძო საჩივარს, დგინდება, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ №21-04/28397 საქმე გაიგზავნა 2012 წლის 26 აპრილს, ე.ი. შემოსავლების სამსახურისათვის სასამართლოს გასაჩივრებელი გადაწყვეტილების ჩაბარებიდან მე-14 დღეს. შეტყობინების ბარათი ჩაიბარა შპს „საქართველოს ფოსტის“ წარმომადგენელმა ზ. ც-მა, რაც დასტურდება ბარათზე არსებული ხელმოწერით და ბეჭდით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ დაცულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის მოთხოვნები, რადგან ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ შემოსავლების სამსახურის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამარ-

თლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 11 მაისის განჩინება და შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივარი დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას საფუძვლად დაედო საჩივრის კანონით დადგენილ ვადაში წარუდგენლობა, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტმა სააპელაციო საჩივარი შეიტანა ერთი დღის დაგვიანებით, 2012 წლის 27 აპრილს.

კერძო საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის მითითებული საფუძვლით სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას და განმარტავს, რომ სააპელაციო საჩივარი შემოსავლების სამსახურმა კანონით დადგენილ ვადაში ჩააბარა ფოსტას. აღნიშნულის დასადასტურებლად კერძო საჩივრის ავტორმა წარმოადგინა შემოსავლების სამსახურის მიერ 2012 წლის 26 აპრილს ფოსტისათვის ჩაბარებული კორესპონდენციის სია, რომელსაც ხელს აწერს შპს „საქართველოს ფოსტის“ წარმომადგენელი და იგი დამოწმებულია ამავე ფოსტის ბეჭდით. შემოსავლების სამსახურის მიერ წარმოდგენილი საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების №237 სიით დასტურდება, რომ ამ სიის 48-ე გზავნილი 21-04/28397 ნომრით ჩაბარდა შპს „საქართველოს ფოსტას“. სწორედ ეს რეკვიზიტებია მითითებული საფოსტო კონვერტზე, რომლითაც მცხეთის რაიონულ სასამართლოში შეტანილი იქნა შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივარი. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ 2012 წლის 26 აპრილს შპს „საქართველოს ფოსტისათვის“ ჩაბარებული №21-04/28397 გზავნილი წარმოადგენს შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივარს მცხეთის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაჰბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

მითითებული ნორმის მიხედვით, თუ სააპელაციო საჩივარი ფოსტას ჩაჰბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, მაშინ იგი ვადაში შეტანილად ითვლება. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ სააპელაციო საჩივრის შეტანის ბოლო ვადა იყო 2012 წლის 26 აპ-

რილი. კერძო საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი ზემოხსენებული მტკიცებულებით ირკვევა, რომ აპელანტმა სააპელაციო საჩივარი შპს „საქართველოს ფოსტას“ ჩააბარა 2012 წლის 26 აპრილს, ანუ ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, შესაბამისად, შემოსავლების სამსახურის მიერ სააპელაციო საჩივარი ვადაში შეტანილად ითვლება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებული საფუძვლით შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების წინაპირობა არ არსებობდა, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, საჩივრებული განჩინების გაუქმების და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია. საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის სხვა წინაპირობები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-420-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. სსიპ შემოსავლების სამსახურის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 11 მაისის განჩინება და საქმე შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლომ განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააღსრულებო უწყისის ბაცემა

ბანჩინება

№ას-37-37-2012

12 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
თ. თოდრია

დავის საგანი: სამკვიდროს მიღების ფაქტის დადგენა, სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა, სამკვიდროდან წილის მიკუთვნება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 4 მაისი განჩინებით დამტკიცდა მორიგება, ერთი მხრივ, ნ. და ბ. ს-ს, ხოლო, მეორე მხრივ, მ. და ნ. ს-ს შორის შემდეგი პირობებით:

1. მოსარჩელები – ნ. ს-ე და ბ. ს-ე თანახმა არიან, მიიღონ საკუთრებაში დღეის მდგომარეობით ნ. და მ. ს-ის საკუთრებაში რიცხული 4800 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 1150 კვ.მ მიწის ნაკვეთი;

2. მიწის ნაკვეთის გამოყოფა მოხდეს საქმეში წარმოდგენილი საკადასტრო რუკის შესაბამისად მიწის ნაკვეთის გვერდებს – 149,2 მ და 32,5 მ საზღვრებს შორის მთლიან სიგრძეზე მეზობელ ბრეგვაძეების მხრიდან;

3. გამოყოფილი მიწის ნაკვეთის გამიჯვნა მოხდეს სპეციალისტის მეშვეობით და ღიობის აღმართვა მოხდეს გამიჯვნისთანავე ნ. ს-სა და ბ. ს-ის მიერ.

4. მ. და ნ. ს-ი თანახმა არიან, თავიანთ საკუთრებაში არსებული 4800 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან საკუთრების უფლებით გადასცენ 1150 კვ.მ მიწის ნაკვეთი ბ. და ნ. ს-ს. საკუთრების უფლებით აღრიცხულ მიწის ნაკვეთზე არსებულ ნარგავებზე ნ. და მ. ს-ს პრეტენზია არ ექნებათ;

5. ნ. და მ. ს-ი თავიანთი ხარჯით გადაიტანენ ქიშკარს მათ კუთვნილ ტერიტორიაზე.

შენწყდა სამოქალაქო საქმის წარმოება ნ. და ბ. ს-ის სარჩელის გამო ნ. და მ. ს-ის, ნოტარიუს ზ. ჩ-ის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ლაგოდეხის სარეგისტრაციო სამსახურ-

რისა და ლაგოდების მუნიციპალიტეტის გამგეობის აფენის ტერიტორიული ორგანოს მიმართ სამკვიდროს მიღების ფაქტის დადგენის, სამკვიდრო მონუმობის ბათილად ცნობისა და სამკვიდროდან წილის მიკუთვნების შესახებ.

გაუქმდა მოცემულ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები.

კასატორებს – ნ. (პირადი №...) და ბ. (პირადი №...) ს-ს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის საგირავნო-სადეპოზიტო ანგარიშიდან დაუბრუნდა (სს ბანკი „რესპუბლიკა“, ბანკის BIC კოდი: REPLGE22, მიმღების IBAN ანგარიშის № GE79 BR00 0000 0033 0500 01) 2012 წლის 13 თებერვალს №3 სალაროს შემოსავლის ორდერით ბ. ს-ის მიერ გადახდილი 300 ლარი.

მხარეებს განემართათ, რომ სასამართლოში დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე საფუძვლითა და იმავე საგანზე დაუშვებელია.

საკასაციო სასამართლოს ზემოხსენებულ განჩინებაზე ბ. ს-ის მოთხოვნით 2012 წლის 15 ოქტომბერს ამოიწერა სააღსრულებო ფურცელი, რომელიც 2013 წლის 16 აპრილს ჩაიბარა თავად ბ. ს-ემ.

2013 წლის 11 ივლისს საკასაციო სასამართლოს მიმართა მ. ს-ემ, რომელმაც მოითხოვა ამავე მორიგების დამტკიცების შესახებ განჩინებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი განცხადების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ს-ეს უარი უნდა ეთქვას საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 4 მაისის განჩინებაზე სააღსრულებო ფურცლის ამოწერის შესახებ შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 4 მაისის განჩინებით დამტკიცდა მორიგება, ერთი მხრივ, ნ. და ბ. ს-ს, ხოლო, მეორე მხრივ, ნ. და მ. ს-ს შორის. საკასაციო სასამართლოს ხსენებულ განჩინებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით მიმართა ბ. ს-ემ.

სააღსრულებო ფურცლის გაცემის წესსა და პირობებს არეგულირებს საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“.

აღნიშნული კანონის მე-20 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, სააღსრულებო წარმოება არ დაიშვება სააღსრულებ-

ბო ფურცლის (დედნის) გარეშე. სააღსრულებო ფურცელი გაიცემა იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც ამ კანონით ექვემდებარება აღსრულებას. სააღსრულებო ფურცელი გაიცემა კრედიტორზე.

სხენებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სააღსრულებო წარმოება იწყება სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, რომელიც გაიცემა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსასრულებლად. აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილებაზე ჩვეულებრივ გაიცემა მხოლოდ ერთი სააღსრულებო ფურცელი, რომელიც გადაეცემა კრედიტორს, ვინაიდან გადაწყვეტილების აღსრულებით სწორედ ის არის დაინტერესებული.

ამავე კანონის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ აღსრულება უნდა მოხდეს სხვადასხვა ადგილზე, ან თუ გადაწყვეტილება გამოტანილია რამდენიმე მოსარჩელის სასარგებლოდ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, მაშინ სასამართლოს შეუძლია რამდენიმე სააღსრულებო ფურცლის გაცემა აღსრულების ადგილის და გადაწყვეტილების იმ ნაწილის ზუსტი აღნიშვნით, რომელიც ამ ფურცლით უნდა აღსრულდეს.

კანონის მითითებული დანაწესი ითვალისწინებს ერთსა და იმავე გადაწყვეტილებაზე რამდენიმე სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესაძლებლობას, კერძოდ, სხვადასხვა ადგილზე, რამდენიმე მოსარჩელის სასარგებლოდ ან მოპასუხის მიმართ აღსრულების შემთხვევაში, რის საჭიროებასაც განსაზღვრავს სასამართლო.

განსახილველ შემთხვევაში, მორიგების პირობებიდან გამომდინარე, აღნიშნული განჩინებით მხარეებს წარმოეშვათ ურთიერთშემხვედრი უფლება-მოვალეობები, შესაბამისად, ზემოხსენებული ნორმით დადგენილი რამდენიმე სააღსრულებო ფურცლის გაცემის წინაპირობები არ არსებობს და აღნიშნული სპეციფიკის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია, გაეცა ერთი სააღსრულებო ფურცელი, რომლის საფუძველზეც მხარეთა სათანადო მიმართვის შემდეგ შესაძლებელი გახდებოდა სასამართლოს მიერ დამტკიცებული მორიგების პირობების აღსრულება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მ. ს-ის სასარგებლოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 4 მაისი განჩინების აღსრულება უნდა მოხდეს 2012 წლის 15 ოქტომბერს საკასაციო სასამართლოს მიერ უკვე ამოწერილი და ერთ-ერთი კრედიტორის – ბ. ს-ის გადაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. აღნიშნულ გარემოებას ადასტურებს ის

ფაქტიც, რომ სააღსრულებო ფურცელში ორივე მხარე მითითებულია როგორც კრედიტორიად, ისე მოვალედაც. დამატებით ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესაძლებლობას კი მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

მ. ს-ის მოთხოვნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 4 მაისი განჩინებაზე სააღსრულებო ფურცლის ამონერის შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საკიეზელი

ადეოკატის დახმარების გამო გადასახდელი ხარჯების განაწილება სარჩელზე უარის თქმისას	3
სახელმწიფო ბაჟისგან გათავისუფლების საფუძვლები	13
საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა	21
უწყების ჩაბარება	24
იურიდიული ინტერესი	27
სარჩელის უზრუნველყოფა	41
სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა	46
მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზები	55
დაუსწრებელი გადაწყვეტილება	61; 67
სასამართლო გადაწყვეტილების ფარგლები	89
დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება	98
დამატებითი გადაწყვეტილება	115
დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის ვადა	119
გადაწყვეტილების განმარტება	126; 133; 137
სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა	141; 145; 148;
სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა	153; 157; 161; 165
საალსრულებო ფურცლის გაცემა	169

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32
ტელ.: (995 32) 2982103
www.supremecourt.ge